# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 30 იანვარი 2006 №19 (2641)

ფასი 50 თეთრი




**ნუ ენდობით საქართველოს**

ფირესმა დომენეკს სამსახური შესთავაზა

2



**ჩვილი დიდებში**

ინტერვიუ ჰეთთრიქოსან შოთა არველაძესთან

5

**ბოლნისმა უკრაინელი იპოვა**

რას გვეუბნება ევგენი ლაშჩუკი?

6

## გაგიკვირდებათ და...
# კლაუს ტოპმიოლერი პარიზში არ მიდის
## საქართველომ კალენდარში ლიტვა მოხაზა



*„კლაუს ტოპმიოლერი 9 თებერვალს პარიზში აღარ გაემგზავრება — იგი თბილისში დარჩება და საქართველო — აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ნაკრებთა ამხანაგურ მატჩს დაესწრება, კალენდარზე მოსალაპარაკებლად კი საფრანგეთში მე და ნოდარ ახალკაცი წავალთ“ — გვითხრა გუშინ ფეხბურთის ფედერაციის გენმდივანმა უჩა უგულავამ.*

*ეს გადაწყვეტილება, რატომ დავმალოთ და, ცოტა არ იყოს, გვეუცნაურა: „პარიზულ სამიტზე“ კლაუს ტოპმიოლერის ავტორიტეტი ხომ არცთუ უმნიშვნელო ფაქტორი იქნებოდა... როგორია ფედერაციის გეგმა-ვარაუდები, ეს, რა თქმა უნდა, თავად ფედერაციამ იცის, მაგრამ ისიც ხომ საკითხავია, სად უფრო მეტია ლოგიკის მარცვალი — იმაში, რომ ნაკრების თავკაცმა ქართველი თინეიჯერების (ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები ხომ ესაა) თამაში ნახოს მამედოვ-იმამალიევებთან, თუ წონიანი სიტყვა თქვას იმ შეხვედრაზე, სადაც ყველა თავისის გატანას ცდილობს?! კალენდრის მცირე, საწყისი დეტალი კი ჩვენებს უკვე 90 პროცენტით გაურკვევიათ — საქართველოს ნაკრები პირველ მატჩს ალბათ ვილნიუსში, ლიტვასთან გამართავს.*

# კლაუს ტოპმიოლერი პარიზში არ მიდის

## ევროპას ვილნიუსში ლიტვით დავიწყებთ?

*შვეიცარიიდან კლაუს ტოპმიოლერმა და ნოდარ ახალკაცმა გერმანიაში გადაინაცვლეს და თბილისში 5 თებერვალს ჩამოვლენ. ფეხბურთის ფედერაციის გენმდივანი უჩა უგულავა კი უკვე დაბრუნდა და ინტერვიუზეც დაგვთანხმდა. ფედერაციაში გენმდივანს უპირველესად მენეჯმენტის საკითხები აბარია და ჩვენი საუბარიც ამ თემით დაიწყო...*

**— ალბათ უკვე შეხვდით „ინფრონტის“ წარმომადგენლებს. რა ფინანსურ სარგებელს მიიღებს საქართველო ტელეტრანსლაციების უფლებათა გაყიდვით?**

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას „ინფრონტთან“ გრძელვადიანი კონტრაქტი აკავშირებს. მასში წინასწარაა განსაზღვრული, რომელ გუნდთან შეხვედრაში რამდენს მიიღებს ფედერაცია. კენჭისყრის შედეგებიდან გამომდინარე, ტელეტრანსლაციებით დაახლოებით 2 მილიონ დოლარს მივიღებთ.

**— სტადიონზე სარეკლამო ბანერების განთავსებაც გარკვეულ შემოსავალს ნიშნავს...**

— სარეკლამო ბანერების განთავსება ტელეტრანსლაციებთან ერთ პაკეტში განიხილება და მასზე უფლებას ასევე „ინფრონტი“ ფლობს. ჩვენ სამი ბანერის დადგმის უფლება გვაქვს და აქედან ორი ალბათ გენერალური სპონსორისა იქნება.

**— რომელიც ჯერჯერობით არ გვყავს...**

— „კოკა-კოლასთან“ გარკვეული დეტალებია შესათანხმებელი და გენერალური სპონსორი ალბათ სწორედ ეს კომპანია იქნება.

**— ტექნიკური სპონსორის თაობაზე თუ სიახლე?**

— საფრანგეთის ნაკრებს „ადიდასი“ მოსავს, იტალიას „პუმა“, შოტლანდიას „დიადორა“. მოლაპარაკება გვქონდა „ადიდასთანაც“ და „პუმასთანაც“. ახლა მათ საბოლოო შემოთავაზებას ველით და თებერვლის შუა რიცხვებამდე გადაწყვეტილებასაც მივიღებთ.

— აქამდე ტექნიკური სპონსორი შეღავათიან ფასად გვაწვდიდა პროდუქციას. ნოდარ ახალკაცმა თქვა, ამიერიდან ტექნიკურმა სპონსორმა უფასოდ უნდა შემოსოს ნაკრებიო...

— ჩვენ ამგვარი მოთხოვნა წავუყენეთ ორივე ფირმას — მომავალმა სპონსორმა შესარჩევ ციკლში უფასოდ უნდა უზრუნველჰყოს ფორმით არა მხოლოდ ეროვნული და ახალგაზრდული, არამედ 19 და 17-წლამდელთა გუნდებიც.

**— ხომ არ არის პირადი სარეკლამო კონტრაქტით შეზღუდული კლაუს ტოპმიოლერი ან რომელიმე ჩვენი ფეხბურთელი?**

— როგორც ვიცი, კალაძე და კობიაშვილი „ადიდასის“ ბუცებით თამაშობენ, თუმცა პირადი კონტრაქტი არაფერ შუაშია. რაც შეეხება ტოპმიოლერს, მისი სახელი და ავტორიტეტი პირიქით, დაგვეხმარება სპონსორთან მოლაპარაკებისას.



**— კენჭისყრის შემდეგ მეტოქეთა წარმომადგენლებს შეხვდით. ხომ არ გისაუბრიათ კალენდრის მონახაზზე?**

— 90 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ პირველ შეხვედრას სტუმრად ლიტვასთან გავმართავთ სექტემბრის დასაწყისში. მოგეხსენებათ, ახალგაზრდულ ნაკრებს სავარაუდო მეტოქედ ლიტვა ერგო და 2 ან 3 სექტემბერს გასვლითი შეხვედრა უწევს. ლიტველებმა თავად გამოთქვეს სურვილი, ეროვნული ნაკრებების შეხვედრაც ამ თარიღს დავამთხვიოთ.

**— როდის შედგება ტოპმიოლერის ოფიციალური საშინაო დებიუტი?**

— მეორე შეხვედრას შინ გავმართავთ. გვინდა, ისეთი მეტოქე გვყავდეს, ქულათა მარაგი თავიდანვე შევივსოთ. აქედან გამომდინარე, ალბათ შედარებით სუსტი გუნდის სტუმრობა გვაწყობს. თუმცა ითვლება, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მონაწილე გუნდებში ერთგვარი გაურკვევლობაა და მათთან ამ დროს სჯობს შეხვედრა. ვნახოთ, გვაქვს გარკვეული მონახაზი, რომელსაც თებერვლის დასაწყისამდე საბოლოო სახეს მივცემთ.

**— პარიზში კალენდარზე მუშაობა 9 თებერვალს დაიგეგმა, ამ დღეს კი ტოპმიოლერი საქართველო — აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ნაკრებთა შეხვედრაზე აპირებდა დასწრებას...**

— მისი გეგმები არ შეცვლილა. ტოპმიოლერი 9 თებერვალს ახალგაზრდული ნაკრების შეხვედრას დაესწრება, პარიზში კი მე და ბატონი ნოდარი მასთან შეთანხმებული კალენდრის მონახაზით გავემგზავრებით.

**გიორგი ნოზაძე**

# ნუ ენდობით საქართველოს

## ჟირესმა დომენეკს სამსახური შესთავაზა

*1998 წლის მსოფლიოს და 2000 წლის ევროპის ჩემპიონი საფრანგეთი პირველად მოხვდა ჩვენს ჯგუფში — ზინედინ ზიდანი, ტიერი ანრი და ძმანი მათნი ქართველებს ევრო 2008-ის შესარჩევში შეხვდებიან.*

*ფრანგულ მედიაში ჩვენი ჯგუფი სიკვდილის ჯგუფადაა მონათლული და ფრანგთა თავკაცი რაიმონ დომენეკიც ძალიან თავშეკავებულია. ჩვენს მომავალ მეტოქეებს კი დახმარება საქართველოს ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ალენ ჟირესმაც შესთავაზა. მუსიე ალენმა საქართველო ასე დაახასიათა: „რაიმონს შეუძლია, დახმარებისთვის მომმართოს. საქართველოზე ბევრი რამის თქმა შემიძლია. ქართული ფეხბურთი ძალიან ახალგაზრდაა, ფეხბურთის ფედერაცია 1990 წელს შეიქმნა. მათ ძალიან ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი ჰყავთ, მაგრამ სტრუქტურულად ჩამოუყალიბებელნი არიან. მოკლედ, თავად სიტყვა „საქართველო“ რომ ბევრს არაფერს გეუბნებათ, ეს არაფერს ნიშნავს, ნუ ენდობით მხოლოდ „საქართველოს“...*

*ეს ინტერვიუ კი რაიმონ დომენეკს „ევროსპორტმა“ ჩამოართვა...*



**— რას იტყვით კენჭისყრის შედეგებზე?**

— შეგვხვდა იტალია და უკრაინა, რომლებიც მოახლოებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ. ეს ჯგუფი არის... თუმცა, მოდით, ნუ ვიტყვით, რომ ეს ჯგუფი სხვაზე ძლიერი ან სუსტია. მე ისიც კი არ ვიცი, მუნდიალ-2006 უფრო რთული იქნება ჩვენთვის თუ ევრო 2008-ის შესარჩევი. ისიც მახსოვს, მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფი ბევრს რომ მოეწონა და ფავორიტობა გვიწინასწარმეტყველეს, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ.

**— თქვენი აზრით, გადამწყვეტი იტალიასთან და უკრაინასთან მატჩები იქნება?**

— თქვენ ცდილობთ, ფავორიტები და აუტსაიდერები გამოკვეთოთ, მე კი ამას არ ვაკეთებ. ვერ ვიტყვი, რომ ესა და ეს სამეული იბრძოლებს ჯგუფიდან გასვლისთვის, ხოლო დანარჩენები სტატისტები იქნებიან. ყველა გუნდი ისევე ეცდება, როგორც ჩვენ. ყველა ჯგუფი რთულია...

**— მეტოქეებზე რა იცით?**

— ამის თაობაზე შეიძლება ან ბევრი რამ ვთქვათ ანაც საერთოდ არაფერი. დღეს ჩემი მთავარი საფიქრალი მსოფლიოს ჩემპიონატია. მე ახლა შვეიცარია, კორეა და ტოგო უფრო მაღელვებს, ვიდრე სხვა დანარჩენი. ასე რომ...

**— თუმცა იტალია ევრო 2000-ის ფინალში წაგებისთვის რევანშზე ფიქრობს და ძნელია, ამ ფაქტმა გულგრილი დაგტოვოთ...**

— ვაღიარებ, რომ მეც იტალიელებივით ემოციური ვარ. ბედნიერი ვარ, რომ იტალიას შევხვდებით — ჩვენი მატჩები ყოველთვის ძალიან დაძაბული გამოდის. თან უკვე კარგა ხანია, ერთმანეთთან არ გვითამაშია, ერთ-ორ ამხანაგურს თუ არ ჩავთვლით, რომელშიც წარმატება არ გვქონია. თუმცა ამას უკვე რა მნიშვნელობა აქვს. ჩვენს ჯგუფში ყველასთან ძნელი თამაში გვექნება და ამას უნდა შევეგუოთ. თუ დავაკვირდებით, ყველაზე კარგი ნაცნობი ახლა ფარერებია, რომელსაც ბოლო შესარჩევში ორჯერ მოვუგეთ. დანარჩენები ჩემთვის ჯერ უცხოა.

**— სექტემბერშიც იქნებით საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი?**

— საინტერესო კითხვაა... ეს მარტო ჩემზე არაა დამოკიდებული. იმასაც გააჩნია, როგორ ვითამაშებთ მსოფლიოს ჩემპიონატზე. ვნახოთ, იმედი მაქვს, ყველაფერი ისე იქნება, როგორც საფრანგეთის ნაკრებს ეკადრება.

**— აქედან გამომდინარე, ახლა რას აპირებთ?**

— ვემზადებით მსოფლიოს ჩემპიონატისთვის და ვიწყებთ ევრო 2008-ის შესარჩევი ჯგუფის მეტოქეებზე ინფორმაციის შეგროვებას. საამისოდ ნაკრების ტექნიკურ მონაცემთა სამსახური იზრუნებს. მე კი, თუ საშუალება მექნება, პირადად ვნახავ მეტოქეების თამაშებს და, რა თქმა უნდა, მონაწილეობას მივიღებ ჩვენი ჯგუფის კალენდრის შედგენაში. თან არ დაგავიწყდეთ, 2007 წელს საფრანგეთი რაგბიში მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს და ესეც გასათვალისწინებელია.




# ახალი და შეუძლებელი

იმ დღეს ერთი კაი კაცი ამბობდა, რა იქნებოდა, საფრანგეთი წინა ციკლში დაგვეჯახებოდა, ზიდანს მაინც ვნახავდი მინდორზეო. ახლა კიდევ უეჭველად დაანებებს თავს, ისედაც ძალისძალათ მიბრუნდა ნაკრებშიო.

დიახ, მართალია, მივეჩვიეთ იტალიელების ცქერას. ორჯერ მარტო თბილისში იყვნენ და რაც კი რამ უთამაშია საქართველოს ამ უბედურ ციკლებში, საუკეთესო იყო იტალიასთან უგოლო თამაში ყიფიანის მწვრთნელობის დროს.

მაგრამ ეს ყველაფერი უკანაა, ისევე როგორც უკანაა ცუდიც: უამრავი წაგება, უგერგილობა, ინტრიგები და სხვა რამ ათასი. თუმცა ეს ყველაფერი წინაც შეიძლება იყოს, რაც აღარავის უნდა და ყველას მობეზრდა. ევროპულმა წილისყრამ საქართველოს და მის ახალ მწვრთნელს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა.

მგონი, ამოსუნთქვა შეიძლება მხოლოდ ერთ ადგილას, ისიც ძალიან ჩრდილოეთში და ყინვაში. იმ ადგილს ფარერის კუნძულები ჰქვია.

რა თქმა უნდა, სხვაგანაც შეიძლებოდა. ოღონდ არ გამოდის.

წილისყრა მოხდა და კიდევ სხვა ძმაბიჭი მარჩიელობდა. მისმინეო, სქოთების სახლში წაქცევა ხომ შეიძლებაო.

მოკლედ, ვსხედვართ და ვმარჩიელობთ.

იმას კი ვერ ვიტყვი, სხვა არაფერი დაგვრჩენია-თქო, იმიტომ, რომ მაინც მგონია, რომ ამ ციკლში მარჩიელობაზე უფრო დეკემბრის თვეშიც კი ხავსს მოჭიდებაზე მეტად თამაშების ცქერა მოგვიწევს.

ყველაზე კარგი ის იქნება, რომ მოვითხოვოთ ნამდვილი თამაშების ცქერის გარანტია. დანარჩენი გამოჩნდება.

თუმცა სხვა გზაც არის. დიდი რევოლუციონერი ამბობდა: ჩვენ უნდა ვიყოთ რეალისტები და მოვითხოვოთ შეუძლებელი.

ჰოდა, თანდათან დაეტყობა, მოვითხოვოთ თუ არა შეუძლებელი.

როცა საქმე არაფერს ჰგავს, ვერაფერს მოითხოვ, როცა უკვე ჰგავს რაღაცას, მოთხოვნაც შეიძლება.

ზიდანმაც, დაანებოს თავი. მოითმენს ის კაი კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# *123#

- სიახლე
- ლოგოები
- მელოდიები
- ნახატები
- 18 +
- ჰოროსკოპი
- ვალუტის კურსი
- ფეხბურთი
- ამინდი

# GEO ჩატი



# მიქსი MIX

## wap.geocell.com.ge

- პოლიფონიური მელოდიები
- MP3
- ფერადი ფონები
- ფერადი ანიმაციები
- ვიდეო
- თემები
- თამაშები
- პროგრამები
- 18+
- ჰოროსკოპი
- ფეხბურთი
- ამინდი
- ვალუტის კურსი

# შანსი

საფრანგეთი, იტალია, უკრაინა, შოტლანდია...

„კენჭისყრაში არ გაგვიმართლა“ — გაიფიქრა ოპტიმისტმა, რომელსაც კლაუს ტოპმიოლერთან კონტრაქტის გაფორმების მომენტიდან საქართველო უკვე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ეგონა.

„გამსვლელები არც პორტუგალია-პოლონეთ-სერბეთის კომპანიიდან ვიყავით“ — ეს უკვე პესიმისტის ნააზრევია. და სად არის ოქროს შუალედი, როგორ შეიძლება შევაფასოთ კენჭისყრის შედეგები პირველი ემოციების ჩაცხრობის შემდეგ?

ფანტასტიკურად გაგვიმართლა!

რატომ? იმიტომ, რომ პარასკევს მონტროში ნაყარი კენჭი ქართული საფეხბურთო და არა მხოლოდ საფეხბურთო სამყაროსთვის ბოძებული სერიოზული შანსია.

შანსი კლაუს ტოპმიოლერისთვის, რომელსაც საკლუბო წარმატებების მიუხედავად, ჯერაც დასამტკიცებელი აქვს საკუთარი სანაკრებო კვალიფიკაცია.

შანსი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის, რომელსაც მხოლოდ ტელეკონტრაქტებით მიღებული „ორი მილიონ ჩემტა“ (ჩვენი ინფორმაციით, 2 450 000 დოლარი) გასვლითი შეხვედრების, შეკრებების და პრემიალური ფონდის დაფინანსების გარდა, ინფრასტრუქტურის მიხედვის საშუალებას აძლევს.

შანსი ხელისუფლებისთვის, საქმით დაადასტუროს მზაობა და თუნდაც მხოლოდ ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციას დააყენოს საშველი.

შანსი ფეხბურთელთა თაობისთვის, რომელიც უკვე დღეს სპორტული სიმწიფისა და სიბერის ზღვარზე დგას.

შანსი ქომაგისთვის, იხილოს დიდი ფეხბურთი და ისწავლოს ნამდვილი ქომაგობა.

მომავალი ორი წელი შეიძლება იქცეს იმ პლაცდარმად, საიდანაც მართლა შეგვეძლება ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურისთვის რეალურად ბრძოლა.

დღეს კი... დღეს უნდა ვიბრძოლოთ. შანსისთვის, რომელიც ყოველთვის არის...

**გიორგი ნოზაძე**

# იაშკას ლიფტი-გოლი

## ალექსანდრე იაშვილისთვის საფრანგეთი და იტალია ლოდინშია

ნინა ტურში „ბურგჰაუზენთან“ მარცხის შემდეგ „ფრაიბურგის“ თავკაცმა ფოლკერ ფინკემ დაიჩივლა, ჩემი გუნდის თავდამსხმელები მოიკოჭლებენ, ცოტა გოლი გაგვაქვსო და, გუშინწინ ალექსანდრე იაშვილის გოლი დროული კი არა, ძალიან დროული იყო — „ფრაის“ კაპიტანმა 85-ე წუთზე გაუტანა „დრეზდენს“ და თავისიანებს 1:0 მოაგებინა. ეს თამაში ქართველებისთვის იმითაც იყო საინტერესო, რომ შარშანდელი მარცხის შემდეგ პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა ოთარ ხიზანეიშვილმა, რომელიც ბოლო წუთებზე შევიდა შეცვლაზე. იაშვილთან საუბარი კი „ფრაიბურგით“ არ დაგვიწყია — ყველა ქართველი გულშემატკივრის სალაპარაკო ხომ ევრო 2008-ის კენჭისყრა და იტალია-საფრანგეთის კომპანიაში მოხვედრაა...



ალექსანდრე იაშვილის გოლმა „ფრაიბურგი“ წელში გამართა

— უარესი არც შეიძლებოდა. ვინ უნდა აგერჩია იტალიაზე და საფრანგეთზე ძლიერი? საინტერესო თამაშები გველის, დასაკარგი არაფერი გვექნება. ისიც ვთქვათ, რომ საქართველოს ნაკრებისთვის არც ერთი ჯგუფი არ იქნებოდა ადვილი.

— შენი აზრით, რომელი ადგილი ჩაითვლება საქართველოს ნაკრებისთვის კარგ შედეგად?

— ბოლო შედეგებიდან თუ ავილებთ, უკრაინასთანაც კი თითქოს შანსი არ უნდა გვქონდეს, მაგრამ გააჩნია, როგორ ფორმაში იქნებიან ისინი მომავალი შესარჩევი ციკლის დროს.

— იტალიის ნაკრებთან ოთხჯერ გვითამაშია და, რომ იტყვიან, ოთხჯერვე თითქმის ტოლ-სწორად. შენი აზრით, ეს შემთხვევითობაა თუ იტალიის თამაშის მანერას ვუღებთ ალღოს?

— სულ სხვაა, როცა თურქეთს ან საბერძნეთს ეთამაშები, ვიდრე იტალიას ან საფრანგეთს. გრანდებთან მეტი სტიმული გაქვს. როგორ შეიძლება, ანრის, ტოტის, ტრეზეგეს ან ვიერის წინააღმდეგ კონცენტრაცია დაკარგო?!

— ჯგუფიდან გასვლაზე, ალბათ, არც ფიქრობ...

— ეს რომ მოვახერხოთ, რაღაც არანორმალურად ძლიერად უნდა ვითამაშოთ. ისე, როცა იოლი კენჭისყრა გვქონდა და ვამბობდით, უნდა გავიდეთო, სწორედ მაშინ ვაგებდით ყველაზე მწარედ. ფეხბურთი იმიტომაცაა საინტერესო, რომ ფავორიტი ხშირად მარცხდება. ვნახოთ, ახალი მწვრთნელი გვყავს, რომლის ავტორიტეტსა და გამოცდილებას ბოლომდე ვენდობით.

— ალბათ გაიგებდი, რომ საქართველოს ნაკრებში უცხოელი მეკარის ჩამოყვანაზეც იყო ლაპარაკი, თუმცა ეს საკითხი ჯერჯერობით მოიხსნა...

— ნაღდად არ გამიგია. ისე, თუ კარგი მეკარე იქნება, რატომაც არ უნდა გამოვიყენოთ შანსი? თანაც ასეთ საჭირო პოზიციაზე.

— და როგორ გგონია, ნაკრებში უთამაშებელი გერმანელი მეკარე დათანხმდება საქართველოს ნაკრებში ჩამოსვლას?

— თუ ხვდება, რომ გერმანიის ნაკრებში არასოდეს აიყვანენ, დათანხმდება — ნაკრებში თამაში ყველას უნდა.

— „ფრაიბურგზეც“ ვთქვათ: „დრეზდენს“ როგორ გაუტანე?

— ხანგრძლივი შეტევა იყო, საჯარიმოში მომივიდა ბურთი და 9-10 მეტრიდან გავიტანე. ულამაზესი არა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი გოლი იყო — მესამე ადგილზე გადავედით. ეს თამაში აუცილებლად უნდა მოგვეგო, შინ ქულების დაკარგვის დრო აღარაა.

— რეალურად შეუძლია „ფრაიბურგს“ პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნება?

— ოფლის დაუღვრელად არაფერი გამოვა. ჩვენ, „ალემანია“, „ბოხუმი“ და „მიუნხენ 1860“ სხვებზე უკეთესად ვთამაშობთ, თუმცა კიდევ ხუთი-ექვსი გუნდი იბრძვის ბუნდესლიგაში გადასასვლელად.

**ილია ნანობაშვილი**

# თურმე როგორ მყვარებია

## ოთარ ხიზანეიშვილს სასწაულის არ სჯერა



*„ფრაიბურგის“ ქომაგებმა მე-80 წუთზე „ხიზა, ხიზას“ ძახილით გაამხნევეს ქართველი მცველი, რომლის დაბრუნებაც ათთვიანი პაუზის შემდეგ შედგა. ოთარ ხიზანეიშვილს პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ჯანმრთელობის ამბავი ვკითხეთ, მერე კი საქართველოს ნაკრებზეც ვესაუბრეთ...*

— ვარჯიში კარგა ხნის წინ დავიწყე, მაგრამ ექიმები თამაშის ნებას არ მრთავდნენ. გუშინ კი „დრეზდენთან“ მინდორზე კი არ შევედი, შევფრინდი. ახლა ტკივილებს აღარ ვგრძნობ, თანდათან მოვუმატებ და მერე 90 წუთიც შემეძლება თამაში.

— მოსკოვის „დინამოსთან“ ამხანაგურ მატჩში 10 წუთი ითამაშე, მერე კი რამდენიმე მატჩი გამოტოვე. მაშინ ტრავმა გაგიმიზზდა?

— არა. ფინკემ საცდელად შეიშვა თამაშში და მაშინ არაფერი მომსვლია, მას შემდეგ ჩვეულებრივ ვვარჯიშობდი.

— საქართველოს ნაკრებს თებერვლის მიწურულს მალტის ტურნირი ელის, მანამდე ფორმაში შესვლას მოასწრებ?

— რა თქმა უნდა და თუ გამომიძახებენ, სიამოვნებით ჩავალ მალტაზე. თამაში ძალიან მომენატრა. ახლა მივხვდი, თურმე როგორ მყვარებია ფეხბურთი...

— ევრო 2008-ის კენჭისყრაზე რას იტყვი?

— უძნელესი თამაშები გვექნება. ისე, რაც მახსოვს, საქართველოსთვის მოსაწონი ჯგუფი არც ერთი ყოფილა. გასვლის შანსებზე ლაპარაკიც ზედმეტია, ასეთი სენსაციები არ ხდება. კი, სიურპრიზები გამიგია, მაგრამ ეს სიურპრიზიც არ იქნება, რაღაც უფრო მეტია — მესამე ადგილიც ძალიან კარგი შედეგი იქნება და, ჩემი აზრით, მეოთხეც.

**ილია ნანობაშვილი**

ზურაბ ხიზანიშვილმა, ვინც რამდენიმე დღის წინ გუნდურ ჩხუბში გააქნია ხელი და ვისაც ხელბურთელობა დასწამეს, 1 თებერვალს კიდევ ერთხელ შეებრძოლება „მანჩესტერ იუნაიტედს“. წინა ოთხშაბათს „მანჩესტერმა“ „ბლექბერნს“ ლიგის თასის ნახევარფინალში 2:1 მოუგო. ანგარიში 1:1 იყო, როცა მსაჯმა ხიზანიშვილი დააჯარიმა და პენალტი დანიშნა.



მანჩესტერულ-ბლექბერნული ხათაბალის მონაწილენი: რუუდ ვან ნისტელროოი, ზურაბ ხიზანიშვილი და რობი სევიჯი

# ამაზე უარესიც შეიძლებოდა

## კომენტარები გუნდური ჩხუბის შემდეგ

„რუდ ვან ნისტელროოი ჩემ პირისპირ აღმოჩნდა, მივხვდი, რომ თავზე ბურთის გადაგდება უნდოდა და უკან დავიხიე, ბურთი მკერდზე მომხვდა, ნისტელროოიმ და მე ძალისმიერი ბრძოლა გავაჩაღეთ, ბურთი მე დამრჩა, მაგრამ მსაჯმა ხელით ითამაშეო და, 11-მეტრიანი დანიშნა. ვიდეოფირზეც გამოჩნდა, რომ ხელით არ მითამაშია და საერთოდ, არბიტრმა რამდენიმე უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო „მანჩესტერის“ სასარგებლოდ“ — გვითხრა ხიზანიშვილმა, ხოლო ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ვან ნისტელროოიმ ის პენალტი გააცუდა, „ბლექბერნის“ მეკარე ბრედ ფრიდელმა იმარჯვა.

მთავარი ამბები კი პირველი ტაიმის დასრულების შემდეგ მოხდა.

„როცა გასახდელისკენ მივდიოდით, მანჩესტერელმა რიო ფერდინანდმა თავში ჩაარტყა ჩვენიან რობი სევიჯს. როგორც კი გვირაბში შევედით გუნდი-გუნდზე ჩხუბი ატყდა და ბოდიგარდებმა გაგვაშველეს“ — ამ ინცინდენტზე მეტს არაფერს გვიყვება ხიზანიშვილი, ვისაც მეტწილად ლუი საასთან და უეინ რუნისთან უწევდა ორთაბრძოლები და თავი არ შეურცხვენია.

1 თებერვალს კი პრემიერლიგური „ბლექბერნი“ — „მანჩესტერია“ და ზურა ამბობს, რომ ბლექბერნელებს რევანში სწადიათ. რევანშის სურვილი „მანჩესტერსაც“ უნდა ჰქონდეს, რამეთუ პირველ წრეში შინ 1:2 დამარცხდა „ბლექბერნთან“.

„ჩვენი თამაში დაცვაზე არ არის აგებული და ბლექბერნში „მანჩესტერს“ იოლი მატჩი არ ელის. დაცვით ტაქტიკას სტუმრად ვირჩევთ ხოლმე და ამან ძალიან გაგვიმართლა წინა ტურში „ნიუკასლთან“ — 2:1 მოვიგეთ. შინ კი შემტევ ფეხბურთს ვთამაშობთ და ასე იქნება 1 თებერვალს „მანჩესტერთანაც“ — გვპირდება ექსრეინჯერსელი ხიზანიშვილი, რომელსაც ამ დღეებში შოტლანდიელი ჟურნალისტები ურეკავდნენ ევრო 2008-ის წილისყრის გამო.

„შოტლანდიელმა ჟურნალისტებმა კომენტარები მთხოვეს და მერე მითხრეს, ქართველებს კარგად გიცნობთ, ხოლო ჩვენ, შოტლანდიელებს რა გუნდი გვეყოლება მომავალ შესარჩევში, ჯერ არავინ იცის, უოლტერ სმიტმა შესაძლოა, შემადგენლობაში ბევრი ცვლილება მოახდინოსო. ისე, შოტლანდიის ნაკრების ფეხბურთელებს მეც ზეპირად ვიცნობ, ისინი ხომ შოტლანდიაში და ინგლისში თამაშობენ. არაფერს ვამბობ საფრანგეთზე და იტალიაზე, ლიტვას კი ძალიან უნდა ვუფრთხილდეთ, ხელწამოსაკრავი ნაკრები ნამდვილად არ ჰყავთ, შოტლანდიურ „ჰარტსში“ რამდენიმე კარგი ლიტველი ფეხბურთელი თამაშობს. საერთოდ კი, წილისყრის შედეგებით უკმაყოფილო არ ვარ, შეიძლებოდა, უარეს ჯგუფში მოვხვედრილიყავით“ — ასე ჭვრეტს ზურაბი.

**დავით თავართქილაძე**

# ჩვილი დიდებში

## შოთა არველაძე: ვან ბასტენი არა, მაგრამ კარგი იყო

— ლუის ვან გაალმა „როდასთან“ ჩემი პირველი გოლი მარკო ვან ბასტენის იმ გოლს შეადარა, რინატ დასაევს რომ გაუტანა 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში, მაგრამ ისეთი სასწაული გოლი ნამდვილად არ შემიგდია — მარცხენა მახვილი კუთხიდან გავიტანე და უბრალოდ, ლამაზი გოლი გამოვიდა — გვითხრა ალკმაარელმა შოთა არველაძემ, რომელმაც პარასკევს, სტუმრად „როდას“ სამი გოლის უთავაზა — კიდევ ერთი დამატებაზე შევაგდე, ერთიც ეფექტურად: კედელი გავითამაშე, ფეხებშუა გაუძვრინე ბურთი მცველს და ჭვინტით მეკარისგან ახლო კუთხეში შევაგდე.

— ჰოლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში „როდას“ 4:1 მოუგეთ და სატურნირო მდგომარეობა გაიმყარეთ, მაგრამ ის თუ გახსოვს, ეს შენი მერამდენე ჰეთ თრიქი იყო ჰოლანდიაში?

— „ალკმაარში“ მეორე, „აიაქსში“ კი თუ არ ვცდები, ჰეთ თრიქი ხუთჯერ შემისრულებია.

— ევრო 2008-ის წილისყრის შედეგებზეც ვთქვათ. მიგაჩნია, რომ ამაზე ძლიერ ჯგუფშიც შეიძლებოდა თავი ამოგვეყო?

— ამაზე ძლიერი რაღა უნდა იყოს?! ჯგუფში ორი მსოფლიოს ჩემპიონი გვყავს და ყველა მსოფლიოს ჩემპიონი ჩვენთან ხომ არ მოხვდებოდა?! ჩვენთანაა, ჩემი აზრით, ყოფილი საბჭოეთის ყველაზე ძლიერი გუნდი უკრაინა, კიდევ შოტლანდია, რომელსაც რამდენჯერმე უთამაშია მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე...

— შოტლანდია სწორხაზოვან ფეხბურთს თამაშობს და მაღალი დონის შემსრულებლები არ ჰყავს — ეთანხმები ასეთ შეხედულებას?

— ეგრეა, მაგრამ მაინც ტრადიციული ნაკრებია და ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევა, ჰყავს კარგი მეკარეები და კიდევ რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი ინგლისურ პრემიერლიგაში.

— და რა პერსპექტივა აქვს ასეთ ჯგუფში საქართველოს ნაკრებს?

— იტალიასთან ურიგოდ არ გამოგვდის თამაში, საფრანგეთის ნაკრების რომელიმე კომპონენტში დაჩაგვრა კი ძალიან ძნელია, მაგრამ ფრანგებს ამ ბოლო დროს შიდა უთანხმოებები აქვთ გუნდში და იქნებ ეს გამოგვადგეს. მთავარი კი ისაა, რომ ჩვენ ნულიდან ვიწყებ — გვქონია გამონათებები, გვაქვს კარგი მასალა, მაგრამ, როგორც გუნდი, საქართველოს ნაკრები, ფაქტობრივად, ჩვილია — საქართველოს ნაკრებში ძალიან დიდი სამუშაოა ჩასატარებელი.

— ერედივიზიონში შედეგიანად თამაშობს, მაგრამ მალე 33 წლის გახდები და შენს სანაკრებო მომავალს როგორ უყურებ?

— ყველაზე უფრო მე მსურს, რომ ნაკრებში კვლავ ვითამაშო, აბა, ვის არ უნდა საფრანგეთთან და იტალიასთან თამაში?! მაგრამ სწორი გადაწყვეტილების მიღება მმართებს და ახლა ამის ფიქრში ვარ. ერთი სიტყვით, მთავარია, როგორ კონდიციაში ვიქნები, თორემ თამაშისთვის თავის დანებება საერთოდ არ მინდა, ნეტავ, სულ შემეძლოს თამაში...

**დავით თავართქილაძე**



# საქართველოს ევროისტორია




**საქართველო** და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპები...

საქართველო და მისი მეტოქეები ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე...

ბევრის აზრით, ჩვენი ჯგუფი უძლიერესია, თანაც ერთადერთი, რომელშიც ორი მსოფლიოს ჩემპიონი ითამაშებს...

მოკლედ, ჩვენს შესარჩევ ჯგუფს რამდენიმე განსაკუთრებული ნიშანი ახასიათებს...

— საქართველოს, ლიტვასა და იტალიას ჯგუფში ერთად უკვე უთამაშიათ — 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში.

— საქართველოს ნაკრებმა პირველი ოფიციალური და არაოფიციალური მატჩიც ლიტვასთან ჩაატარა. არაოფიციალური 1990 წელს თბილისში იყო — 2:2, ფიფა-უეფაში გაწევრიანების შემდეგ კი 1992-ში კაუნასში — 1:0.

— საქართველოს ნაკრებმა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი მაშინაც ლიტვასთან თამაშით დაიწყო და ახლაც ამასვე აპირებს.

— ახლანდელი მეტოქეებიდან საქართველოს ყველაზე მეტჯერ, ექსჯერ უკრაინასთან უთამაშია. ლიტვასთან და იტალიასთან კი ოთხოთხჯერ.

— საქართველოს საფრანგეთთან, შოტლანდიასთან და ფარერებთან არასდროს უთამაშია.

— ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრებს ამჟამინდელ მეტოქეებთან არც ერთხელ უთამაშია.

— შესარჩევი ეტაპის A და B ჯგუფებში მსოფლიოს ჩემპიონატის სამ-სამი მონაწილე ითამაშებს.

— ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპებზე საქართველოს ყველაზე დიდი ანგარიშით უელსი დაუმარცხებია თბილისში 1994 წელს — 5:0. ყველაზე დიდი ანგარიშით კი 1999 წელს შინ ნორვეგიასთან და სტუმრად შვეიცარიასთან ერთნაირად — 1:4 წააგო.

— საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი მატჩი 1994 წლის 7 სექტემბერს თბილისში ჩაატარა — 0:1 მოლდოვასთან.

— ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ალბანეთი პირველად ასცდა საქართველოს, აქამდე ეს გუნდები ერთ ჯგუფში ხვდებოდნენ, თუმცა ახლა, 22 მარტს ალბანეთი საქართველოს ამხანაგურად მაინც უმასპინძლებს.

და კიდევ: იტალიამ თავის პირველ ოფიციალურ მატჩში საფრანგეთს უმასპინძლა და 6:2 გაიმარჯვა. რაღა ახსნა სჭირდება — ეს გუნდები ჩვენი ჯგუფის ფავორიტები არიან.

**კობა ინასარიძე**


**geo_geo_fan@hotmail.com**

*2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრამ რა გუნდებიც შეგვახვედრა, კარგად იცით და საინტერესოა, თქვენ, გულშემატკივრები რას ფიქრობთ ამის თაობაზე.*

*მოგვწერეთ თქვენი შეფასებები და ერთად ვიმსჯელოთ საქართველოს ნაკრების შანსებსა თუ შესაძლებლობებზე.*

**geo_geo_fan@hotmail.com**

# ფატიმა და ფრე



გიორგი კახელიშვილი

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, შაბათს საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა პორტუგალიის ქვედალიგელ „ფატიმასთან“ ამხანაგურ შეხვედრაში 1:1 ითამაშა.

კობა ჟორჟიკაშვილმა მოედანზე ასეთი შემადგენლობა გაიყვანა: *თევდორაძე, მჭედლიშვილი, გვაძაბია (თომაშვილი, 46), ხიდეშელი, ელბაქიძე, ჭელიძე, მახარაძე (კახელიშვილი, 46), განუგრავა, ბჟალავა, ჩირიკაშვილი, გოცირიძე (წინამძღვრიშვილი, 75).*

ანგარიში მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა გიორგი კახელიშვილმა 55-ე წუთზე გახსნა. მასპინძლებმა კი ოც წუთში შეძლეს საპასუხოს გატანა.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები პორტუგალიაში კიდევ ორი ტესტ-მატჩის გამართვას გეგმავს.

**გიორგი ნოზაძე**

# გრიგორი სურკისი: ოთარ მარცვალაძე დინამოს გამოადგება



გრიგორი სურკისი

ოთარ მარცვალაძე და კიევის „დინამო“ კონტრაქტთან ახლოს არიან. ყოველ შემთხვევაში, კლუბის ხელმძღვანელობა კიევში გასინჯვაზე მყოფი ქართველი ფეხბურთელის მიმართ კომპლიმენტებს არ იშურებს და ჩვენიანი გუნდთან ერთად მოსამზადებელი ეტაპის მეორე შეკრებაზე ისრაელშიც მიჰყავს. გეხსომებათ, მარცვალაძემ ემირატებში მზადების ერთი ეტაპი უკვე მოილია და თავიც არცთუ ცუდად წარმოაჩინა.

აი, რას ამბობს ისრაელში გამგზავრებამდე კიევის „დინამოს“ მწვრთნელი ანატოლი დემიანენკო: „გუნდში ამჟამად სამი ახალი ფეხბურთელია, სამივე საკმაოდ პერსპექტიული და რაც მთავარია, სამივე მონდომებულია, მათ ეტყობათ, რომ ძალიან სურთ „დინამოში“ თამაში“.

დემიანენკოს ეს სიტყვები კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ამოვიკითხეთ. სხვათა შორის, დემიანენკომ ცოტა ხნის წინ ჩვენს კოლეგებს ისიც უთხრა, ჩათვალეთ, რომ ის ფეხბურთელები, რომლებიც ისრაელში წამოვლენ, დინამოელები იქნებიანო.

ახლა კი კიდევ ერთი საინტერესო კომენტარი, რომელიც უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა ოთარ მარცვალაძის თაობაზე „სარბიელთან“ პარასკევის ინტერვიუსას გააკეთა. პარასკევს, მოგეხსენებათ, ქართული ფეხბურთისთვის მნიშვნელოვანი დღე იყო და სურკისის მარცვალაძეზე ნათქვამიც სადღეისოდ ამ მიზეზით „შემოვინახეთ“...

— მარცვალაძე ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია. ემირატებში მისი თამაში ორჯერ ვნახე და მომეწონა. ის ძალიან სწრაფია, მოედანზე სწრაფად აზროვნებს, როგორც ყველა ქართველს, თითქმის უზადო ტექნიკა აქვს და ფიზიკურადაც კარგადაა მომზადებული. ფეხბურთელს სხვა რა უნდა ჰქონდეს, კარგ გუნდში რომ ითამაშოს?! ვფიქრობ, ის კიევის „დინამოს“ გამოადგება. მეტს ვერაფერს გეტყვით, სჯობს, ჩემს ძმას, „დინამოს“ პრეზიდენტ იგორ სურკისს დაუკავშირდეთ, ქართველი ფეხბურთელის „დინამოში“ შესაძლო ტრანსფერზე ის უფრო კომპეტენტურია.

გრიგორი და იგორ სურკისები კი რამ გაჰყო?! ამიტომაც ვთქვით, კიევის „დინამო“ და ოთარ მარცვალაძე კონტრაქტთან ახლოს არიანო...

**კობა ინასარიძე**

# ბოლნისმა უკრაინელი იპოვა

## რას გვეუბნება ევგენი ლაშჩუკი?

**ბოლნისის** „სიონი“ იალტურ შეკრებაზე უკრაინელ ფეხბურთელებს შეათვალიერებსო, ადრეც ვწერდით და, მგონი, პირველ შენაძენთან გვაქვს საქმე. როგორც შევიტყვეთ, თავდამსხმელ ევგენი ლაშჩუკის ტრანსფერი, ფაქტობრივად, გაჩარხულია.

27 წლის, 194 სანტიმეტრ სიმაღლის ტარანული ტიპის ფორვარდი, უკრაინის მეორელიგელ „სკა მიკოლაევის“ ერთ-ერთი ბომბარდირია — ინტერნეტში კი მივაგენით, რომ ლაშჩუკს უკრაინის უმაღლეს ლიგაშიც უთამაშია და 71 მატჩში 11 გოლი გაუტანია, საინტერესოა, რომ იგი ერთი ხანობა კიევის „დინამოშიც“ ირიცხებოდა.

და კიდევ... „სიონი“ დღეს გამართავს მეორე უცხოურ ტესტ-მატჩს, სიმფეროპოლში უკრაინის პირველლიგელ „კრიმტეპლიცას“ შეხვდება.

**ილია ნანობაშვილი**

# ამერის თურქული დღიური: 1:0 ბელასიცასთან

**თურქეთში** ჩამოსვლის მერე „ამერმა“ პირველი ამხანაგური მატჩი ჩაატარა და გიორგი სილაგავას გოლით 1:0 მოიგო. ამერელთა მეტოქე, როგორც ადრევე გამცნეთ, ბულგარეთის უმაღლესლიგელი „ბელასიცა“ იყო.

პირველი სახიფათო მომენტი მეტოქემ შექმნა — ბულგარელებმა ბურთი ძელს გაარტყეს. მაგრამ ეს მათი ერთადერთი სახიფათო მომენტი გამოდგა მთელი მატჩის განმავლობაში, „ამერს“ კი ბლომად შანსი ჰქონდა გოლის გასატანად. სულიკო დავითაშვილი, დავით სევასტოპულო და ალექსანდრე კაიდარაშვილი რამდენჯერმე იყვნენ მიზანთან ახლოს, დენის დობროვოლსკიმ კი ახლო მანძილიდან ძელს გაარტყა ბურთი.

გოლი მაინც გავიდა: 75-ე წუთზე გიორგი სილაგავა სულიკო დავითაშვილმა გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე და...

მალევე დავითაშვილი მეორე გაფრთხილებით გააძევეს, თუმცა რაკი მატჩი ამხანაგური იყო, „ამერს“ გაძევებული ფეხბურთელის ახალი მოთამაშით შეცვლის უფლება ჰქონდა და დავითაშვილი ჯაბა ბერიანიძემ შეცვალა.

***ამერი:*** *ნაჭყეპია, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ხვადაგიანი (ვარუჩავა 82), გ. კვახაძე (კედელაშვილი 73), დეკანოსიძე, ბოლქვაძე (დობროვოლსკი 57), გ. დოლიძე, კოშკაძე (სილაგავა 67), ა. კაიდარაშვილი (სევასტოპულო 57), ს. დავითაშვილი (ბერიანიძე 77).*

„ბელასიცასთან“ მატჩის მეორე დღეს დილის ვარჯიში აღდგენითი ხასიათის იყო. ფეხბურთელებმა ჯერ სასტუმროსთან ახლომდებარე ტყეში ირბინეს, მერე ტრენაჟორებზე ივარჯიშეს.

საღამოს, ვარჯიშის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე კი, ანთალიაში „ამერის“ პრეზიდენტი ზურაბ ფოცხვერია ჩამოვიდა და აეროპორტიდან პირდაპირ ვარჯიშზე მოვიდა.

მომდევნო ამხანაგურ მატჩს „ამერი“ დღეს გამართავს უკრაინის ჩემპიონატში მეათე ადგილზე მყოფ პოლტავის „ვორსკლასთან“.

**გიორგი დარჯანია**
***ანთალიიდან***

# ჩერნიშოვი და დინამო უკვე ერთია

## ხვალ კვიპროსი იწყება

**საქართველოს** ჩემპიონმა თბილისის „დინა მომ“ ახალ მწვრთნელ ანდრეი ჩერნიშოვთან პარასკევის საღამოს კონტრაქტი გააფორმა. რუსი მწვრთნელისა და „დინამოს“ მოლაპარაკებები ჯერ მოსკოვში დაიწყო, შემდეგ კი ერთი კვირა თბილისში გაგრძელდა და წარმატებით დამთავრდა. ეს მოსალოდნელიც იყო — ჩერნიშოვი ხომ საქმეს თბილისში ჩამოსვლიდან მეორე დღესვე შეუდგა და გუნდი რამდენჯერმე ავარჯიშა.

კონტრაქტის დეტალები ჯერ არ გამომზეურებულა — დღეს „დინამო“ პრესკონფერენციას გამართავს, რომელიც დიღმის ბაზაზე 12 საათზე დაიწყება და სხვა ამბებსაც, ალბათ, იქ იტყვიან. ხოლო ზეგ საქართველოს ჩემპიონები ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ორკვირიან კვიპროსულ შეკრებაზე მიემგზავრებიან.

**კობა ინასარიძე**

# ბრაზილიელები ბათუმში მოგებებს აგროვებენ

**ზამთრის** შესვენებაზე სატრანსფეროდ ერთ-ერთმა ყველაზე მოფუსფუსე „ბათუმმა“ ორი ტესტ-მატჩი ჩაატარა და ორივეში მოიგო, თუმცა მეტოქეები ისეთი ჰყავდა, სხვანაირად ვერც იზამდა. ოთარ გაბელიას ბიჭებმა ჯერ ფარმ-კლუბს 3:1 მოუგეს, ხოლო მერე ოზურგეთის „მერცხალს“ აჯობეს 1:0.

„პატარა“ ბათუმელებთან გოლები ვლადიმერ დვალიშვილმა, ვასილ კუნჭულიამ და ლაშა ქებაძემ გაიტანეს, „მერცხალთან“ კი ერთადერთი გოლი დვალიშვილმა შეაგდო, რომელიც თავდასხმაში გაბელიას გუნდის მთავარი იმედი იქნება — თბილისის „დინამოდან“ ერთი თვის წინ გადასულმა ფორვარდმა, მანამდე ფოთის „კოლხეთთანაც“ გამოიჩინა თავი.

რაც შეეხება „ბათუმში“ ჩასულ გასასინჯ ბრაზილიელ ფეხბურთელებს: ტიაგო ჟენეირომ და ჟეანმა ყველა ამხანაგურ მატჩში ითამაშეს, თუმცა დარჩებიან თუ არა გუნდში, ჯერაც უცნობია. გაბელიამ გვითხრა, ყველა საკონტროლო შეხვედრა თოვლ-ჭყაპში გავმართეთ და სრული წარმოდგენა ბრაზილიელებზე ჯერ ვერ შემექმნა, ისე კი, ტექნიკასთან ძალიან ახლოს არიან, ტიპიურ ბრაზილიურ ფეხბურთს თამაშობენო...

**ილია ნანობაშვილი**


# თქვენი ინტერვიუ

# კლაუს ტოპმიოლერთან

*თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი იქნება.*

*კითხვები 5 თებერვლის ჩათვლით უნდა მოგვაწოდოთ და ჰერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.*

*იაქტიურეთ!*



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: **Starmail@Caucasus.net**

# აზოტს მადა გაეხსნა

## რუსთაველებს ენერჯი ინვესტი ჰყავთ და ენერგოკრიზისი არ აშინებთ



ოთარ ხმელიძე შეგირდების გარემოცვაში

*რუსთავის „აზოტმა“ 20 იანვარს არსებობაში პირველი ტიტული მოიგო — კალათბურთის ფედერაციის მიერ ახალდაარსებული ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალური თასი. არადა, რუსთაველებს ამ რამდენიმე წლის წინ უფრო ძლიერი შემადგენლობა ჰყავდათ, მაგრამ სანადელი ვერაფრით აისრულეს, ეროვნული ჩემპიონატის ფინალს ხან „ვითასთან“ აგებდნენ, ხანაც „ბასკოსთან“. პირველი ტიტულის მოგებამ ქვემოქართლელებს მადა გაუხსნა და ოთარ ხმელიძის გუნდი საქართველოს თასის მოგებასაც ეშურებოდა, მაგრამ ეს ტურნირი უამინდობა-ენერგოკრიზისის გამო გადაიდო.*

*საინტერესოა, რა განწყობაა ახლა რუსთაველთა გუნდში, სადაც ხელფასებიც დროულად რიგდება და სავარჯიშოდ გალუნღულებული დარბაზიც მზადყოფნაშია. ოთარ ხმელიძესთან საუბარი „აზოტის“ ბოლო წარმატებით დავიწყეთ*

— საკანდელიძე-ქორქიას თასის მოგება, რა თქმა უნდა, ძალიან გაგვიხარდა, განსაკუთრებით კმაყოფილნი ჩვენი სპონსორის, „ენერჯი ინვესტის“ წარმომადგენლები იყვნენ. ეს წარმატება ჩვენი გუნდის მოთამაშეებისთვის ერთგვარი დოპინგივით იყო, ძალიან დიდი სტიმული მივიღეთ.

**— ელოდით ამ წარმატებას?**

— სიმართლე გითხრათ, ჩვენ ამ ტურნირს საქართველოს თასის გათამაშებისთვის მოსამზადებლად ვიყენებდით და მაინცდამაინც მემორიალური თასის მოგებას არ ვგეგმავდით. ჩვენი მიზანი შეთამაშება და მეტოქეების დაზვერვა იყო. თუმც მალე ჭამაში მოგვივიდა, დავინახეთ, რომ არც გამარჯვება იყო მიუწვდომელი და... მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება გული — თასის გათამაშება რომ გადაიდო. „აზოტი-ენერჯი ინვესტი“ საკმაოდ კარგად იყო ამ ტურნირისთვის მომზადებული.

**— სახელწოდება შეიცვალეთ?**

— არ შეგვიცვლია, უბრალოდ, ჩვენი სპონსორის სახელი დაგვემატა, რაც ბუნებრივია.

**— თუ კარგად მოემზადეთ თასისთვის, შრომა მაინც არ დაგეკარგებათ, ეროვნულ ჩემპიონატს შეხვდებით კარგ ფორმაში...**

— შესაძლოა, ჩემპიონატს უკეთესი მზადყოფნით შევხვდეთ, მაგრამ ეს უკვე ცალკე საკითხია. ჩვენ კონკრეტულად 27 იანვრისთვის ვიყავით იდეალურ ფორმაში, ახლა კი თითქმის ნახევარი გუნდი გაციებულია. ძალიან დამწყდა გული, თასის გათამაშება რომ არ ჩატარდა დათქმულ ვადაში.

**— თასის გათამაშება ობიექტური მიზეზის გამო გადაიდო — „ქუთაისი“ ვერ ჩამოვიდა, თანაც ქალაქში ენერგოკრიზისი მძვინვარებდა...**

— მე არავის საქმეში არ ვერევი, მაგრამ როცა „ქუთაისის“ ჩამოუსვლელობის მიზეზით ეს ტურნირი გადაიდო, დასავლეთთან სარკინიგზო მიმოსვლა წარმოებდა. მატარებლით უპრობლემოდ ჩამოვიდნენ ქუთაისელები თბილისშიც და რუსთავშიც კი.

**— რუსთავში?**

— დიახ, ჩვენთან, მე ხომ არაერთხელ ვითხოვე თასის რუსთავში გათამაშება. მიუხედავად ენერგოკრიზისისა, ჩვენს დარბაზში უწყვეტი დენი და, შესაბამისად, გათბობაც იყო. თუმც არა უშავს, იმედი მაქვს, მომავალში მაინც გაითვალისწინებენ და თასის გათამაშებას ისევ რუსთავი უმასპინძლებს.

**— ბოლო წარმატებამ ალბათ საბოლოოდ გადაგაწყვეტინათ, დაიმატებთ თუ არა კიდევ ვინმეს...**

— არავის აღარ დავიმატებთ და არა იმიტომ, რომ თასი მოვიგეთ და ვფიქრობთ, თითქოს უძლიერესი შემადგენლობა გვყავდეს. უბრალოდ, უკვე დავაკომპლექტეთ გუნდი, ერთი წინა ხაზში გვიჭირდა და ეს პრობლემაც შეძლებისდაგვარად გადავჭერით.

**— ნუთუ ამხელა ძალაა ზვიად ბაბიაშვილი-ჟოლივეტ ტუჯანის დუეტი, რომ მისი შემატების შემდეგ ეგრევე ლიდერებში ალზევდით?**

— „აზოტი-ენერჯი ინვესტი“ არც მანამდე იყო ვინმეზე ბევრით ნაკლები. რეგულარული ჩემპიონატის პირველ ნახევარში 7 თამაში მოვიგეთ და ამდენივე წავაგეთ. ამ წაგებული მატჩებიდან მხოლოდ ერთი დავთმეთ 8 ქულით, დანარჩენ 6-ში სულ მინიმალური სხვაობით ვმარცხდებოდით. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი გუნდი ნებისმიერ მეტოქესთან ტოლ-სწორად იბრძოდა და ახლა, როცა ხსენებული გამოცდილი მოთამაშეები დაგვემატნენ, შედეგმაც არ დააყოვნა. ბაბიაშვილი და ტუჯანი 2 მეტრზე მაღლები არ არიან, მაგრამ მათ გვერდზე უფრო გაისხნა ჩვენი ცენტრი დავით იმნაძე და ეს ტრიო ნებისმიერი მეტოქისთვის ძალიან სახიფათოა.

**— რას უმიზნებთ ამ ჩემპიონატში?**

— ვფიქრობ, იმის ძალა შეგვწევს, მაღალი შედეგებისთვის რომ ვიბრძოლოთ.

**— ეს საჩემპიონო განაცხადად მივიღოთ?**

— „აზოტი-ენერჯი ინვესტს“ არავისზე ნაკლები შემადგენლობა არ ჰყავს და, შესაბამისად, ჩემპიონობაც რეალურია. თუმც ვიცით, რომ ამის მიღწევა ძალიან გაგვიჭირდება. გააჩნია, გამოცდილ მოთამაშეებს როგორ აუბამენ მხარს ახალგაზრდები, როცა პლეი ოფში გადამწყვეტი მატჩების დრო მოვა.

**— ამაზე გაცილებით ძლიერი შემადგენლობა ჰყავდა ძველ „აზოტს“, მაგრამ ჩემპიონობას ვერ შესწვდა...**

— მართალია, არ გვყავს ისეთი შემადგენლობა, როგორც წინათ, მაგრამ პოტენცია დღევანდელ გუნდს უფრო მეტი აქვს. ძველ „აზოტში“ უკვე დალვინებული კალათბურთელები თამაშობდნენ, რომლებიც მოედანზე მაქსიმუმს იღებდნენ, ახლა კი არაერთი ახალგაზრდა გვყავს, რომლებსაც ნებისმიერ დროს შეუძლიათ, მოუმატონ. ვნახოთ, სპონსორებისგან მხარდაჭერა არ გვაკლია და ვეცდებით, მაქსიმუმს მივაღწიოთ როგორც ჩემპიონატში, ასევე თასზე.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

27 იანვარი

**ატლანტა 106:110 ფინიქსი**
ატლანტა: ჯონსონი (27), აივი (6), ჰარინგტონი (16), სმიტი (6), ფაჩულია (15 წუთი, 4 ქულა, 6 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრა); ლუ (17), სტუდემაიერი (14), ჩილდრესი (8), ბატისტა
ფინიქსი: ნეში (22), დიავი (25), ბელი (8), მერიონი (15), ტომასი (6); ბარბოსა (14), ჯონსი (6), ჰაუსი (14)
*ცქიტიშვილი განაცხადში არ იყო*

**ლეიკერსი 106:105 გოლდენ სტეიტი**
ლეიკერსი: ბრაიანტი (30), პარკერი (17)
გოლდენ სტეიტი: დევისი (29), პიეტრუსი (20)

**პორტლენდი 88:83 ნიუ ჯერსი**
პორტლენდი: დიქსონი (28)
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (23)

**დენვერი 87:105 კლიპერსი**
დენვერი: ენტონი (25), მარტინი (16)
კლიპერსი: ბრენდი (33), კასელი (25)

**ჰიუსტონი 92:96 მინესოტა**
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (19), სვიფტი (19)
მინესოტა: ბარნეტი (26), დევისი (26)

**მილუოკი 108:87 ტორონტო**
მილუოკი: საიმონსი (18), რედი (15)
ტორონტო: ბოში (21), როუზი (14)

**ჩიკაგო 90:79 ვაშინგტონი**
ჩიკაგო: გორდონი (26), დენგი (15)
ვაშინგტონი: არენასი (23), ჯემისონი (21)

**დეტროიტი 95:89 მემფისი**
დეტროიტი: ბილაფსი (34), ჰამილტონი (19)
მემფისი: გასოლი (31), მილერი (20)

**შარლოტი 85:91 მაიამი**
შარლოტი: კეროლი (20), ბრეზენცი (19)
მაიამი: ონილი (23), ჰასლემი (17)

**ნიუ იორკი 97:94 ორლანდო**
ნიუ იორკი: კარი (27), კროუფორდი (21)
ორლანდო: ფრენსისი (37), თურქოღლუ (16)

**ბოსტონი 84:74 საკრამენტო**
ბოსტონი: პირსი (18)
საკრამენტო: მილერი (22)

**ინდიანა 89:93 კლივლენდი**
ინდიანა: გრანგერი (21), ჯონსი (20)
კლივლენდი: ჯეიმსი (30), ილგაუსკასი (27)

28 იანვარი

**ჩიკაგო 111:99 ატლანტა**
ჩიკაგო: ჰინრიხი (24), გორდონი (23), დენგი (18), ო. ჰარინგტონი (4), ჩანდლერი (10), სონგაილა (10), ნოჩიონი (11), დუჰონი (3), ალენი (8), პარგო (2)
ატლანტა: ჯონსონი (40), აივი, ა. ჰარინგტონი (13), სმიტი (7), ფაჩულია (32 წუთი, 13 ქულა, 9 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრა, 1 დაფარება); სტუდემაიერი (10), უილიამსი (5), ჩილდრესი (7), ლუ (4)

**გოლდენ სტეიტი 98:83 პორტლენდი**
გოლდენ სტეიტი: დევისი (29), პიეტრუსი (14)
პორტლენდი: დიქსონი (21)

**კლიპერსი 112:79 დენვერი**
კლიპერსი: მობლი (19)
დენვერი: ენტონი (16)

**სიეტლი 113:104 ნიუ ჯერსი**
სიეტლი: ალენი (35), რიდნური (20)
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (36), კარტერი (29)

**დალასი 103:89 იუტა**
დალასი: ჰოვარდი (24), ნოვიცკი (21)
იუტა: ბრაუნი (18), კირილენკო (17)

**სან ანტონიო 102:88 მინესოტა**
სან ანტონიო: დანკანი (28), პარკერი (25)
მინესოტა: გარნეტი (23), დევისი (20)

**მემფისი 86:95 ნიუ ორლეანი**
მემფისი: გასოლი (25), ჯეკსონი (22)
ნიუ ორლეანი: კლაქსტონი (20), ბესტი (19)

**ვაშინგტონი 107:97 შარლოტი**
ვაშინგტონი: არენასი (34), ჯემისონი (23)
შარლოტი: ბრეზენცი (27), პელტონი (18)

**ფილადელფია 91:76 ნიუ იორკი**
ფილადელფია: ვებერი (21), სალმონსი (18)
ნიუ იორკი: ვუდსი (24), მარბერი (14)



კობი ბრაიანტი ისევ ბომბარდირობს

ძიუდო



თბილისის ტურნირზე ირანელი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი არაშ მირესმაილიც იჭიდავებს

# ვარსკვლავებს ევროფედერაცია დაგვითვლის

## იაპონია ჰაერშია, ხალიჩა — თურქეთში

**ხვალ** ევროპის ძიუდოს ფედერაცია თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ჩამოსვლის მსურველთა განაცხადების მიღებას შეწყვეტს, ზეგ კი იმ ქვეყნების სრული სიაც გვეცოდინება, მომავალ შაბათ-კვირას სპორტის სასახლეში რომ ვიხილავთ. ბოლო მონაცემებით, 2006 წლის სეზონის გამხსნელ „მსოფლიოს თასზე" ოცამდე ქვეყნის ნაკრები ჩამოდის. უმეტესობამ ეს უკვე ოფიციალურადაც დაადასტურა, რამდენიმე კი ჯერ სიტყვიერი შეთანხმებით დაკმაყოფილებულა.

პირველები საქართველოში იაპონელები ჩამოვლენ. თორმეტკაციანი დელეგაციის ცხრა წევრი თბილისს ამაღამ ესტუმრება. მათ შორის ტურნირზე მოჭიდავე შვიდივე სპორტსმენი. მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი კეიჯი სუზუკი ნაკრების ერთ მწვრთნელთან ერთად 2 თებერვალს მოფრინავს. დელეგაციის მეთორმეტე წევრი, იაპონიის ძიუდოს ფედერაციის მავანი მალალჩინოსანი კი — 3-ში.

იაპონელთა შეიდეულიდან ორი მსოფლიოს პრიზიორია, სამმა კი ახლახან ტოკიოში ძიგორო კანოს მემორიალი მოიგო. აზიელთა საბრძოლო შემადგენლობას მხოლოდ სუზუკი, მსოფლიოს ჩემპიონი ჰოროში იზუმი (90კგ) და ექსჩემპიონი იასუიუკი მუნეტა (მძიმე) დააკლდებიან. ბოლო ორმა ამ ეტაპზე ტატამზე გასვლას დასვენება არჩია, სუზუკი კი მხოლოდ სავარჯიშოდ მოდის.

უკვე გადაწყვეტილია, რომ ტურნირის დასრულების შემდეგ რამდენიმე ნაკრები საქართველოში დარჩება სავარჯიშოდ. პირველი სურვილი აქაც იაპონელებმა გამოთქვეს, მერე კი აზერბაიჯანელებმა და ლიტველებმა. როგორც გუშინ ძიუდოს ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ზურაბ უსუფაშვილმა გვითხრა, მსურველთა რიცხვი აუცილებლად გაიზრდება. ერთობლივი ვარჯიშები სავარაუდოდ ბორჯომში გაიმართება და 3-4 დღეს გასტანს.

„სპორტის სასახლეში" ტურნირისთვის სამზადისი კარგა ხნის წინ დაიწყეს. უკვე თითქმის მოწყობილია გასახდელები. პარალელურად დარბაზში კოსმეტიკური სამუშაოებიც მიმდინარეობს, გათბობის დანადგარები კი სავარაუდოდ პარასკევს დამონტაჟდება.

თბილისის „მსოფლიოს თასზე" ევროპის ძიუდოს ფედერაციის მიერ დამტკიცებული ახალი ტატამის პრეზენტაციაც რომ მოეწყობა, ადრეც გაცნობეთ. ტატამითა და ერთი ახალი ტაბლოთი დატვირთული მანქანა უკვე თურქეთშია და თუ გზად რაიმე პრობლემა არ შეექმნა, შუა კვირაში თბილისში იქნება.

ბოლოს კი იმ ვარსკვლავებზე, რომლებიც „სპორტის სასახლის" ტატამზე გავლენ. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ირანელი არაშ მირესმაილი ჩვეულზე ერთი წონით მაღლა — 73 კილოგრამში გეგმავს ჭიდაობას, თუმცა 66 კილოგრამი ალბათ მაინც გამორჩეულად ძლიერ შემადგენლობას მოუყრის თავს. კუბელ მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორ იორდანის არენსიბიასა და აზერბაიჯანელ ევროპის ჩემპიონ ელჩინ ისმაილოვის გვარ-სახელები მათი ნაკრებების თავკაცთაგან შედგენილ სათბილისო განაცხადებშიცაა შეტანილი.

ჯერჯერობით უცნობია, გვესტუმრება თუ არა ბრაზილიის ნაკრები, მაგრამ მის ვარსკვლავთან, შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარი სენსაციის ავტორ ჟოაო დერლი ჟუნიორთან (66კგ) საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა ამ დღეებში პირადად ისაუბრა და ჩამოსვლის თაობაზე დადებითი პასუხიც მიიღო.

თითოეულ წონაში ორი მონაწილე ეყოლებათ ფრანგებს. სავარაუდოდ მათაც უძლიერესი შემადგენლობა მოჰყავთ, თუმცა კონკრეტული გვარები წინასწარ არ მოუწერიათ და მხოლოდ თბილისში ჩამოსვლის შემდეგ შევიტყობთ.

**ოთარ გალლაძელიძე**

ჭიდაობა

# ვერის ბაღში ხალიჩა გაიშლება

**დღეს** ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატი დაიწყება და ხუთშაბათამდე გასტანს. პირველი ორი დღე თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს დაეთმობათ, ოთხშაბათ-ხუთშაბათი კი ბერძენ-რომაელებს.

პირველები ხალიჩაზე 55, 66, 84 და +120 კილოგრამი წონითი კატეგორიის თავისუფალი სტილის მოჭიდავენი გავლენ. დღეს მათი შეხვედრები დილის ათი საათიდან დაიწყება. ნახევარფინალისტები და დამამშვიდებელი ეტაპის ფინალისტები ოთხ საათამდე გაირკვევიან. ოთხზე ტურნირის ოფიციალური გახსნაა, მედლებისთვის ბრძოლები კი ხუთი საათიდან გახურდება.

ხელბურთი

handball euro 06 26 jan - 5 feb

## ევროპის VII ჩემპიონატი

ვაშები. შვეიცარია. 26 იანვარი — 5 თებერვალი

# ჯერ ყველა მაგრაა

**პირველი** ჯგუფური ეტაპის დასრულებით თექვსმეტეულს ოთხი გუნდი მოაკლდება. აუტსაიდერთა ვინაობა პრაქტიკულად გარკვეულია და თუ სენსაცია არ მოხდა, მასპინძელი შვეიცარიაც და პორტუგალიაზე ძლიერი ნორვეგიაც შეუერთდებიან მედლებისთვის მებრძოლთ. თუმც პატივმოყვარე უკრაინელებისგან ხელის გამოღებაც არ იქნება გასაკვირი.

ჯერჯერობით წაუგებლად მიიწევენ წინ კონტინენტის თითოგზის ჩემპიონი რუსები და გერმანელები.

უკვე ნახსენები უკრაინელები ძალიანაც კი ეჭიდავნენ სლოვენიელებს და ტაიმიც მოუგეს — 17:16, მაგრამ ბოლომდე ვერ გაძლეს და ორბურთიანი სხვაობით დამარცხდნენ.

აღსანიშნავია მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ საფრანგეთის სამარცხვინო მარცხი ესპანეთთან. ფრანგებმა ტაიმი რვაბურთიანი ჩავარდნით წააგეს — 9:17 და, ბუნებრივია, შესვენების შემდეგ ველარ მოახერხეს თამაშში გარდატეხის შეტანა.

ბომბარდირთა შორის დაწინაურდა ორ თამაშში 19-ჯერ გამტანი ისლანდიელი სნორი გუდიონსონი. 16-16 ზუსტი ტყორცნა მიითვალეს ესპანელმა რომერო ფერნანდესმა და სლოვენიელმა სერგეი რუტენკამ.

| | |
|---|---|
| სერბეთი 29:24 უნგრეთი | გერმანია 31:26 სლოვაკეთი |
| რუსეთი 35:32 პორტუგალია | შვეიცარია 31:31 პოლონეთი |
| ხორვატია 32:28 ნორვეგია | ესპანეთი 29:26 საფრანგეთი |
| ისლანდია 28:28 დანია | სლოვენია 33:31 უკრაინა |

ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

# ბროდოს ეშმაკები შეუჩნდნენ

27 იანვარი

**ფლორიდა 4:0 ნიუ ჯერსი**

*0:0 2:0 2:0*

1:0 ფელინა (30), 2:0 გრეტონი (33), 3:0 ო. იოკინენი (47), 4:0 შტუმპელი (56)

**ამ თამაშს** მეტად საინტერესო მოვლენები უძღოდა წინ. პარასკევს დილით გახდა ცნობილი, რომ „ნიუ ჯერსის" სახელოვანმა მეკარემ მარტინ ბროდომ თავის კლუბთან კიდევ ექვსი წლით გააახანგრძლივა კონტრაქტი.

„ეშმაკთა" ბოლო ათი წლის წარმატებები ბევრად სწორედ ბროდოს სახელთანაა დაკავშირებული და ამ ფაქტით გუნდმა თავისი პატივისცემა დაადასტურა მეკარისადმი. ექვსი წლის განმავლობაში ბროდოს 31,2 მილიონი დოლარი ერგება, კონტრაქტი კი ძალაში მომდევნო სეზონიდან შევა.

სწორედ იმავე დღეს „ფლორიდას" გოლკიპერმა რობერტო ლუონგომ უფრო ხელსაყრელი კონტრაქტის გაფორმებაზე თქვა უარი. „პანტერების" ლიდერს გუნდი 5-წლიან და 30 მილიონიან ხელშეკრულებას სთავაზობდა, მაგრამ ლუონგოს აგენტებმა მოიმიზეზეს, ჩვენი კლიენტი წელიწადში 6 მილიონზე მეტს მოითხოვს, თან კონტრაქტიც ოთხწლიანი უნდა იყოსო, სინამდვილეში კი ლუონგო დიდი ხანია, სხვა, უფრო ძლიერ გუნდში გადასვლაზე ოცნებობს, ვინაიდან, მიუხედავად მისი შესანიშნავი თამაშისა, „ფლორიდა" ვერა და ვერ ახერხებს რაიმე სერიოზული პროგრესის მიღწევას. ის, რომ ლუონგო მართლაც ძლიერი მეკარეა, მან იმავე საღამოს დაამტკიცა, როდესაც ნიუჯერსელთა ყველა მცდელობა ჩაშალა და სეზონში მესამე შათაუტი მიითვალა. ბროდომ კი, როგორც ჩანს, ზემოთ ხსენებული ამბავი საზეიმოდ აღნიშნა და... კონტრაქტის გაგრძელების შემდეგ ჩატარებულ პირველ მატჩში თავის დონეზე ვერ იყო, ორი შაიბა ფეხებს შუა გაუშვა.

**კოლუმბუსი 4:3 მინესოტა**

*0:0 1:3 3:0*

1:0 ჰეინსი (25), 1:1 ბუშარი (29), 1:2 უაიტი (31), 1:3 უაიტი (34), 2:3 ბერარდი (43), 3:3 ნეში (51), 4:3 ფიოდოროვი (54)

28 იანვარი

**რეინჯერსი 7:1 პიტსბურგი**

*1:1 2:0 4:0*

1:0 უორდი (9), 1:1 კროსბი (16), 2:1 რუჩინსკი (32), 3:1 როზშივალი (34), 4:1 იაგრი (47), 5:1 პრუხა (49), 6:1 იაგრი (51), 7:1 სტრადეიკი (58)

**დალასი 2:1 დეტროიტი**

*0:0 0:0 1:1 0:0 1:0*

*ბულიტების სერიაში*

0:1 ჰოლმსტრიომი (43), 1:1 ლეჰტინენი (55), 2:1 გადამწყვეტი ბულიტი: მორდანო

**კოლუმბუსი 4:3 ნეშვილი**

*2:1 1:2 1:0*

1:0 ვიბორნი (9), 2:0 ნეში (14), 2:1 ჰარტნელი (16), 2:2 ჰოლი (26), 2:3 პერო (32), 3:3 ვეხტკოტი (38), 4:3 ვიბორნი (59)

**ტორონტო 3:4 მონრეალი**

*1:0 1:1 1:2 0:1*

1:0 ტაკერი (12), 1:1 კოვალიოვი (22), 2:1 ხავანოვი (40), 2:2 კოივუ (51), 2:3 ბულისი (52), 3:3 კლი (56), 3:4 კოივუ (62)

**კაროლინა 4:1 ატლანტა**

*2:0 1:0 1:1*

1:0 უილიამსი (4), 2:0 კოული (10), 3:0 ბაბჩუკი (28), 3:1 ხავარი (41), 4:1 კეიადამსი (60)

**ფინიქსი 6:2 სან ხოსე**

*0:0 3:0 3:2*

1:0 კომრი (23), 2:0 შოსტრიომი (24), 3:0 ჯონსონი (32), 4:0 ბალარდი (51), 4:1 ეკმანი (53), 5:1 რიჩი (53), 6:1 კომრი (54), 6:2 ჩიჩუ (58)

**კოლორადო 3:4 ვანკუვერი**

*1:1 0:1 2:1 0:0 0:1*

*ბულიტების სერიაში*

1:0 ბრიუნეტი (17), 1:1 ოლუნდი (18), 1:2 რუუტუ (39), 1:3 კესლერი (50), 2:3 სვატოში (54), 3:3 სვატოში (56), 3:4 გადამწყვეტი ბულიტი: რუუტუ

**ფილადელფია 0:6 ტამპა**

*0:2 0:1 0:3*

0:1 ბოილი (14), 0:2 მოდინი (17), 0:3 მოდინი (32), 0:4 მოდინი (48), 0:5 პროსპალი (53), 0:6 კრეიგი (53)

**ლოს ანჯელესი 2:6 ანაჰაიმი**

*1:3 0:3 1:0*

1:0 კამალერი (3), 1:1 ლუპული (4), 1:2 პერი (9), 1:3 გეცლაფი (12), 1:4 კუნეცი (21), 1:5 პერი (25), 1:6 ს. ნიდერმაიერი (28), 2:6 კამალერი (45)

**ბოსტონი 3:4 აილენდერსი**

*0:0 1:1 2:3*

0:1 იორკი (21), 1:1 ბერჟერონი (27), 1:2 ჰანტერი (41), 2:2 აქსელსონი (45), 3:2 ბოიზი (47), 3:3 ჰიტნიკი (49), 3:4 პერიში (50)

**სამველ ლარიბიანი**

ოლიმპიზმი

torino 2006

# ტურინული ამბავ-ხაბარი

**ტურინისა** და მისი შემოგარენის სასტუმროთა მეპატრონენი ნერვიულობენ: ოლიმპიადამდე ბევრიც აღარაფერი რჩება, მაგრამ სასტუმროთა 2000-ზე მეტი ნომერი ჯერ კიდევ დაუჯავშნავია.

პრობლემები არის საოლიმპიადო ბილეთების რეალიზებასთან დაკავშირებითაც. დღეისთვის მილიონი ბილეთიდან გაყიდულია მხოლოდ 585 ათასი. თუმცა საორგანიზაციო კომიტეტის პრესმდივანი ჯუზეპე გატინო გამოთქვამს რწმენას, რომ დარჩენილ დღეებში გაყიდული ბილეთების რაოდენობა 850 ათასამდე აიწევს, რაც 76 მილიონი ევროს შემოსავალს მოიტანს.

* * *

**ტურინის** ოლიმპიადის სტუმრების უკეთ მომსახურების მიზნით იქაური მაღაზიები, რესტორნები და ბარები საოლიმპიადოდ დღეღამ შეუსვენებლივ იმუშავებენ. ტურინის მეწარმეთა ასოციაციის პრეზიდენტმა მარია ლუიზა კოპამ განიზრახა მაღაზიებისა და რესტორნების მეპატრონეთა დარწმუნება, რათა მათ თავიანთ საქონელზე და მომსახურებაზე ფასები ხელოვნურად არ გაზარდონ.

# ავსტრალიის ღია პირველობა 2006

## მელბურნი. ჰარდი. საპრიზო 14,6 მილიონი $



AFP მელბურნიდან

# ფედერერი გამარჯვებებით არ იღლება
## მორეზმო კი ოცნების მწვერვალზეა



AFP მელბურნიდან

**ფინალი**

კაცები

**როჯერ ფედერერი (შვეიცარია, 1) – მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) — 5:7 7:5 6:0 6:2;**

**ნათქვამია**, ყველაფერს აქვს თავისი დასასრულიო და ამის დასტურია ის, რაც გუშინ ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში ვიხილეთ. მარკოს ბაღდატისი წლევანდელი გათამაშების ნამდვილ სენსაციად იქცა და თვითონაც სენსაციების მთელი კასკადი შამოგვთავაზა, მაგრამ ამასაც უნდა ჰქონოდა დასასრული და ის ფინალში დადგა.

თუმცა ეს გამონათქვამი ჯერჯერობით არ ეხება როჯერ ფედერერს, რომელიც ტურნირს ტურნირზე იგებს. თან არც იმის წინაპირობები ჩანს, რომ შვეიცარიელის ეს ტრიუმფალური სვლა უახლოეს მომავალში შეჩერდება.

ფედერერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის თანამედროვე ჩოგბურთში განსხვავებული მოვლენაა და როცა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ აწუხებს, მისი დამარცხება ლამის გმირობის ტოლფასია. მან წლევანდელი პირველობაც დიდებულად გაიარა და მელბურნში დამსახურებულად იმარჯვა. კი, გარკვეული ხარვეზები აქა-იქ მის თამაშშიც იყო და როჯერს შეიძლება არ უჩვენებია შარშანწინდელივით დომინანტური თამაში (განსაკუთრებით, ტურნირის დასკვნით ფაზაში), როცა მელბურნში პირველად იმარჯვა, მაგრამ მაინც ყველაზე ძლიერად გამოიყურებოდა.

მოდით, ნურც 20 წლის მარკოს ბაღდატისს დავუკარგავთ იმ შრომას და იმ ლამაზ თამაშს, რომელმაც წლევანდელი ასპარეზობა აგრერიგად გაალამაზა და გარკვეული ინტრიგაც მიანიჭა. მხოლოდ ბაღდატისის დამსახურებაა ის, რომ წლევანდელი გათამაშება ასეთი კარგი საყურებელი გამოდგა. კვიპროსელი იყო ამ ტურნირის მთავარი ნიუსმეიკერი, რომელიც თავისი სენსაციებით დამატებით ხალისსა და ინტერესს მატებდა ასპარეზობას. ამიტომაც ჩოგბურთის მოყვარულებს ბაღდატისისადმი მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

არადა, ფინალიც ძალიან საინტერესოდ დაიწყო, რაც ბევრისთვის დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა. ფედერერისგან, რომელმაც ნიკლას კიფერთან ნახევარფინალური მატჩის უკანასკნელ ორ სეტში თავისი თამაში დაიბრუნა, მხოლოდ იოლ გამარჯვებას ელოდნენ. ამის საპირისპიროდ, პირველი სეტი კვიპროსელის უპირატესობით წარიმართა. ის უფრო კარგადაც აწოდებდა და კიდევ უფრო კარგად თამაშობდა მეტოქის მოწოდებაზე. გარდა ამისა, მარკოსი შვეიცარიელს ტემპშიც და სიმძლავრეშიც აშკარად სჯობდა. ამის ლოგიკური დასასრული იყო ის, რომ ბაღდატისმა შეძლო სეტის მიწურულს ბრეიკის გაკეთება და დაწინაურდა კიდეც.

იგივე ვითარება იყო მეორე პარტიის დასაწყისშიც. თუმცა ფედერერი პირველი ჩოგანი ნამდვილად არ იქნებოდა, ძალიან მრავალფეროვანი არსენალი რომ არ გააჩნდეს. შვეიცარიელმა სიმძლავრის მომატების მაგივრად, მოჭრილი დარტყმების გამოყენება დაიწყო, რამაც მისი მოწინააღმდეგე ძალიან დააბნია. ასეთ პირობებში კვიპროსელს აღარ შეეძლო იმ უპირატესობის გამოყენება, რაც მისი თამაშის უფრო მძლავრ სტილში მდგომარეობს. მიუხედავად ამისა, მეორე სეტი მაინც თანაბარი გამოდგა, გადამწყვეტი კი ბოლო გეიმი აღმოჩნდა — ბაღდატისის მოწოდებაზე ანგარიში 40:0 იყო კვიპროსელის სასარგებლოდ. იგი, ალბათ, უკვე დამდეგ ტაიბრეიკზე ფიქრობდა და მოეშვა, რაც ფედერერთან ნებისმიერ ანგარიშზე და სიტუაციაში დამღუპველია. ასე იყო ამჯერადაც, როჯერმა ზედიზედ ხუთი ქულა მოიგო და სეტებში ანგარიში გაათანაბრა.

ამის შემდეგ კი ცალკე ბაღდატისი გატყდა მორალურად და ცალკე ფედერერმა დაიბრუნა თავისი ფენომენალური თვითრწმენა. ჰოდა, სანამ კვიპროსელი გონს მოეგებოდა, როჯერმა მესამე სეტი ნულზე მოიგო და მეოთხეში გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა. ამის შემდეგ ბაღდატისმა კი სცადა გაბრძოლება, რამდენიმე ისეთი კომბინაციაც გაითამაშა, როგორც პირველ სეტში, მაგრამ ამ დროისთვის ყველაფერს მაინც უკვე მისი მოწინააღმდეგე აკონტროლებდა. შვეიცარიელმა ადვილად მოიგო თავისი ჩაწოდებები და ერთწლიანი პაუზის შემდეგ კვლავ იზეიმა ტრიუმფი მელბურნის კორტებზე.

„ეს ორი კვირა ფანტასტიკური იყო ჩემთვის... ფინალში გავედი და იქ საუკეთესოსთან წავაგე, მაგრამ თავი არ შემირცხვენია... დიდი მადლობა ჩემს გულშემატკივრებს, თქვენს მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის... ვიცი, ახლა კვიპროსში რაც ხდება, სამ დღეში ჩავალ და მათაც მადლობას გადავუხდი" — აი, ასეთი იყო მარკოს ბაღდატისის კომენტარი ფინალური მატჩის შემდეგ, რომელიც მშობლიურ კუნძულზე უკვე ნამდვილ გმირად იქცა.

ძალიან გაუჭირდა ემოციების მოთოკვა ფედერერს. მიუხედავად იმისა, რომ „დიდი მუზარადის" უკვე მეშვიდე ტურნირზე იმარჯვა, ისეთივე გახარებული იყო, როგორც პირველი გამარჯვებისას. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ფედერერს მოტივაცია კვლავაც არ დაუკარგავს და არც გამარჯვებებით დაღლილა, რაც მის მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს.

ქალები

**ამელი მორეზმო (საფრანგეთი, 3) — ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 8) — 6:1 2:0 (უარი)**

**აბსოლუტურად** არ გაამართლა მოლოდინი ქალთა ფინალმა. ეს კი არა, მატჩი არც დასრულებულა. ჟუსტინ ენინ-არდენმა მეორე სეტის დასაწყისში ტრავმის გამო უარი თქვა მატჩის გაგრძელებაზე.

არადა, ამას ნაკლებად ვინმე თუ წარმოიდგენდა. ყველა ფავორიტად ენინს ასახელებდა, რომელიც ფინალამდე ლინდსი დევენპორტსა და მარია შარაპოვას გაუმკლავდა. ფრანგიც ასეთივე ძალისმიერი სტილის მოთამაშეა და, წესით, ჭინკა ბელგიელს არც მორეზმოსთან თამაში უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ...

პირველ სეტში მორეზმომ თავისი მოწინააღმდეგე პირდაპირ გაასამტვერა, აჯობა ყველა სათამაშო კომპონენტში და საწყისი პარტია 6:1 მოიგო. იგივე განმეორდა მეორე სეტის დასაწყისშიც და ენინმაც ტრავმის მომიზეზებით, უარი განაცხადა მატჩის გაგრძელებაზე:

„ისე ცუდად ვგრძნობდი თავს, რომ კორტზე ველარ დავრჩებოდი... ღამეც ცუდად ვიყავი... კორტზე გასვლისას ვიცოდი, რომ გამარჯვების შანსი არ მქონდა, მაგრამ ფინალის თამაშზე უარი მაინც ვერ ვთქვი. თუმცა მატჩის დროს ძალიან ცუდად გავხდი და, უბრალოდ, ველარ გავაგრძელებდი შეხვედრას... ჩემს ცხოვრებაში ეს ყველაზე ცუდი დღეა" — თქვა გაწბილებულმა ენინმა.

26 წლის მორეზმომ კი, როგორც იქნა, მოახერხა „დიდი მუზარადის" ტურნირის მოგება:

„ვაკონტროლებდი თამაშს, ვიცოდი რაც უნდა მეკეთებინა და ყველაფერს ხუთიანზე ვასრულებდი... ეს, მართლაც, ძალიან ამაღელვებელია, დიდი ხანია, მოვდიოდი ამ გამარჯვებისკენ და, საბოლოოდ, ავისრულე კიდეც ოცნება... ყველაფერი, რისი მოგებაც მინდოდა კარიერის განმავლობაში, უკვე მოვიგე, ასე რომ, უბედნიერეს ადამიანი ვარ" — ასეთი ემოციური მორეზმო იშვიათად თუ ვინმეს უნახავს.

წყვილები. კაცები

**ბობ ბრაიანი (აშშ, 1)-მაიკ ბრაიანი (აშშ, 1) — მარტინ დამი (ჩეხეთი, 7)-ლეანდერ პაესი (ინდოეთი, 7) — 4:6 6:3 6:4**

წყვილები. ქალები

**ძი იანი (ჩინეთი, 12)-ჟი ჟენგი (ჩინეთი, 12) — ლიზა რეიმონდი (აშშ, 1)-სამანტა სტოსური (ავსტრალია, 1) — 2:6 7:6 6:3**

შერეული წყვილები

**მაჰეშ ბჰუპატი (ინდოეთი)-მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — ანიელ ნესტორი (კანადა, 6)-ელენა ლიხოვცევა (რუსეთი, 6) — 6:3 6:3**

**ბაჩა ლომაძვილი**

# ქართულ-დანიური დუეტის უიღბლო ნახევარფინალი

**სამწუხაროდ**, ვერ მოახერხა იუნიორ წყვილთა ფინალში გასვლა ქართველმა ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა. მან და მისმა პარტნიორმა, დანიელმა კაროლინა ვოზნიაკმა, დათმეს თავიანთი ნახევარფინალური მატჩი ფრანგულ-იტალიურ დუეტთან — ალიზე კორნეტთან და კორინა დენტონთან.

არადა, ეს განსაკუთრებით გულდასაწყვეტია ჩვენი ჩოგბურთელისთვის, რადგან მან და ვოზნიაკიმ მშვენივრად დაიწყეს თამაში და პირველ სეტში იოლადაც იმარჯვეს — 6:3. თუმცა შემდეგი სეტი 4:6 დათმეს და ანგარიშიც გათანაბრდა.

გადამწყვეტ პარტიაში, მართლაც, ძალიან დაძაბული ბრძოლა გაიმართა, რომელშიც, საბოლოოდ, ტაიბრეიკზე გამარჯვება კორნეტ-დენტონის დუეტს დარჩა და ფინალშიც სწორედ ისინი გავიდნენ. თუმცა აქ მათ მეოთხე ნომრად განთესილ კანადელ შერონ ფიხმანისა (ამ უკანასკნელთან წააგო ტატიშვილმა ერთეულთა თანრიგის მესამე ტური) და რუსი ანასტასია პავლიუჩენკოვას წყვილთან წააგეს.

სხვათა შორის, ამ თოთხმეტი წლის რუსმა ერთეულთა ტურნირიც მოიგო.

**ბაჩა ლომაძვილი**

# სარბიელი და კრონო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი პრემიერლიგა 31 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 1 | უიგანი-ევერტონი | 2.00 | 3.10 | 3.65 | 1.21 | 1.29 | 1.67 |
| 23:45 | 2 | სანდერლენდი-მიდლსბრო | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| 23:45 | 3 | ფულემი-ტოტენჰემი | 2.75 | 3.10 | 2.40 | 1.45 | 1.28 | 1.35 |
| 23:45 | 4 | ჩარლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 2.00 | 3.10 | 3.65 | 1.21 | 1.29 | 1.67 |
| | | 1 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 5 | პორტსმუთი-ბოლტონი | 2.85 | 3.10 | 2.35 | 1.48 | 1.28 | 1.33 |
| 23:45 | 6 | სიტი-ნიუკასლი | 2.10 | 3.10 | 3.30 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 23:45 | 7 | ასტონ ვილა-ჩელსი | 9.00 | 4.00 | 1.35 | 2.76 | 1.17 | 1.00 |
| 23:45 | 9 | არსენალი-ვესტ ჰემი | 1.30 | 4.60 | 8.30 | 1.01 | 1.12 | 2.95 |
| 23:45 | 11 | ბლექბერნი-მანჩესტერი | 4.20 | 3.20 | 1.85 | 1.81 | 1.28 | 1.17 |
| 23:45 | 12 | ლივერპული-ბირმინგემი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| | | ინგლისი ჩემპიონატი 31 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 25 | იფსვიჩი-ლიდსი | 2.50 | 3.10 | 2.60 | 1.38 | 1.27 | 1.41 |
| 23:45 | 26 | ქპრ-ლესტერი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 23:45 | 27 | უენსდი-ლუტონი | 2.25 | 3.10 | 2.90 | 1.30 | 1.26 | 1.49 |
| 23:45 | 28 | კარდიფი-მილუოლი | 1.60 | 3.40 | 5.20 | 1.08 | 1.22 | 2.05 |
| 23:45 | 29 | ჰალი-ქოვენტრი | 2.25 | 3.10 | 2.90 | 1.30 | 1.26 | 1:49 |
| 23:45 | 30 | პრესტონი-კრისტალ პალასი | 2.40 | 3.10 | 2.70 | 1.35 | 1.27 | 1.44 |
| 23:45 | 31 | ბრაიტონი-ბარნსლი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 23:45 | 32 | პლიმუთი-საუთჰემპტონი | 2.40 | 3.10 | 2.70 | 1.35 | 1.27 | 1.44 |
| 23:45 | 34 | რედინგი-ნორვიჩი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| | | 1 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 35 | დერბი-შეფილდი | 3.20 | 3.10 | 2.10 | 1.57 | 1.26 | 1.25 |
| | | ინგლისი. კონფერენსი 30 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 76 | ექსეტერი-გრინგტონი | 2.30 | 3.10 | 2.65 | 1.32 | 1.23 | 1.42 |
| | | გერმანია II ბუნდესლიგა 30 იანვარი | | | | | | |
| 23:15 | 102 | კარლსრუე-ალემანია | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| | | იტალია. სერია B 30 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 393 | ტორინო-ატალანტა | 2.40 | 2.70 | 3.00 | 1.27 | 1.33 | 1.42 |
| | | იტალია. სერია C1/B 30 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 394 | კიეტი-ლანჩანო | 2.60 | 2.50 | 3.00 | 1.27 | 1.39 | 1.36 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა 30 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 251 | სეტუბალი-აკადემიკა | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| | | საბერძნეთი 30 იანვარი | | | | | | |
| 23:00 | 272 | პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი | 8.00 | 4.00 | 1.35 | 2.66 | 1.15 | 1.00 |
| 17:00 | 273 | პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი | 1:02.90 | 3.50 | 1.90 | | | |
| | | ფეხბურთი. აფრიკის თასი 2006. ეგვიპტე 30 იანვარი | | | | | | |
| 21:00 | 395 | ზამბია-სამხრეთ აფრიკა | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| 21:00 | 396 | ტუნისი-გვინეა | 1.75 | 3.10 | 4.50 | 1.11 | 1.25 | 1.83 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10395 | ზამბია-სამხრეთ აფრიკა | 3.30 | 2.00 | 2.60 | 1.24 | 1.45 | 1.13 |
| 10396 | ტუნისი-გვინეა | 2.10 | 2.00 | 4.80 | 1.02 | 1.46 | 1.41 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11395 | ზამბია-სამხრეთ აფრიკა | 4.50 | 10.00 | 20.00 | 5.50 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.10 |
| 11396 | ტუნისი-გვინეა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 5.80 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12395 | ზამბია-სამხრეთ აფრიკა | 1.60 | 2.00 |
| 12396 | ტუნისი-გვინეა | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13395 | ზამბია-სამხრეთ აფრიკა | 1.70 | 1.90 |
| 13396 | ტუნისი-გვინეა | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14395 | ზამბია-სამხრეთ აფრიკა | 2.00 | 1.65 |
| 14396 | ტუნისი-გვინეა | 1.35 | 2.30 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15395 | ზამბია-სამხრეთ აფრიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15396 | ტუნისი-გვინეა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16395 | ზამბია-სამხრეთ აფრიკა | 2.10 | 1.50 |
| 16396 | ტუნისი-გვინეა | 1.25 | 2.90 |

### გოლი:წყვილი-1ლი კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17395 | ზამბია-სამხრეთ აფრიკა | 1.85 | 1.95 |
| 17396 | ტუნისი-გვინეა | 1.85 | 1.95 |

### ჩემპიონთა ლიგა 21 თებერვალი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 9008 | ინტერი | 9.00 | 23:45 | 9008 | რეინჯერსი | 90.00 |
| 23:45 | 9008 | არსენალი | 14.00 | 23:45 | 9008 | ბაიერნი | 13.00 |
| 23:45 | 9008 | ლიონი | 10.00 | 23:45 | 9008 | ვილიარეალი | 25.00 |
| 23:45 | 9008 | რეალი | 14.00 | 23:45 | 9008 | პსვ | 45.00 |
| 23:45 | 9008 | იუვენტუსი | 5.50 | 23:45 | 9008 | აიაქსი | 55.00 |
| 23:45 | 9008 | მილანი | 9.00 | 23:45 | 9008 | ვერდერი | 55.00 |
| 23:45 | 9008 | ბენფიკა | 50.00 | 23:45 | 9008 | ჩელსი | 5.80 |
| 23:45 | 9008 | ლივერპული | 13.00 | 23:45 | 9008 | ბარსელონა | 5.20 |

### უეფას თასი. 15 თებერვალი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 9009 | ბოლტონი | 19.00 | 18:00 | 9009 | თუნი | 100.00 | 23:45 | 9009 | ზენიტი | 35.00 |
| 23:45 | 9009 | სტრასბური | 40.00 | 23:45 | 9009 | ჰერენვენი | 80.00 | 23:45 | 9009 | ესპანიოლი | 25.00 |
| 23:45 | 9009 | სევილია | 15.00 | 23:45 | 9009 | ლევსკი | 85.00 | 23:45 | 9009 | ლანსი | 30.00 |
| 23:45 | 9009 | ჰერტა | 19.00 | 18:00 | 9009 | პეტრჟალკა | 65.00 | 23:45 | 9009 | სტიაუა | 30.00 |
| 23:45 | 9009 | ალკმაარი | 13.00 | 23:45 | 9009 | ლოკომოტივი(მ) | 26.00 | 23:45 | 9009 | ჰამბურგი | 8.50 |
| 23:45 | 9009 | ლიტექსი | 100.00 | 18:00 | 9009 | შალკე | 11.00 | 23:45 | 9009 | მარსელი | 17.00 |
| 18:00 | 9009 | ბრიუგე | 55.00 | 23:45 | 9009 | რომა | 15.00 | 23:45 | 9009 | პალერმო | 20.00 |
| 23:45 | 9009 | მონაკო | 13.00 | 23:45 | 9009 | შახტარი | 17.00 | 23:45 | 9009 | შტუტგარტი | 20.00 |
| 23:45 | 9009 | სლავია | 80.00 | 23:45 | 9009 | ბაზელი | 70.00 | 18:00 | 9009 | ბეტისი | 17.00 |
| 23:45 | 9009 | რაპიდი | 80.00 | 23:45 | 9009 | მიდლსბრო | 16.00 | 18:00 | 9009 | უდინეზე | 16.00 |
| 18:00 | 9009 | რუზენბორგი | 90.00 | 18:00 | 9009 | ლილი | 21.00 | | | | |

### მსოფლიოს თასი 2006 9 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18:00 | 9012 | იაპონია | 130.00 |
| 18:00 | 9012 | ესპანეთი | 12.00 |
| 18:00 | 9012 | ავსტრალია | 80.00 |
| 18:00 | 9012 | პოლონეთი | 75.00 |
| 18:00 | 9012 | ხორვატია | 50.00 |
| 18:00 | 9012 | უკრაინა | 45.00 |
| 18:00 | 9012 | მექსიკა | 40.00 |
| 18:00 | 9012 | შვედეთი | 28.00 |
| 18:00 | 9012 | ტუნისი | 280.00 |
| 18:00 | 9012 | პორტუგალია | 18.00 |
| 18:00 | 9012 | აშშ | 95.00 |
| 18:00 | 9012 | არგენტინა | 9.00 |
| 18:00 | 9012 | იტალია | 8.50 |
| 18:00 | 9012 | გერმანია | 7.50 |
| 18:00 | 9012 | ინგლისი | 6.50 |
| 18:00 | 9012 | ბრაზილია | 3.70 |
| 18:00 | 9012 | შვეიცარია | 100.00 |
| 18:00 | 9012 | ჩეხეთი | 25.00 |
| 18:00 | 9012 | ტოგო | 290.00 |
| 18:00 | 9012 | ჰოლანდია | 15.00 |
| 18:00 | 9012 | კოტ დივუარი | 80.00 |
| 18:00 | 9012 | ს.არაბეთი | 600.00 |
| 18:00 | 9012 | საფრანგეთი | 10.00 |
| 18:00 | 9012 | ანგოლა | 380.00 |
| 18:00 | 9012 | სერბეთი | 100.00 |
| 18:00 | 9012 | კორეა | 250.00 |
| 18:00 | 9012 | განა | 190.00 |
| 18:00 | 9012 | პარაგვაი | 130.00 |
| 18:00 | 9012 | ეკვადორი | 120.00 |
| 18:00 | 9012 | ტრინიდადი | 800.00 |
| 18:00 | 9012 | კოსტა რიკა | 500.00 |
| 18:00 | 9012 | ირანი | 450.00 |

### მსოფლიოს თასი 2006. 9 ივნისი. ჯგუფში I ადგილი

| ჯგუფი A 9101 | | | ჯგუფი B 9102 | | | ჯგუფი C 9103 | | | ჯგუფი D 9104 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | კოსტა რიკა | 15.00 | 18:00 | ინგლისი | 1.45 | 18:00 | სერბეთი | 9.00 | 18:00 | ანგოლა | 12.00 |
| 18:00 | გერმანია | 1.35 | 18:00 | შვედეთი | 3.10 | 18:00 | არგენტინა | 1.95 | 18:00 | ირანი | 10.00 |
| 18:00 | პოლონეთი | 4.50 | 18:00 | პარაგვაი | 7.00 | 18:00 | ჰოლანდია | 2.40 | 18:00 | პორტუგალია | 1.80 |
| 18:00 | ეკვადორი | 9.00 | 18:00 | ტრინიდადი | 35.00 | 18:00 | კოტ დივუარი | 9.00 | 18:00 | მექსიკა | 2.10 |

| ჯგუფი E 9105 | | | ჯგუფი F 9106 | | | ჯგუფი G 9107 | | | ჯგუფი H 9108 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | აშშ | 7.00 | 18:00 | ხორვატია | 6.20 | 18:00 | საფრანგეთი | 1.30 | 18:00 | ესპანეთი | 1.50 |
| 18:00 | იტალია | 1.65 | 18:00 | ავსტრალია | 12.00 | 18:00 | შვეიცარია | 4.80 | 18:00 | უკრაინა | 3.00 |
| 18:00 | ჩეხეთი | 3.00 | 18:00 | იაპონია | 12.00 | 18:00 | კორეა | 10.00 | 18:00 | ტუნისი | 8.50 |
| 18:00 | განა | 10.00 | 18:00 | ბრაზილია | 1.20 | 18:00 | ტოგო | 15.00 | 18:00 | ს.არაბეთი | 30.00 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## იტალია
### სერია A
### XXII ტური

**მილანი 1:1 სამპდორია**

1:0 შევჩენკო (13პ), 1:1 გასბარონი (36)
მილანი: დიდა, სტამი, ნესტა, კალაძე, სერჟინიო (იანკულოვსკი 85), გატუზო (კაფუ 75), პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ფ. ინძაგი (ჯილარდინო 65)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
სამპდორია: ანტონიოლი, პავანი, მ. კასტელინი, სალა, მ. პიზანო, დიანა, ვოლპი, პალომბო, გასბარონი (კ. ძენონი 69), ფლაკი, ბაცანი (კუტუზოვი 5; ფოტი 89)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: სალა, გატუზო, გასბარონი, სტამი, პალომბო, ნესტა
მსაჯი: დე სანტისი
55 395 მაყურებელი

**ასკოლი 1:3 იუვენტუსი**

0:1, 0:2, 0:3 ტრეზეგე (8, 13, 18), 1:3 ფერანტე (33)
ასკოლი: ფ. კოპოლა, კომოტო, დომიცი, პაჩი, ტოსტო, ფოჯა, გუანა, პაროლა, ფინი (ჯამპა 73), ფერანტე (კარიელო 83), ბიელანოვიჩი (კალიარელა 65)
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა, ტურამი, ფ. კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი (მუტუ 75), ემერსონი, ვიეირა, ნედვედი, დელ პიერო (ზალაიეტა 83), ტრეზეგე (იბრაჰიმოვიჩი 69)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ტოსტო, ვიეირა, დომიცი
მსაჯი: რაკალბუტო
22 000 მაყურებელი

**ლეჩე 0:2 ინტერი**

0:1 ფიგუ (71), 0:2 სტანკოვიჩი (90)
ლეჩე: ბენუსი, პოლენგი, დიამუტენე (პეკორარი 87), სტოვინი, რულო, ბაბუ (ანჯელო 58; კოცოლინო 90), ლედესმა, დელ ვეკიო, ჯორჯინო, კახეტი, ვუჩინიჩი
მწვრთნელი: რობერტო რიცო
ინტერი: ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, კორდობა, ვ. სამუელი, ფავალი (ბურდისო 45), ფიგუ (კილი გონსალესი 81), ვერონი, კამბიასო, სტანკოვიჩი, ადრიანო, ხ. კრუზი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: სტოვინი, ანჯელო, ლედესმა, ძანეტი, ბურდისო, ლედესმა, ვერონი
გაძევება: ლედესმა (76)
მსაჯი: ტრეფოლონი
24 000 მაყურებელი

**უდინეზე 0:0 ფიორენტინა**

უდინეზე: პაოლეტი, საპატა, ნატალი, ფელიპე, პიერი, დ. ძენონი, ბარონიო, ტისონე, კანდელა (ვიდიგალი 88), როსინი (მასიელო 63), დი ნატალე
მწვრთნელი: სერსე კოზმი
ფიორენტინა: ბერტი (ლობონტი 56), პანკარო, დაინელი, კროლდრუპი, პასკუალი, ფიორე (ლ. ხიმენესი 81), პაზიენცა (მონტოლივო 81), დონადელი, იორგენსენი, პაცინი, ტონი
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: ბარონიო, პაზიენცა, საპატა, ნატალი, პაოლეტი, ტისონე, პასკუალი
გაძევება: ბარონიო (22)
მსაჯი: საკანი
15 000 მაყურებელი

**რომა 3:0 ლივორნო**

1:0, 2:0 ტოტი (31, 40პ), 3:0 ტადეი (62)
რომა: დონი, პანუჩი, მექსეში, ბოვო, კუფრე, დე როსი, აკილანი (დაკური 66), ტადეი, პეროტა, მანსინი (ტომაზი 75), ტოტი (ე. ალვარესი 85)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
ლივორნო: ამელია, გრანდონი, ვარგასი, გალანტე, პფერცელი, მორონე, პასონი, დე აშენტისი, კოკო (სეზარ პრატესი 70), კ. ლუკარელი, პალადინო (პაულინიუ 61)
მწვრთნელი: რობერტო დონადონი
გაფრთხილება: დე აშენტისი, ვარგასი
მსაჯი: მესინა
35 000 მაყურებელი

**ტრევიზო 0:1 ლაციო**

0:1 როკი (87)
ტრევიზო: ძანკოპე, კ. ვალდესი (ვაშჩაკი 57), ვიალი, კოტაფავა, მაჯო, პარავიჩინი, დელაფიორე, პინგა, გიგუ, ბორიელო, რეგინალდო
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
ლაციო: ბალოტა, ოდო, სტენდარდო, კრიბარი, ძაური, კ. კელერი (ტარე 46), მუდინგაი, დაბო, მაური, როკი (ჯალომბარდო 88), პანდევი (ბელერი 74)
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: სტენდარდო, ბორიელო, დაბო, ტარე
მსაჯი: ტალიავენტო
5 000 მაყურებელი

**ემპოლი 1:2 პარმა**

0:1 მარკიონი (44), 1:1 ტავანო (59პ), 1:2 ბრეშიანო (79)
ემპოლი: კეხასი, რაჯი (პოცი 55), კოდა, პრატალი, ლუკინი, ბუშე, ფიჩინი, დ. მორო, ალმირონი (ვანუკი 46), რიგანო, ტავანო
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
პარმა: გუარდალბენი, ბონერა, კარდონე, პ. კანავარო, კონტინი (ფ. კოუტუ 70), გრელა, ბოლანო (ბრეშიანო 74), სიმპლისიო, მარკიონი, მორფეო, კორადი
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
გაფრთხილება: ბოლანო, გრელა, ლუკინი, კოდა
მსაჯი: როდომონტი
6 000 მაყურებელი

**კიევო 4:0 რეჯინა**

1:0 ამაური (47), 2:0 პელისიერი (74), 3:0 ამაური (88პ), 4:0 პელისიერი (90)
კიევო: სკიცი, მალაგო, სკურტო (ფ. მორო 77), დანა, ლანა, სემიოლი, ბრიგი, ჯუნტი (სამარკო 74), დ. ფრანჩესკინი, ამაური, ტირიბოკი (პელისიერი 63)
მწვრთნელი: ჯუზეპე პილონი
რეჯინა: პელიცოლი, ი. ფრანჩესკინი, დე როზა, ა. ლუკარელი, მესტო, პარედესი (მისიროლი 77), ტედესკო, ბიონდინი (ვიჯანი 53), მოდესტო, კოცა, ნ. ამორუზო
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: ბიონდინი, მისიროლი, ი. ფრანჩესკინი, ტედესკო
მსაჯი: სტეფანინი
6 000 მაყურებელი

**პალერმო 1:3 სიენა**

0:1, 0:2, 0:3 ბოგდანი (30, 57, 66), 1:3 გოდეაში (68)
პალერმო: ლუპატელი, ძაკარდო, ბარძალი, ტერლიცი, გროსო, სანტანა (მუტარელი 63), კორინი, ბარონე, მ. გონსალესი (ბრიენცა 55), კარაჩოლო (გოდეაში 55), დი მიკელე
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
სიენა: ფორტინი, ნეგრო (ნანი 84), ლეგროტალიე, პორტანოვა, ფალზინი (მოლინარო 46), ფოლიო, პარო, ვერგასოლა, დავერსა, ბოგდანი, კიეზა (ალბერტო 72)
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
გაფრთხილება: ბოგდანი, ფალზინი, ტერლიცი, ლეგროტალიე
მსაჯი: დონდარინი
26 428 მაყურებელი

**მესინა 1:0 კალიარი**

1:0 დი ნაპოლი (88)
მესინა: სტორარი, ძანკი, რეზაეი, არონიკა, კრისტანტე, ანტონელი (რაფაელი 58), კ. კოპოლა, დაგოსტინო, სკული (ბონდი 77), დი ნაპოლი, ფლოჩარი (მუსლიმოვიჩი 64)
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
კალიარი: კიმენტი, ფ. პიზანო, ბიზერა, კანინი, აგოსტინი, კაპონე (კონტიკიო 64), კონტი, აბეიხონი, გობი, მ. ესპოზიტო, სუაცო
მწვრთნელი: ნედო სონეტი
გაფრთხილება: ბიზერა, კოპოლა, აბეიხონი, ძანკი, დი ნაპოლი
მსაჯი: ტომბოლინი
17 000 მაყურებელი

# დედა, დიდა!




AFP მილანიდან

მილანი — სამპდორია. მარჩელო კასტელინის რომ გაეტანა, ეგებ გენუელებს სამი ქულაც წაეღოთ

**მიუხედავად** იმისა, რომ მეკარე დიდას შეცდომა „მილანს“ — „სამპდორიასთან“ ქულების დაკარგვად დაუჯდა, მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ბრაზილიელს მხარი დაუჭირა. საკუთრივ შეცდომა ასეთი გახლდათ: გოლკიპერს ანდრეა გასბარონის დარტყმული ბურთის მკერდზე მიღება უნდოდა, მაგრამ ტრაექტორიას ვერ მიუხვდა და მხარსზემოდან გოლი გაუვიდა.

„მართალია, დღეს ბურთის ტრაექტორია სწორად ვერ შეაფასა, მაგრამ დიდას ამის მიუხედავად სრულ ნდობას ვუცხადებთ — ბრძანა მწვრთნელმა — თამაში ცუდად არ დავიწყეთ, თუმცა საბოლოოდ სისწრაფემ და ბურთის ფლობამ მაინც დაგვიტოვა უკმაყოფილების გრძნობა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ პასები გვქონდა უზუსტო“.

ანგარიში მილანელებმა ანდრეი შევჩენკოს პენალტით გახსნეს, მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენეთ, უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და მეტიც, პირველ ტაიმში გენუელებმა ორჯერ ძელსაც გაარტყეს ბურთი.

საინტერესოა, რომ დიდთოვლობის გამო მატჩის ჩატარება საეჭვო იყო, მაგრამ „სან სიროს“ პერსონალმა მოედანი მაინც შეინარჩუნა ისე, რომ ზედ ბურთი სერია A-ს საკადრისად გაგორდა.

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა კახა კალაძემ მთელი შეხვედრა შეუცვლელად ითამაშა.

აი, „პალერმოს“ კი ახალი მწვრთნელი ჰყავს — ჯუზეპე პაპადოპულო. „ლაციოს“ ყოფილმა თავკაცმა სიცილიურ კლუბში ლუიჯი დელ ნერი შეცვალა, ხოლო ეს 22-ე ტურთან იმ შუაშია, რომ დელ ნერი შინ „სიენასთან“ 1:3 წაგების გამო მოხსნეს თანამდებობიდან. „პალერმომ“ ბოლო რვა თამაშში მხოლოდ ოთხი ქულა მოაგროვა.

წინა კვირაში თასზე შინ „რომასთან“ დამარცხების შემდეგ აქაიქ „იუვენტუსის“ კრიზისზეც ალაპარაკდნენ. ამბობდნენ, ჩავარდნა ყველა გუნდს ემართება და, როგორც ჩანს, „ბებერი ქალბატონის“ ჯერიც მოვიდაო, მაგრამ გუშინ ასკოლიში დავიდ ტრეზეგეს ჰეთ-თრიქმა ეს საუბრები შეანელა. ცნობისთვის: ალესანდრო დელ პიერომ ფრანგი თავდამსხმელის სამივე გოლში მიიღო მონაწილეობა.

აღსანიშნავია, რომ ამ თამაშამდე „ასკოლის“ შინ მხოლოდ ერთხელ წაეგო, ხოლო „იუვენტუსში“, მიუხედავად დისკვალიფიკაციის ვადის გასვლისა, ზლატან იბრაჰიმოვიჩი თავიდან სათადარიგოთა სკამზე იჯდა. მიზეზი: დელ პიერო ბოლოხანს საუცხოო ფორმაშია. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ტურინელთა გუნდში ითამაშა ჯონათან ძებინამაც, არადა მან, სულ ცოტა ხნის წინ ტრანსფერი მოითხოვა.

და ბოლოს, ტრეზეგემ თავისი ჰეთ თრიქი სულ რაღაც 18 წუთში მოახერხა!

„ფიორენტინამ“ მთელი 69 წუთის განმავლობაში 10 მოთამაშით დარჩენილ „უდინეზეს“ ვერ მოუგო. 21-ე წუთზე ორი ყვითლის გამო მსაჯმა რობერტო ბარონიო გააძევა მოედნიდან.

„რომამ“ კი ზედიზედ მეექვსე გამარჯვება მოიპოვა და მეხუთე ადგილზე აინაცვლა. მერედა, რომაელებმა მოუგეს ამ ეტაპზე უშუალო კონკურენტს — „ლივორნოს“, რომელსაც მატჩის წინ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებოდნენ. ჯალოროსის დაუბრუნდა დაშავებული ფრანჩესკო ტოტი, რომელმაც ორი გოლი გაიტანა.

**პაპუნა ძედია**





ჯუზეპე პაპადოპულომ „პალერმოში“ ლუიჯი დელ ნერი შეცვალა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 22 | 19 | 2 | 1 | 47:13 | 59 |
| ინტერი | 22 | 16 | 3 | 3 | 45:16 | 51 |
| მილანი | 22 | 15 | 2 | 5 | 48:23 | 47 |
| ფიორენტინა | 22 | 13 | 5 | 4 | 38:22 | 44 |
| რომა | 22 | 11 | 6 | 5 | 39:22 | 39 |
| ლივორნო | 22 | 10 | 7 | 5 | 24:23 | 37 |
| კიევო | 22 | 9 | 7 | 6 | 30:25 | 34 |
| ლაციო | 22 | 8 | 9 | 5 | 29:26 | 33 |
| სამპდორია | 22 | 9 | 5 | 8 | 35:29 | 32 |
| პალერმო | 22 | 6 | 8 | 8 | 30:35 | 26 |
| უდინეზე | 22 | 7 | 5 | 10 | 23:32 | 26 |
| სიენა | 22 | 6 | 6 | 10 | 28:37 | 24 |
| ასკოლი | 22 | 5 | 8 | 9 | 23:29 | 23 |
| რეჯინა | 22 | 6 | 4 | 12 | 21:36 | 22 |
| მესინა | 22 | 4 | 9 | 9 | 19:29 | 21 |
| პარმა | 22 | 5 | 6 | 11 | 26:39 | 21 |
| კალიარი | 22 | 4 | 7 | 11 | 20:34 | 19 |
| ემპოლი | 22 | 5 | 4 | 13 | 24:39 | 19 |
| ტრევიზო | 22 | 2 | 7 | 13 | 13:30 | 13 |
| ლეჩე | 22 | 3 | 4 | 15 | 15:38 | 13 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტონი (ფიორენტინა) | 21 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 18 |
| ტოტი (რომა) | 13 |
| ჯილარდინო (მილანი) | 12 |
| ადრიანო (ინტერი) | 12 |
| შევჩენკო (მილანი) | 12 |

### XXIII ტური

4-5 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| სიენა | : | ასკოლი |
| ინტერი | : | კიევო |
| კალიარი | : | ემპოლი |
| ფიორენტინა | : | ლეჩე |
| ლივორნო | : | მესინა |
| ლაციო | : | მილანი |
| რეჯინა | : | პალერმო |
| პარმა | : | რომა |
| სამპდორია | : | ტრევიზო |
| იუვენტუსი | : | უდინეზე |

### სერია B
### XXVI ტური

რიმინი — ჩეზენა 1:1; ალბინოლეფე — ტრიესტინა 1:1; აველინო — მოდენა 5:4; ბოლონია — ბრეშა 3:1; კატანია — ბარი 0:1; მანტოვა — პიაჩენცა 1:1; ტერნანა — არეცო 1:0; ვიჩენცა — კროტონე 0:1. *კატანძარო — ვერონა 0:0-ზე ჩაიშალა, კრემონეზე — პესკარა გადაიდო, ტორინო — ატალანტა დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანტოვა | 26 | 13 | 10 | 3 | 32:19 | 49 |
| ატალანტა | 25 | 15 | 3 | 7 | 39:27 | 48 |
| კატანია | 26 | 13 | 8 | 5 | 37:26 | 47 |
| ჩეზენა | 26 | 12 | 8 | 6 | 38:26 | 44 |
| ბრეშა | 26 | 10 | 12 | 4 | 34:21 | 42 |
| ტორინო | 25 | 11 | 9 | 5 | 26:18 | 42 |
| არეცო | 26 | 10 | 9 | 7 | 28:20 | 39 |
| კროტონე | 26 | 11 | 6 | 9 | 26:24 | 39 |
| პესკარა | 25 | 10 | 7 | 8 | 27:26 | 37 |
| ვერონა | 25 | 8 | 11 | 6 | 26:20 | 35 |
| ბოლონია | 26 | 8 | 11 | 7 | 29:27 | 35 |
| რიმინი | 26 | 9 | 8 | 9 | 29:28 | 35 |
| მოდენა | 26 | 7 | 13 | 6 | 35:29 | 34 |
| პიაჩენცა | 26 | 8 | 10 | 8 | 34:30 | 34 |
| ტრიესტინა | 26 | 8 | 10 | 8 | 26:28 | 34 |
| ბარი | 26 | 6 | 11 | 9 | 26:31 | 29 |
| ვიჩენცა | 26 | 7 | 6 | 13 | 24:34 | 27 |
| ტერნანა | 26 | 5 | 11 | 10 | 20:33 | 26 |
| აველინო | 26 | 5 | 9 | 12 | 26:44 | 24 |
| ალბინოლეფე | 26 | 3 | 12 | 11 | 16:29 | 21 |
| კატანძარო | 25 | 3 | 6 | 16 | 13:35 | 15 |
| კრემონეზე | 25 | 2 | 8 | 15 | 18:34 | 14 |

### სერია C1/A
### XXII ტური

ჩიტადელა — სპეცია 1:0; ჯენოა — პადოვა 0:0; სალერნიტანა — პავია 1:0; სამბენედეტეზე — მონცა 2:4; სან მარინო — რავენა 1:0; ტერამო — ლუმეცანე 1:0. *პრო სესტო — ფერმანა, პიციგეტონე — ნოვარა და პრო პატრია — ჯულიანოვა გადაიდო*

### სერია C1/B
### XXII ტური

ფროზინონე — ფოჯა 1:1; იუვე სტაბია — პიზა 1:0; ლუკეზე — გროსეტო 3:2; მარტინა — პერუჯა 2:0; მასეზე — ჯელა 1:1; პისტოიეზე — მანფრედონია 1:1; სანჯოვანეზე — აკირეალე 2:1; ს. ტორესი — ნაპოლი 2:0. *კიეტი — ლანჩანო დღეს გაიმართება*

# გლადბახ! ბაიერნმა სამქულიანი ჩაგდო



AFP მიონხენგლადბახიდან

მიონხენგლადბახი — ბაიერნი. მაკაიმ დუბლი მიითვალა

## გერმანია
### ბუნდესლიგა XVIII ტური

**კაიზერსლაუტერნი 0:2 შალკე**

0:1 ლინკოლნი (12), 0:2 ქობიაშვილი (78პ)
კაიზერსლაუტერნი: მახო, ჰოილანდი, ბედა, პლეტჩი, ბელინგჰაუზენი (რინერტი 67), ლემბი, ენგელარდტი, მიკიჩი, შკელა, ჰალილ ალტინტოპი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
შალკე: ფ. როსტი, რაფინია (კლასენერი 90), ბორდონი, დ. როდრიგესი, კრსტაიჩი, ბანდერი, ფ. ერნსტი, ქობიაშვილი, ლინკოლნი, სანდი, კურანი (ლარსენი 85)
მწვრთნელი: მირკო სლომკა
გაფრთხილება: ლემბი, ენგელარდტი, როდრიგესი, პოულსენი, სანდი
მსაჯი: შიპელი
35 000 მაყურებელი

**დორტმუნდი 3:2 ვოლფსბურგი**

0:1 ჰანკე (13), 1:1 ვიორნსი (24), 2:1 შმოლარეკი (31), 3:1 გამბინო (67), 3:2 კლიმოვიჩი (71)
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, პ. დეგენი, ვიორნსი, კ. მეცელდერი (ბრჟენსკა 41), დედე, როსიცკი, კელი, ნ. საჰინი (კრუშკა 77), ოდონკორი, შმოლარეკი, გამბინო (ბაკლი 90)
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
ვოლფსბურგი: იენჩი, ალექსი, ვან დერ ჰიდენი, შნოორი, ნეზირი, ლამპრეხტი (მაკიადი 41), კარჰანი (მარლე 78), ფიშერი, მენსეგეში, ჰანკე, კლიმოვიჩი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: დეგენი, შმოლარეკი, ლამპრეხტი, ვან დერ ჰიდენი, ფიშერი
მსაჯი: ფლაიშერი
62 500 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 1:3 ბაიერნი**

0:1 მაკაი (13), 0:2 ბალაკი (55), 1:2 სონკი (56), 1:3 მაკაი (69)
მიონხენგლადბახი: კ. კელერი, ფუკალი, ზე ანტონიო, შტრასერი, დაემსი, კლუგე, ელ ფაკირი (ბროიხი 68), იანსენი, პოლანსკი, ნოივილი, სონკი (კაე 74)
მწვრთნელი: ჰორსტ კოეპელი
ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო, ისმაელი, ლიზარაზუ, დემიკელისი, შვაინსტაიგერი (სალიჰამიჯიჩი 54), ბალაკი, ზე რობერტო (ლამი 84), მაკაი (პ. გერერო 80), კ. პიზარო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ფუკალი, დემიკელისი
მსაჯი: მერკი
54 019 მაყურებელი

**არმინია 0:1 ვერდერი**

0:1 ფარენჰორსტი (72)
არმინია: ჰაინი, კორჟინეცი, ვესტერმანი, ბორგესი, რაუ (დალოვიჩი 78), ფინკი, დამაიერი (კაუფი 75), ვატა, დ. კობილიკი, ბოაკიე, ვიშნიარეკი (მასმანიდისი 67)
მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი
ვერდერი: რაინკე, ოვომოიელა, ფარენჰორსტი, ნალდო, კ. შულცი, ფ. ბაუმანი (დ. იენსენი 67), ფრინგსი, ბოროვსკი, მიკუ (ვრანიეში 85), კლასნიჩი, ნ. ვალდესი
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: რაუ, მიკუ, შულცი, კლასნიჩი
მსაჯი: ვაკი
25 000 მაყურებელი

**ნიურნბერგი 2:1 ჰამბურგი**

0:1 ვოლფი (64ს.კ.), 1:1 საენკო (67), 2:1 კესლინგი (73)
ნიურნბერგი: რ. შეფერი, დ. რაინჰარდტი, ნიკლი, ა. ვოლფი, ლ. მიულერი, პოლაკი, ს. მიულერი (კესლინგი 67), მინტალი (შროტი 6), ბანოვიჩი, ვიტეკი (თ. პაულუსი 88), საენკო
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
ჰამბურგი: ვეხტერი, მაჰდავიკია, ბულარუზი, ვან ბუიტენი, კლინგბილი (ლაუტი 76), დე იონგი, იაროლიმი, ბაინლიხი, ტროხოვსკი, აილტონი, ტაკაჰარა (კუჩუკოვიჩი 83)
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: ვოლფი, ლ. მიულერი, კლინგბილი, ბაინლიხი, დე იონგი
მსაჯი: გრეფე
23 928 მაყურებელი

**ჰერტა 1:1 ჰანოვერი**

0:1 დაბროვსკი (12), 1:1 ვან ბურიკი (90)
ჰერტა: ფიდლერი, ო. შრიოდერი (ნოინდორფი 56), ა. ფრიდრიხი, ვან ბურიკი, ფატი, ნ. კოვაჩი (ოკრონკვო 56), კაირო, ბაშთურქი, ჟილბერტო (ბოატენგი 6), მარსელინიო, პანტელიჩი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ვინისიუსი, ზურავი, ტარნატი, ბალიტჩი, დაბროვსკი, ლალა, შტაინერი (იანკოვი 46), ჰაშემიანი (რიკარდუ სოუზა 74), ბრდარიჩი (დელურა 63)
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: ნოინდორფი, ლალა, ლალა, ჩერუნდოლო, ტარნატი
გაძევება: ლალა (45)
მსაჯი: შტარკი
33 740 მაყურებელი

**ლევერკუზენი 2:1 აინტრახტი**

0:1 ამანატიდისი (41), 1:1 ფრაიერი (67), 2:1 ბუტი (74პ)
ლევერკუზენი: ბუტი, ბ. შნაიდერი, ჟუანი, მადუნი, სტენმანი, რამელო, როლფსი (ფრაიერი 46), ბარნეტა, ატირსონი, ვორონინი (ბაბიჩი 84), ბერბატოვი (პაპადოპულოსი 90)
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
აინტრახტი: ნიკოლოვი, რემერი, კრისი, ვასოსკი, შპიხერი (ოხსი 78), ჯონსი, პროისი (დუ-რი ჩა 82), კიოლერი (ვაისენბერგერი 57), ა. მეიერი, ამანატიდისი, კოპადო
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: სტენმანი, ბარნეტა, მეიერი, ვასოსკი
მსაჯი: ფანდელი
22 500 მაყურებელი

**შტუტგარტი 0:1 დუისბურგი**

0:1 კალიჯიური (43)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი (გრონკიაერი 65), ფ. მეირა, დელპიერი, მანინი, ტიფერტი, გენტნერი, მაისნერი (გომეში 46), ჰიცლშპერგერი, ლიუბოია, ტომასონი (კარევიჩი 70)
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
დუისბურგი: გ. კოხი, მიორლე, ბილიშკოვი, ა. მაიერი, ვილი, ტიკუზუ, კალიჯიური, ტარარახე, ლოტნერი (ბელუმი 48), კურტი (ბოძეკი 89), ლავრიჩი (ანი 86)
მწვრთნელი: იურგენ კოლერი
გაფრთხილება: დელპიერი, ტიფერტი, კალიჯიური, ტარარახე, ლოტნერი, მაიერი, ტიკუზუ
მსაჯი: გაგელმანი
31 000 მაყურებელი

**მაინცი 4:2 კიოლნი**

1:0 ტიურკი (5), 1:1 პოდოლსკი (31პ), 1:2 შერცი (49), 2:2 ტიურკი (55), 3:2 ზიდანი (61), 4:2 აუერი (87)
მაინცი: ვეტკლო, დემირტასი, მ. ფრიდრიხი, ნოვაკი, ვაიგელტი, ო. ადო (რუმანი 66), პეკოვიჩი, და სილვა, მ. ზიდანი (ნ. ვან ლანდი 80), ტიურკი (აბელი 90), აუერი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
კიოლნი: ვესელსი, შლიკე, სინკევიჩი, ჟივკოვიჩი, ბენშნაიდერი, მატიპი, შინდცილორცი, შპრინგერი (შერცი 46), ა. სტრაიტი, პოდოლსკი, შტრელერი (საბიჩი 78)
მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ლატური
გაფრთხილება: დემირტასი, ტიურკი
მსაჯი: პერლი
20 300 მაყურებელი



ნიურნბერგელმა მარეკ მინტალმა
ტრავმის გამო სეზონი ნაადრევად დაასრულა

**1998 წლის** შემდეგ არ მოეგო „ბაიერნს“ მიონხენგლადბახში და ეს დათარსული სერია შეწყვიტა. როი მაკაიმ დუბლი მიითვალა, ნამატჩევს კი ჰოლანდიელმა თქვა: „თამაშამდე ვიგრძენი, რომ აუცილებლად გავიტანდი. პირველი გოლის შემდეგ უფრო გავხალისდი და თავად ნახეთ, მეორე როგორი ლამაზი გამოვიდა“.

მეორე გოლი მართლაც კოხტა გამოდგა — მაკაიმ ჰაერშივე ჯიგრიანად ლეწა ბურთს და კარის ბადე გაწელა.

„ბაიერნი“ ჰოლანდიელმა ფორვარდმა პირველ ტაიმის დასაწყისში დააწინაურა, შესვენების შემდეგ მიხაელ ბალაკმა საფირმო საჯარიმო დარტყმა უბადლოდ შეასრულა და სხვაობა გაზარდა. სტუმართა ორბურთიანი უპირატესობა მხოლოდ ერთ წუთს გაგრძელდა, რადგან უესლი სონკმა გაქვითა, მერე კი მაკაის საუცხოო გოლი იყო და „ბორუსიაც“ გატყდა.

ძალიან კი ტრაბახობდა აილტონი, „ბაიერნს“ დავეწევითო, მაგრამ მისი სადებიუტო მატჩი „ჰამბურგში“ „ნიურნბერგმა“ გააუფერულა. ნიურნბერგელმა ანდრეას ვოლფმა ბურთი საკუთარ კარში რომ ჩაჭრა, ამის შემდეგლა მოვიდნენ თამაშის იშტაზე მასპინძლები. 17 მატჩში მხოლოდ 9 გოლის გამშვებ „ჰამბურგს“ საენკომ და კესლინგმა ექვსწუთიან მონაკვეთში მიჯრით ორი გაუტანეს. თომას დოლის გუნდმა სეზონში სტუმრად პირველად წააგო. ამ მარცხის გამო ჰამბურგელები „ბაიერნს“ უკვე ცხრა ქულით ჩამორჩნენ.

ერთი კვირის წინ „შტუტგარტიდან“ „დუისბურგში“ გადასულმა მარკო კალიჯიურიმ ახალი გუნდის მაისურით ყოფილ გუნდს გაუტანა და სტუმრებს მოაგებინა. შტუტგარტელი ფანები ისედაც ამრეზით უყურებდნენ ჯოვანი ტრაპატონის და „დუისბურგთან“ წაგების გამო ალბათ გვარიანად შეახურებენ იტალიელს.

შტეფან შნოორის ორი შეცდომა „ვოლფსბურგს“ ძვირად დაუჯდა. „მგლები“ [illegible] „ბორუსიას“ მაიკ [illegible] ებდნენ, მაგრამ შნოორმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი და „ბორუსია“ აზეირა. დორტმუნდელები შმოლარეკმა ამის შემდეგ დააწინაურა, ხოლო სალვატორე გამბინომ მეორე ტაიმში მესამე გაუტანა „ვოლფსბურგს“ და აქაც შნოორმა „ივაჟკაცა“. დიეგო კლიმოვიჩმა მოგვიანებით ერთის გაქვითვა მოახერხა, თუმც „მგლებმა“ ქულის გადარჩენა ველარ შეძლეს.

„მაინცმა“ გოლუხვად დაიწყო მეორე წრე და „კიოლნს“ ოთხი გოლი „მიართვა“ ორის საპასუხოდ.

რაც შეეხება „ჰერტას“, „ბერლინელებმა ვერ შეძლეს მიჯრით რვა მატჩში დაუმარცხებელი „ჰანოვერის“ ძლევა, არადა, ჰანოვერელები პირველი ტაიმის მიწურულს ათნი დარჩნენ. მოგებას ვინ ჩივის, „ჰერტამ“ ქულა მატჩის ბოლოს, ვან ბურიკის გოლით იხსნა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 18 | 15 | 2 | 1 | 38:13 | 47 |
| ვერდერი | 18 | 12 | 3 | 3 | 47:21 | 39 |
| ჰამბურგი | 18 | 11 | 5 | 2 | 29:11 | 38 |
| შალკე | 18 | 9 | 7 | 2 | 22:12 | 34 |
| ჰერტა | 18 | 7 | 6 | 5 | 28:25 | 27 |
| შტუტგარტი | 18 | 5 | 10 | 3 | 21:18 | 25 |
| გლადბახი | 18 | 6 | 7 | 5 | 25:24 | 25 |
| დორტმუნდი | 18 | 6 | 6 | 6 | 26:26 | 24 |
| ჰანოვერი | 18 | 4 | 10 | 4 | 27:24 | 22 |
| ლევერკუზენი | 18 | 5 | 7 | 6 | 26:27 | 22 |
| აინტრახტი | 18 | 6 | 3 | 9 | 25:29 | 21 |
| არმინია | 18 | 5 | 5 | 8 | 21:26 | 20 |
| მაინცი | 18 | 5 | 4 | 9 | 28:28 | 19 |
| ვოლფსბურგი | 18 | 4 | 6 | 8 | 19:32 | 18 |
| ნიურნბერგი | 18 | 4 | 5 | 9 | 20:31 | 17 |
| დუისბურგი | 18 | 3 | 6 | 9 | 16:31 | 15 |
| კიოლნი | 18 | 3 | 3 | 12 | 26:43 | 12 |
| ლაუტერნი | 18 | 3 | 3 | 12 | 23:46 | 12 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| კლოზე (ვერდერი) | 16 |
| ჰალილ ალტინტოპი (ლაუტერნი) | 13 |
| შმოლარეკი (დორტმუნდი) | 12 |
| მაკაი (ბაიერნი) | 10 |
| კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი) | 10 |

**XIX ტური**

4-5 თებერვალი

ჰანოვერი : ნიურნბერგი
ჰამბურგი : არმინია
ვერდერი : მაინცი
კიოლნი : შტუტგარტი
დუისბურგი : ლაუტერნი
შალკე : დორტმუნდი
ვოლფსბურგი : გლადბახი
ბაიერნი : ლევერკუზენი
აინტრახტი : ჰერტა

**მეორე ბუნდესლიგა**
**XIX ტური**

ზაარბრიუკენი — პადერბორნი 0:0; აუე — ბურგჰაუზენი 1:1; ფრაიბურგი — დინამო 1:0; უნტერჰახინგი — ზიგენი 2:1; კოტბუსი — ბოხუმი 0:1; ალენი — ბრაუნშვაიგი 3:0; ჰანზა — მიუნხენი 3:1; ფიურტი — ოფენბახი 2:0. კარლსრუე — ალემანია დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოხუმი | 19 | 11 | 5 | 3 | 32:17 | 38 |
| ალემანია | 18 | 11 | 2 | 5 | 36:21 | 35 |
| ფიურტი | 18 | 10 | 3 | 5 | 31:24 | 33 |
| ფრაიბურგი | 19 | 9 | 4 | 6 | 26:22 | 31 |
| მიუნხენი | 19 | 8 | 5 | 6 | 27:23 | 29 |
| პადერბორნი | 19 | 8 | 4 | 7 | 29:19 | 28 |
| კოტბუსი | 18 | 8 | 4 | 6 | 30:24 | 28 |
| ჰანზა | 18 | 8 | 4 | 6 | 28:25 | 28 |
| კარლსრუე | 18 | 8 | 4 | 6 | 23:20 | 28 |
| უნტერჰახინგი | 19 | 8 | 3 | 8 | 29:26 | 27 |
| ბურგჰაუზენი | 19 | 7 | 6 | 6 | 23:28 | 27 |
| აუე | 19 | 6 | 7 | 6 | 17:17 | 25 |
| ბრაუნშვაიგი | 19 | 7 | 3 | 9 | 20:23 | 24 |
| ზიგენი | 19 | 5 | 5 | 9 | 22:24 | 20 |
| ოფენბახი | 19 | 5 | 2 | 12 | 19:40 | 17 |
| ალენი | 19 | 3 | 7 | 9 | 20:30 | 16 |
| ზაარბრიუკენი | 19 | 4 | 4 | 11 | 17:39 | 16 |
| დინამო | 17 | 3 | 4 | 10 | 19:31 | 13 |

**თასის ნახევარფინალის წილისყრა**

აინტრახტი — არმინია
ზანკტ პაული — ბაიერნი

*მატჩები გაიმართება 11-12 აპრილს*

ეროვნული ბიბლიოთეკა




ვენგერის „არსენალი" იანკოპულოსის „ბოლტონმა" თასიდან დაიფრინა

## ინგლისი

### ასოციაციის თასი
### 1/16 ფინალი

ჩელტენემი — ნიუკასლი 0:2; ასტონ ვილა — პორტ ვეილი 3:1; ბრენტფორდი — სანდერლენდი 2:1; ჩარლტონი — ლეიტონი 2:1; კოლჩესტერი — დერბი 3:1; ქოვენთრი — მიდლსბრო 1:1; ევერტონი — ჩელსი 1:1; ლესტერი — საუთჰემპტონი 0:1; მანჩესტერ სიტი — უიგანი 1:0; პრესტონი — კრ. პალასი 1:1; რედინგი — ბირმინგემი 1:1; სტოკი — უოლსოლი 2:1; ვესტ ჰემი — ბლექბერნი 4:2; ბოლტონი — არსენალი 1:0; ვულვზი — მანჩესტერ იუნაიტედი 0:3; პორტსმუთი — ლივერპული 1:2

# ჩელსი გადარჩა, არსენალი ვერა

**ამ კვირაში** მეორე შინაური თასისთვის ბრძოლას გამოეთიშა ლონდონის „არსენალი". მეთოფენი ამჯერად „ბოლტონმა" დაითხოვა ასოციაციის თასიდან.

სტელიოს იანაკოპულოსმა მაშინ დაჰკრა ზუსტი თავური, როცა თამაშის ძირითადი დროის დამთავრებამდე 6 წუთიღა რჩებოდა.

სიმართლე ითქვას და, „არსენალი" მარცხს სულაც არ იმსახურებდა და სჯობდა კიდეც მასპინძლებს. იმის მიუხედავად, რომ არსენ ვენგერმა იმთავითვე თქვა, ჩემთვის მთავარ შეჯიბრებად ჩემპიონთა თასია და შაბათს ახალგაზრდებს ვათამაშებო. ახალგაზრდობამ „არსენალში" სოლ კემპბელის მხარდამხარ ითამაშა. მინდორზე იყვნენ აბუ დიაბი, მეთიუ ფლამინი, ჯოან ჯირუ და კერი ჯილბერტი.

ვენგერმა შედეგს „დაუნდობელი" უწოდა.

ბოლტონელთა მწვრთნელმა სემ ალარდაისმა კი, რომელიც გამოკითხვებით ხალხის რჩეულია ინგლისის ნაკრების სამენეჯეროდ, სტელიოსი აქო, წლეულს ერთხელ უკვე მოგვაგებინა „არსენალთან". საერთოდ კი წლეულს, „ბოლტონი" სადაც გადააწყდა მეთოფეებს, იქ დაამარცხა.

საკვირველი კი ის არის, რომ იაფი ბილეთების მიუხედავად, თამაშზე 13 326 მაყურებელი მივიდა. საკვირველად მოინათლა „ბრენტფორდისგან" „სანდერლენდის" ძლევა, თუმცა ამ თამაშის მეორე ტაიმში ლიგანახევრით დაბლა მყოფ „ბრენტფორდის" მეგოლემ დიჯეი კემპბელმა ისეთი მწარე დუბლი აუსრულა პრემიერლიგის მაჩანჩალებს, რომ საკვირველი არაფერი იყო. პატარა ლონდონური კლუბი შემდეგ წრეში გავიდა. ორი თასისთვის ბრძოლა არ გამოუვიდა ლიგის თასის ფინალში გასულ „უიგანს", რომელიც ენდი კოულმა დატოვა გათამაშების გარეთ.

„ევერტონსა" და „ჩელსის" კი ხელახლა მოუწევთ თამაში. შაბათ საღამოს „გუდისონ პარკზე" თითქმის ყველაფერი მზად იყო იმისთვის, რომ „ჩელსი" თასსგარეთ დარჩენილიყო. ჯეიმს მაკფადენის ზუსტი თავურიც, მერსისაიდელთა ჟინიც და სიხისტეც, მაგრამ ფრენკ ლამპარდმა თამაში იხსნა, ჟოზე მაურინიომ კი თქვა: „ჩვენ გადავრჩით და ახლა შინ ვითამაშებთ. ეს არ ნიშნავს, რომ უკვე შემდეგ წრეში ვართ, მაგრამ სტუმრად თამაშს ჯობს".

**ირაკლი გამყრელიძე**

### ჩემპიონატი. XXXI ტური
### უოტფორდი 4:1 ძრიუ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რედინგი | 30 | 22 | 7 | 1 | 62:16 | 73 |
| შეფილდი | 30 | 20 | 6 | 4 | 57:28 | 66 |
| უოტფორდი | 31 | 15 | 10 | 6 | 53:37 | 55 |
| ლიდსი | 29 | 16 | 6 | 7 | 41:24 | 54 |
| კრ. პალასი | 29 | 14 | 7 | 8 | 44:29 | 49 |
| პრესტონი | 29 | 11 | 14 | 4 | 37:22 | 47 |
| კარდიფი | 30 | 12 | 8 | 10 | 41:46 | 44 |
| ვულვზი | 30 | 10 | 13 | 7 | 34:26 | 43 |
| ლუთონი | 30 | 12 | 5 | 13 | 43:41 | 41 |
| ბარნლი | 30 | 11 | 6 | 13 | 39:40 | 39 |
| ნორვიჩი | 30 | 11 | 6 | 13 | 35:40 | 39 |
| ქუინზ პარკი | 30 | 10 | 9 | 11 | 34:41 | 39 |
| სტოკი | 30 | 12 | 2 | 16 | 35:44 | 38 |
| იფსვიჩი | 30 | 9 | 10 | 11 | 33:43 | 37 |
| საუთჰემპტონი | 30 | 7 | 14 | 9 | 29:32 | 35 |
| ქოვენთრი | 30 | 8 | 11 | 11 | 40:44 | 35 |
| პლიმუთი | 29 | 8 | 11 | 10 | 27:35 | 35 |
| ჰალი | 30 | 8 | 9 | 13 | 31:36 | 33 |
| დერბი | 30 | 6 | 14 | 10 | 40:47 | 32 |
| უენსდი | 30 | 7 | 9 | 14 | 24:37 | 30 |
| ბრაიტონი | 30 | 5 | 13 | 12 | 30:47 | 28 |
| ლესტერი | 30 | 5 | 11 | 14 | 29:40 | 26 |
| მილუოლი | 30 | 5 | 11 | 14 | 22:42 | 26 |
| ქრიუ | 31 | 4 | 10 | 17 | 34:67 | 22 |

### I ლიგა
### XXX ტური

ნოტინგემი — ბარნსლი 0:2; საუთენდი — სუინდონი 2:0; ბორნმუთი — ჩესტერფილდი 1:2; ბრედფორდი — ტრანმერი 0:0; ბრისტოლი — სუონსი 1:0; ჯილინგემი — როტერჰემი 1:1; ჰარტლპული — ბლეკპული 0:3; ჰადერსფილდი — ოლდემი 3:2. *დონსი — ბრენტფორდი გადაიდო*

### II ლიგა
### XXX ტური

ბერი — ნორთჰემპტონი 0:2; ჩესტერი — ნოტსი 0:2; დარლინგტონი — მენსფილდი 4:0; გრიმსბი — პიტერბრო 1:2; ლინკოლნი — როვერსი 1:0; როჩდეილი — ბოსტონი 1:1; რაშდენი — ოქსფორდი 3:0; შრიუსბერი — ტორკი 0:1; უიკომბი — სტოკპორტი 1:1; მაკლსფილდი — კარლაილი 3:0. *ჩელტენემი — რექსემი გადაიდო*

### კონფერენსლიგა
### XXX ტური

ალტრინჩემი — ალდერშოტი 5:1; კემბრიჯი — გრეივსენდი 1:1; ქონფი — ბარტონი 0:2; ქროული — მორეკემბი 1:3; გრეისი — ჰერეფორდი 2:2; ჰალიფაქსი — ფორესტ გრინი 1:0; სკარბორო — დაგენემი 0:1; სოთპორტი — კიდერმინსტერი 1:4; ტემუორთი — სტივენეიჯი 2:0; უოქინგი — იორკი 2:0. *ექსეტერი — აკრინგტონი დღეს გაიმართება*

# რობი შინ არის




# ბავშვის აღზრდა მუცლიდან იწყება
# ჯერ არდაბადებულს სისე უკვე ურტყამდა

**მთელი** ინგლისი პირღია დარჩა: 30 წლის რობი ფაულერი „მანჩესტერ სიტიდან" მშობლიურ „ლივერპულს" დაუბრუნდა თავისუფალი ტრანსფერით.

როგორც იან რაშმა თქვა, რაფა ბენიტესი სულელი სულაც არ არის და რობის ათი დამატებითი ქულის მოტანა შეუძლია კოპის გუნდისთვის.

თავად ფაულერმა კი თქვა: „არც კი მჯერა, რომ ასეა. შიშმაც კი შემიპყრო. „ენფილდისკენ" რომ მივდიოდი, აუწერელ მღელვარებას ვგრძნობდი. ქაღალდს რომ ხელი მოვაწერე, მივხვდი, რომ ამაზე დიდხანს ვოცნებობდი".

ფაულერის შინ დაბრუნება „ლივერპულისთვის" მორიგ უსიამოვნო ამბავს დაემთხვა. პოლიციელებმა დაკითხეს ფეხმძიმე ცოლის ცემაში ეჭვმიტანილი ჯიბრილ სისე. მანამდე სისემ ვიღაც ბავშვი სცემა და ამბობენ, რომ მისი დღეები „ლივერპულში" დათვლილია.

ლივერპულის პოლიციის პრესმდივანმა განაცხადა, რომ სისე ხუთშაბათ საღამოს დააკავეს, მისივე სახლიდან მოსული შეტყობინების საფუძველზე. თუმცა, სისემ ეს ამბავი უარყო და ფრანგულ „ეკიპს" უთხრა: „გაზეთებში ტყუილები წერია. ხუთშაბათს როგორ დამიჭირეს როცა პარასკევს ვარჯიშზე ვიყავი?"

ამგვარი განმარტება ყალბი ჩანს. პოლიცია ასახელებს მიახლოებით მისამართს და ქალისა და მისი აბობოქრებული ქმრის ასაკს.

ასეა თუ ისე, ჯიბრილ-ფერადთავიანს „ლივერპულში" დიდი დღე არ უჩანს. ასე რომ, რობი მართლაც დროულად დაბრუნდა.

ფაულერს 330-ჯერ უთამაშია „ლივერპულში" და 171 გოლი გაუტანია.

ახალი კონტრაქტით რობი კვირაში 20 ათას გირვანქას მიიღებს სეზონის ბოლომდე, მერე კი გამოჩნდება.

„სიტის" მენეჯერმა სტიუარტ პირსმა თქვა: „ის შინ ბრუნდებოდა, ოცნების ადგილას. როგორ შეიძლებოდა, ხელი შემეშალა?"

რაფას კი ის მოსწონს, რომ გუნდში ნაღდი ლივერპულური სულით გაჯერებული კაცი ეყოლება.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ბელგია

### იუპილერლიგა. XX ტური

**ბეერსხოტი 2:0 ანდერლეხტი**
1:0, 2:0 კავენსი (27, 85)

**სენტ ტრუიდენი 0:0 სტანდარდი**

**სერკლი 1:2 გენტი**
0:1 ვრანკენი (36), 0:2 ზოკო (75), 1:2 დეკელვერი (88)

**ბრიუსელი 1:1 ლოკერენი**
1:0 სნელდერსი (37), 1:1 ოვერმიერი (52)

**ლუვიე 2:2 ვარეგემი**
0:1 სერჟანი (32), 1:1 მაზურკევიჩი (45), 1:2 მეერტი (50), 2:2 ე. ოლისე (60)

**ლიერსი 2:0 ბევერენი**
1:0 იაკოვენკო (24), 2:0 მუიანოვიჩი (79)

**მუსკრონი 0:1 შარლერუა**
0:1 ედუარდო კოშტა (12)

**გენკი 2:0 ვესტერლო**
1:0 პეეტერსი (7), 2:0 პოკონოლი (38)

**რუზელარე 1:1 ბრიუგე**
1:0 ელუა (15), 1:1 იშიაკუ (70)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტანდარდი | 20 | 12 | 3 | 5 | 31:19 | 39 |
| ბრიუგე | 20 | 11 | 6 | 3 | 32:18 | 39 |
| ანდერლეხტი | 20 | 10 | 7 | 3 | 42:21 | 37 |
| გენკი | 20 | 9 | 7 | 4 | 34:23 | 34 |
| ვარეგემი | 20 | 10 | 4 | 6 | 38:31 | 34 |
| ვესტერლო | 20 | 9 | 5 | 6 | 28:19 | 32 |
| გენტი | 20 | 9 | 4 | 7 | 27:24 | 31 |
| ლოკერენი | 20 | 8 | 7 | 5 | 29:27 | 31 |
| ბრიუსელი | 20 | 7 | 8 | 5 | 24:21 | 29 |
| შარლერუა | 20 | 7 | 6 | 7 | 21:25 | 27 |
| რუზელარე | 20 | 6 | 7 | 7 | 31:25 | 25 |
| ბეერსხოტი | 20 | 7 | 3 | 10 | 27:34 | 24 |
| სერკლი | 20 | 6 | 4 | 10 | 26:33 | 22 |
| მუსკრონი | 20 | 6 | 2 | 12 | 26:34 | 20 |
| ბევერენი | 20 | 6 | 2 | 12 | 24:33 | 20 |
| ლუვიე | 20 | 4 | 7 | 9 | 19:37 | 19 |
| სენტ ტრუიდენი | 20 | 4 | 5 | 11 | 19:30 | 17 |
| ლიერსი | 20 | 2 | 7 | 11 | 10:31 | 13 |

### II კლასი. XX ტური

დაინცე — დეხელი 0:0; ოსტენდე — ანტვერპენი 1:1; მონსი — მეხელენი 3:1; შეუსდენი — ლომელი 1:1; ვირტონი — ოუდ ევერლე 0:3; გეელი — კორტრაიკი 2:0; სენტ ჟილი — ვაასლანდი 1:5; ვიგორი — ეუპენი 0:1; რონსე — ტუბეკე 2:1



# სამასი
# ბართეზის მშრალი იუბილე

მარსელელთა ცნობილი მეკარე ფაბიენ ბართეზისთვის ეს მატჩი მე-300 გამოდგა ჩემპიონატში და აჯი მშრალადაც შეინახა კარი.

**გიორგი ძაძამაძე**

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XXIV ტური

**ლე მანი 1:1 ტულუზი**
0:1 აკპა აკპრო (10), 1:1 ტულიო (22)
**ნანსი 0:0 აიაჩო**
**მარსელი 0:0 სოშო**
**ოსერი 2:0 რენი**
1:0 პიერონი (69პ), 2:0 კალენბერგი (80)
**ბორდო 1:0 ლანსი**
1:0 ლასლანდი (27პ)
**ლილი 3:1 მეცი**
1:0 კეიტა (3), 2:0 უიმბე (52ს.კ.), 3:0 ტავლარიდისი (64), 3:1 ბორბიკონი (90)
**მონაკო — ლიონი**
გადაიდო
**ნანტი — ტრუა**
გადაიდო
**სტრასბური — პსჟ**
გადაიდო
**სენტ ეტიენი — ნიცა**
გადაიდო

**შაბათს** ამინდმა საფრანგეთიც დაჩაგრა. დიდთოვლობას კოკისპირული წვიმაც დაერთო და თამაში შეუძლებელი გახდა. ამის გამო სამი მატჩი გადაიდო კიდეც. დანარჩენები კი რთულ პირობებში ჩატარდა.

მეორე ადგილზე მყოფი „ბორდო" „ლიონის" დევნას აგრძელებს. ჟირონდელებმა ამჯერად შინ სძლიეს საკმაოდ ძლიერ მეტოქე „ლანსს", რომელსაც მიმდინარე სეზონში „ლიონისა" და იმავ „ბორდოს" შემდეგ ყველაზე ნაკლები მატჩი წაუგია.

„ბორდო" მთელი თამაშის მანძილზე უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ ბოლო წამამდე სანერვიულოც არ მოჰკლებია. გადამწყვეტი გოლი 27-ე წუთზე გავიდა, როდესაც ჟან-კლოდ დარშევილი ადამა კულიბალიმ მოცელა, ხოლო პენალტი ვეტერანმა ლილიან ლასლანდმა ზუსტად დაარტყა.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოგება იყო. „ლანსი" კარგი გუნდია, თანაც მაქსიმუმი გაიღო, რათა ქულა მაინც მოეპოვებინა და მართლაც



AFP მარსელიდან

მარსელი — სოშო. აყირავებულ ფრანკ რიბერის ჟან კალვე გაურბის

მძიმე ბრძოლა გადავიტანეთ. ახლა ისლა დაგვრჩენია, იმედი დავიტოვოთ, რომ „ლიონი" ქულებს დაკარგავს" — თქვა ლასლანდმა.

ცოტა არ იყოს იწვალა „ოსერმაც", მაგრამ „რენის" გატეხვა მაინც შეძლო და უფრო გაიმყარა პოზიცია. გარდამტეხი ამ შეხვედრაშიც პენალტი გამოდგა, რომელიც 68-ე წუთზე დაინიშნა და ლუიჯი პიერონიმ გოლად აქცია. ამის შემდეგ სტუმრები უფრო გააქტიურდნენ, მაგრამ მე-80 წუთზე ტომას კალენბერგმა ისინიც დაამშვიდა და თავისიანებიც. თამაშის მიწურულს კი მასპინძლებს ლიონელ მატისი გაუძევეს.

„მარსელის" საქმე კი არც ისე კარგადაა. „ველოდრომის" ბინადრებმა თუ ასე გააგრძელეს, ევროტურნირებს მიღმა დარჩებიან. ჟან ფერნანდესის გუნდმა ამჯერად „სოშოსთან" წაიბორძიკა. მართალია, მასპინძლებმა უკეთ ითამაშეს და მომენტებიც ჰქონდათ, მაგრამ ეს რა ნუგეშია. შეხვედრამ კულმინაციას მე-80 წუთზე უწია, როდესაც სტუმართა კარში პენალტი დაინიშნა, მაგრამ საბრი ლამუშიმ ტრიბუნებისკენ დაარტყა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 23 | 16 | 6 | 1 | 39:15 | 54 |
| ბორდო | 24 | 12 | 9 | 3 | 22:12 | 45 |
| ოსერი | 24 | 13 | 3 | 8 | 32:24 | 42 |
| ლილი | 24 | 11 | 7 | 6 | 34:17 | 40 |
| პსჟ | 23 | 11 | 4 | 8 | 28:22 | 37 |
| მარსელი | 24 | 10 | 6 | 8 | 25:27 | 36 |
| ლე მანი | 24 | 10 | 5 | 9 | 24:19 | 35 |
| ლანსი | 24 | 7 | 13 | 4 | 30:20 | 34 |
| მონაკო | 23 | 9 | 6 | 8 | 22:18 | 33 |
| სენტ ეტიენი | 22 | 8 | 9 | 5 | 20:17 | 33 |
| ნანსი | 24 | 9 | 5 | 10 | 24:19 | 32 |
| რენი | 24 | 10 | 2 | 12 | 24:35 | 32 |
| ნანტი | 23 | 8 | 6 | 9 | 24:23 | 30 |
| ნიცა | 23 | 7 | 9 | 7 | 17:19 | 30 |
| ტულუზი | 23 | 7 | 6 | 10 | 21:27 | 27 |
| სოშო | 24 | 6 | 8 | 10 | 18:25 | 26 |
| ტრუა | 23 | 6 | 7 | 10 | 21:29 | 25 |
| აიაჩო | 24 | 3 | 8 | 13 | 13:29 | 17 |
| სტრასბური | 23 | 2 | 9 | 12 | 14:30 | 15 |
| მეცი | 24 | 2 | 8 | 14 | 14:39 | 14 |

II დივიზიონი

გადადებული მატჩი

**რეიმსი 0:0 გრენობლი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სედანი | 23 | 12 | 9 | 2 | 33:18 | 45 |
| ბასტია | 23 | 12 | 7 | 4 | 33:17 | 43 |
| ლორიანი | 23 | 11 | 9 | 3 | 30:14 | 42 |
| ვალანსიენი | 23 | 11 | 8 | 4 | 31:20 | 41 |
| კრეტეი | 23 | 8 | 9 | 6 | 31:19 | 33 |
| დიჟონი | 23 | 8 | 9 | 6 | 25:23 | 33 |
| რეიმსი | 23 | 6 | 12 | 5 | 20:14 | 30 |
| კაენი | 23 | 7 | 9 | 7 | 29:25 | 30 |
| შატორუ | 23 | 7 | 9 | 7 | 29:28 | 30 |
| გრენობლი | 23 | 7 | 8 | 8 | 20:24 | 29 |
| მონპელიე | 23 | 7 | 8 | 8 | 21:26 | 29 |
| გენიონი | 23 | 6 | 11 | 6 | 16:23 | 29 |
| ლე ავრი | 23 | 6 | 10 | 7 | 28:28 | 28 |
| ამიენი | 23 | 6 | 10 | 7 | 24:25 | 28 |
| ბრესტი | 23 | 6 | 8 | 9 | 22:26 | 26 |
| გენგამი | 23 | 5 | 10 | 8 | 17:19 | 25 |
| ისტრი | 23 | 5 | 9 | 9 | 20:31 | 24 |
| ლავალი | 23 | 6 | 4 | 13 | 20:31 | 22 |
| კლერმონი | 23 | 5 | 7 | 11 | 18:39 | 22 |
| სეტე | 23 | 2 | 8 | 13 | 18:35 | 14 |

თასის 1/32 ფინალი

ბრესტი — ამიენი 2:0; დიჟონი — მულინი 1:0; ბასტია — აგდე 2:0დ.დ.(0:0). ვიტრი — კაენი, მონპელიე — რუა და სენ ჟენევივი — კალე გადაიდო

# წყვილი კურდღელი რომანოვებს

## შოტლანდია

პრემიერლიგა. XXIV ტური

**აბერდინი 2:2 კილმარნოკი**
1:0 ნიკოლსონი (10), 1:1 ნეისმიტი (31პ), 2:1 ანდერსონი (74), 2:2 ლილეი (85)
**სელტიკი 3:3 დანდი იუნ.**
1:0 ჰართსონი (9), 1:1 ფერნანდესი (40), 2:1 ჟურავსკი (49), 3:1 ს. პეტროვი (67), 3:2 მილერი (82), 3:3 ფერნანდესი (86)
**დანფერმლაინი 1:1 მოზერუელი**
1:0 იანგი (11), 1:1 ჰამილტონი (52)
**ჰართსი 4:1 ჰიბერნიანი**
1:0 ჰარტლი (27), 2:0 სკაჩელი (41), 3:0 ჰარტლი (44პ), 4:0 ელიოტი (50), 4:1 ოკონორი (58)
**ლივინგსტონი 0:1 ფოლკირკი**
0:1 ოდონელი (35)
**ინვერნესი 2:3 რეინჯერსი**
0:1 ბოიდი (6), 1:1 დარგო (13), 1:2 ენდრიუსი (27), 1:3 ბოიდი (58პ), 2:3 ვისი (72)

**გლაზგოს** „სელტიკს" ფეხი დაუცდა, გორდონ სტრაჩანის გუნდმა „ჰემპდენ პარკზე" „დანდი იუნაიტედისგან" სამი გოლი მიიღო და ფრესლა გამორჩა. თუმცა სელტიკელები 82-ე წუთამდე დამაჯერებლად იგებდნენ.

მასპინძლები მალევე დაწინაურდნენ — შუნსუკე ნაკამურას ჩაწოდებულ ჯარიმას ჯონ ჰართსონი დაუხვდა და 1:0. „სელტიკი" თითქოს უპრობლემოდ აკონტროლებდა თამაშს, მაგრამ ტაიმის მიწურულს მცველებს დავიდ ფერნანდესი მაინც გაეპარათ, რომელსაც ახლოდან გატანა არ გასჭირვებია.

49-ე წუთზე „სელტიკმა" პირველის მსგავსი გოლი შეაგდო, ამჯერად ჯარიმა შონ მელონიმ ჩააწოდა, ბურთს კი თავი მაცეი ჟურავსკიმ დაუხვედრა. ბულგარელი სტილიან პეტროვის 35 მეტრიდან გატანილმა გოლმა თითქოს ყველაფერი ჩააცხრო, მაგრამ გლაზგოელთა დაცვა კიდევ ორჯერ ჩაიჭრა და დანდელებმაც ამით მშვენივრად ისარგებლეს.

„დაცვაში ძალიან ცუდად ვთამაშობთ, ბევრ გოლს ვუშვებთ. სათქმელად ადვილია, რომ ლიდერი გვჭირდება, მაგრამ ასეთი ფეხბურთელები არ ჩანან. გამორჩეულად ბრძოლისუნარიან მცველს თუ ვიპოვით, აუცილებლად შევიძენთ, იქამდე კი უნდა ვიმუშაოთ, რათა ვითარება გამოსწორდეს. ამდენი შეცდომის დაშვება არ შეიძლება" — დაიჩივლა „სელტიკის" მწვრთნელმა გორდონ სტრაჩანმა.

ამან ვლადიმირ რომანოვის „ჰართსის" წისქვილზე დაასხა წყალი. გრემ რიქსის გუნდმა ედინბურგულ დერბიში ერთ-ერთი უშუალო კონკურენტი, „ჰიბერნიანი" გაანადგურა და გლაზგოელებთან სხვაობა 8 ქულამდე შეამცირა, ხოლო თანაქალაქელს უკვე 9 ქულით უსწრებს და მეორე ადგილზე მყარად დამკვიდრდა.



სტილიან პეტროვს მეტოქემ კვანტი გამოსდო

**კოკი ძანდელაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 24 | 18 | 4 | 2 | 63:26 | 58 |
| ჰართსი | 24 | 15 | 5 | 4 | 49:19 | 50 |
| რეინჯერსი | 24 | 12 | 7 | 5 | 44:28 | 43 |
| ჰიბერნიანი | 24 | 13 | 2 | 9 | 41:34 | 41 |
| კილმარნოკი | 24 | 10 | 7 | 7 | 44:39 | 37 |
| ინვერნესი | 24 | 8 | 10 | 6 | 32:25 | 34 |
| მოზერუელი | 24 | 8 | 6 | 10 | 38:43 | 30 |
| აბერდინი | 24 | 6 | 11 | 7 | 27:29 | 29 |
| დანდი იუნ. | 24 | 6 | 8 | 10 | 28:39 | 26 |
| ფოლკირკი | 24 | 5 | 5 | 14 | 24:48 | 20 |
| დანფერმლაინი | 24 | 3 | 5 | 16 | 19:45 | 14 |
| ლივინგსტონი | 24 | 2 | 6 | 16 | 13:47 | 12 |

I დივიზიონი
XXIV ტური

კლაიდი — ჰამილტონი 2:2; დანდი — სტრანრარი 2:1; ქუინი — ერდრი 2:0; სენტ ჯონსტონი — ბრეჩინი 3:0; სენტ მირენი — როსი 0:1

II დივიზიონი
XXIV ტური

ალოა — გრეტნა 0:3; ეარი — მორტონი 1:1; დამბარტონი — სტირლინგი 3:2; პარტიკი — ფორფარი 1:0; პიტერჰედი — რეითი 0:0

III დივიზიონი
XXIV ტური

ალბიონი — ბერვიკი 0:1; არბროთი — კოუდენბითი 4:1; ისტ ფაიფი — ქუინზ პარკი 0:1; ისტ სტირლინგი — ელგინი 0:2; მონტროუზი — სტენჰაუზმური 0:2

## საბერძნეთი

ეროვნული ლიგა
XVII ტური

ატრომიტოსი — პაოკ 2:1; ირაკლისი — აეკ 4:0; პანათინაიკოსი — იონიკოსი 1:0; ქსანთი — ოფი 0:0; აკრატიტოსი — ეგალეო 0:3; კალითეა — ლარისა 2:1. ლევადიაკოსი — კალამარია გადაიდო, პანიონიოსი — ოლიმპიაკოსი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 16 | 14 | 0 | 2 | 35:9 | 42 |
| აეკ | 17 | 12 | 3 | 2 | 23:12 | 39 |
| პანათინაიკოსი | 17 | 10 | 3 | 4 | 27:15 | 33 |
| ირაკლისი | 17 | 8 | 4 | 5 | 21:17 | 28 |
| პაოკ | 17 | 7 | 6 | 4 | 27:17 | 27 |
| ქსანთი | 17 | 7 | 5 | 5 | 19:15 | 26 |
| ეგალეო | 17 | 6 | 7 | 4 | 16:17 | 25 |
| ატრომიტოსი | 17 | 7 | 3 | 7 | 20:19 | 24 |
| იონიკოსი | 17 | 5 | 7 | 5 | 22:21 | 22 |
| ლარისა | 17 | 5 | 5 | 7 | 18:22 | 20 |
| კალამარია | 16 | 5 | 4 | 7 | 16:22 | 19 |
| ლევადიაკოსი | 16 | 3 | 5 | 8 | 10:17 | 14 |
| ოფი | 17 | 2 | 7 | 8 | 10:21 | 13 |
| პანიონიოსი | 16 | 3 | 3 | 10 | 11:25 | 12 |
| კალითეა | 17 | 2 | 6 | 9 | 13:24 | 12 |
| აკრატიტოსი | 17 | 2 | 4 | 11 | 8:23 | 10 |

**იყიდება**

1998 წელს გამოშვებული **VOLKSWAGEN PASSAT 1.9 TDI** ძრავით, ნორმალურ მდგომარეობაში, 2000 წელში ჩამოყვანილი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 8 99 90 08 68

# მაქსფაქტორი ათლეტებისთვის

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი XXI ტური

**მალიორკა 0:3 ბარსელონა**

0:1 ჟიული (39), 0:2, 0:3 მესი (75, 81)
მალიორკა: მოია, კორტესი, ნუნესი, ფ. ნავარო, ტუციო, დონი, არანგო, ფარინოსი (კამპანო 79), ვიქტორი (ტუნი 78), გუტიერესი, ოკუბო
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ბარსელონა: ვ. ვალდესი, პუიოლი, მარკესი, ოლეგერი (გაბრი 82), სილვინიო, ედმილსონი, ვან ბომელი (ინიესტა 53), დეკო, ჟიული, რონალდინიო, ლარსონი (მესი 73)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: კორტესი, ნავარო, ტუციო, არანგო, ტუციო, ედმილსონი, ვან ბომელი, რონალდინიო
გაძევება: ტუციო (72)
მსაჯი: მეხია დავილა
23 000 მაყურებელი

**ვალენსია 2:2 სარაგოსა**

0:1 სერხიო გარსია (45), 0:2 ევერტონი (64), 1:2 კლუივერტი (83), 2:2 აიმარი (89)
ვალენსია: კანიზარესი, მიგელი, ფაურელიო, დ. ნავარო, მორეტი (მისტა 58), ბარახა, რეგეირო (უგო ვიანა 58), რუფეტე (კლუივერტი 74), ალბიოლი, ვილია, აიმარი
მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი
სარაგოსა: კარლოს სანჩესი, კუარტერო (ტოლედო 79), ალვარო, გ. მილიტო, ჩანი, პონციო, სელადესი, ოსკარი, ხენერელო, სერხიო გარსია (საპატერი 63), დ. მილიტო (ევერტონი 46)
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
გაფრთხილება: კარლოს სანჩესი, კუარტერო, სელადესი, კანისარესი, ხენერელო, ნავარო, ბარახა, ხენერელო
გაძევება: ხენერელო (82)
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
45 000 მაყურებელი

**სელტა 1:2 რეალი**

0:1 რობინიო (17), 1:1 ლეკი (40), 1:2 სისინიო (57)
სელტა: პინტო, სერხიო, ხოსე ენრიკე, ლეკი (ხუან სანჩესი 86), ანხელ ლოპესი, ოუბინია, კანობიო, დავიდ სილვა, ნუნიესი (გუსტავო ლოპესი 75), ხავი გერერო, ხორხე (ხესუს პერერა 61)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
რეალი: კასილიასი, სისინიო (დიოგო 80), სერხიო რამოსი, ი. ელგერა, რობერტო კარლოსი, ბექემი, გრავესენი (ვუდგეიტი 45), გუტი, ზიდანი, ჟულიო ბაპტისტა (კასანო 70), რობინიო
მწვრთნელი: ხუან რამონ ლოპეს კარო
გაფრთხილება: სერხიო, ლეკი, ანხელ ლოპესი, რობერტო კარლოსი, ზიდანი, რობინიო
მსაჯი: ტეიშეირა ვიტიენესი
30 000 მაყურებელი

**ოსასუნა 0:2 ბეტისი**

0:1 ლუის ფერნანდესი (33), 0:2 ედუ (60)
ოსასუნა: რიკარდო, ისკიერდო (მუნიოსი 67), კუელიარი, ხოსეჩო, კორალესი, რაულ გარსია, ორტისი (დელპორტი 46), პუნიალი, ფრან მორენო (ბრიტი 46), დავიდ ლოპესი, რომეო
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
ბეტისი: დობლასი, ლუის ფერნანდესი, ხუანიტო, ვარელა, მელი, კაპი (კანიასი 86), ხოაკინი (ტარდელი 88), რივერა, დანი, ხისკო (არზუ 78), ედუ
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
გაფრთხილება: კაპი, კორალესი
მსაჯი: ესკინას ტორესი
15 000 მაყურებელი

**სევილია 2:0 ვილიარეალი**

1:0 ლუის ფაბიანო (29), 2:0 კანუტი (58)
სევილია: პალოპი, ხავი ნავარო (აიტორ ოსიო 76), დავიდი, დრაგუტინოვიჩი, დანიელ ალვესი, ხესუს ნავასი (ხესული 83), ადრიანო, მარტი, მარესკა, ლუის ფაბიანო (სავიოლა 62), კანუტი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ვილიარეალი: ვიერა, გონსალო (არზო 83), არუაბარენა, სორინი (კალეხა 76), ხავი ვენტა, პენია, ხოსიკო, სენა, კაზორლა (ექტორ ფონტი 65), ფორლანი, ხოსე მარი
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
გაფრთხილება: ხოსიკო, სორინი, გონსალო, ხოსიკო, კალეხა
გაძევება: ხოსიკო (45)
მსაჯი: პინო სამორანო
40 000 მაყურებელი

**ატლეტიკო 3:2 დეპორტივო**

1:0 მაქსი როდრიგესი (32), 1:1 რუბენი (47), 2:1 ანტონიო ლოპესი (54), 2:2 კაპდევილა (58), 3:2 მაქსი როდრიგესი (82)
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, ველასკო, ანტონიო ლოპესი, პერეა, პაბლო, იბაგასა (კოლსა 89), ლუქსენი, მაქსი როდრიგესი (გაბი 86), მ. პეტროვი, ფ. ტორესი, კელმანი (გალეტი 73)
მწვრთნელი: პეპე მურსია
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, კოლოჩინი, ხუანმა, კაპდევილა, ექტორი, დუშერი, დე გუცმანი (ხისკო 89), სერხიო (არისმენდი 46), ტრისტანი (რუბენი 46), მუნიტისი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: დე გუცმანი, კელმანი, პაბლო, დუშერი, იბაგასა, კაპდევილა, პერეა, მუნიტისი, ველასკო
მსაჯი: ფერნანდეს ბორბალანი
40 000 მაყურებელი

**ბილბაო 1:0 ხეტაფე**

1:0 ორბაისი (63პ)
ბილბაო: ლაფუენტე, ლაკრუსი, ლ. პრიეტო, ორბაისი, ამორებიეტა, იესტე (ტიკო 81), ირაოლა, გურპეგი, უსტარიცი (დანიობეიტია 55), ურსაისი, ადურიცი (ექსპოზიტო 88)
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
ხეტაფე: კალატაიუდი, მ. პერნია, ბელენგერი, მატელანი, დ. რივასი, მარიო კოტელო, რედონდო (პაჩონი 80), სელესტინი (პაუნოვიჩი 79), გავილანი, რიკი, გიზა (ვივარ დორადო 70)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: ამორებიეტა, ბელენგერი, კალატაიუდი, იესტე, რედონდო, ორბაისი
მსაჯი: პუენტეს ლეირა
34 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 3:1 მალაგა**

1:0, 2:0 ტამუდო (9, 20), 3:0 ლუის გარსია (31), 3:1 ალექსისი (39)
ესპანიოლი: ირაისოსი, ლოპო, დომი (კორო 70), ხარკე, მოიზესი, ედუარდო კოშტა, დე ლა პენია, იტო, ხუანფრანი (ხოფრე 83), ლუის გარსია (დავიდ გარსია 63), ტამუდო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
მალაგა: არნაუ, გაბრიელი (ჩენგე მორალესი 54), ლიტოსი, ალექსისი, ფ. სანსი (ედგარი 46), ხერარდო, ანტონიო ლოპესი, ხავი როდრიგესი, ბოვიო, სალვა, კუნაგო (იდალგო 75)
მწვრთნელი: ანტონიო ტაპია
გაფრთხილება: დომი, სანსი, ანტონიო ლოპესი, ლუის გარსია, ლიტოსი
მსაჯი: უნდიანო მალენკო
20 000 მაყურებელი

**ალავესი 3:1 სოსიედადი**

1:0 კარპინტერო (33), 2:0, 3:0 ალონზო (67, 86), 3:1 სტეფანოვიჩი (89)
ალავესი: კოსტანცო, კორომინა, პელეგრინო, ხუანიტო, სარიეგი, კარპინტერო, ედუ ალონსო, ხანდრო (დე ლუკასი 69), ნენე, ბოდიპო (ლასენი 80), ალონზო
მწვრთნელი: ხუან კარლოს ოლივა
სოსიედადი: რიესგო, ხაურეგი, ლოპეს რეკარტე, სიფუენტესი (ბარკერო 70), ანსოტეგი (სტეფანოვიჩი 78), ნოვო, გაბილონდო (გარი ურანგა 39), მიკელ ალონსო, ხ. პრიეტო, სკოუბო, ნიჰათი
მწვრთნელი: ხოსე ამორორტუ
გაფრთხილება: სარიეგი, ხუანიტო, ანსოტეგი
მსაჯი: პერეს ბურული
17 000 მაყურებელი

**კადისი 1:1 რასინგი**

0:1 ფელიპე მელო (65პ), 1:1 რაულ ლოპესი (74)
კადისი: არმანდო, დე ლა კუესტა, რაულ ლოპესი, ბერიცო, ვარელა, ქსტოიანოფი (ენრიკე 52), ბენხამინი, ბეზარესი (ფლურკინი 52), მიროსავლიევიჩი (ლობოსი 62), ხონათან სესმა, ა. მედინა
მწვრთნელი: ვიქტორ ესპარაგო
რასინგი: აუატე, დამია, ორიოლი, ნერუ, პინილიოსი, პაბლო ალფარო, ვიტოლო (ანტონიო ტომასი 88), ფელიპე მელო, მატაბუენა, ოსკარ სერანო (ხ. ვალე 75), პინილია (ანტონიტო 62)
მწვრთნელი: მანოლო პრესიადო
გაფრთხილება: ვიტოლო, ნერუ, ოსკარ სერანო, მედინა, ფლურკინი, ბერიცო, მატაბუენა, ფელიპე მელო
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
19 000 მაყურებელი

მადრიდის „ატლეტიკომ“, რომელიც „ვისენტე კალდერონზე“ ახალი მწვრთნელის, პეპე მურსიას თავკაცობით წარდგა, დაძაბულ ჯახში „დეპორტივოს“ მოუგო და გულშემატკივრებს კარლოს ბიანკის დროინდელი ფიასკო მცირე ხნით დაავიწყა. ხოაკინ კაპაროსის შეგირდთა ბეჭებზე დადება იოლი არ გახლდათ, „დეპორს“ ოღონ პირველ ტაიმში „ჩაეძინა“, შესვენების მერე კი სტუმრებმა ორჯერ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება.

ლაკორუნიელებს ტრავმირებული ვალერონის არყოფნა აშკარად ეტყობოდათ. თუმც მეორე ტაიმში კასტროსა და არისმენდის გამოჩენამ ცხადი გახადა, რომ გალისიელები უომრად არავის ნებდებიან. მადრიდელებმა უკვე მესამე წუთზე შეუტიეს სახიფათოდ — მაქსის ძლიერი გასროლა მეკარე მოლინამ უკუაგდო. მომხდურთაგან თამაშის პირველ ნახევარში საუკეთესოც მოლინა იყო. მადრიდელებმა შესვენებამდე ოღონ ერთი გაუტანეს (იბაგასას პასით მაქსიმ იხეირა), შემდეგ კი ტორესი, კელმანი და პეტროვი ამაოდ ცდილობდნენ მოლინას დამწუხრებას.

მეორე ტაიმში რუბენ კასტროს ფეხი ხეირიანად არ დაედგა მოედანზე, გოლი რომ გაიტანა. 54-ე წუთზე ანტონიო ლოპესმა იქამდე ჩაკეტილი მოლინას კარი საჯარიმო დარტყმით აიღო. ცოტა ხანში გალისიელებმა კაპდევილას თავურით ანგარიში კვლავ გაათანაბრეს. თუმც გამარჯვება მაინც ათლეტებმა იზეიმეს — 81-ე წუთზე არგენტინელმა მაქსიმ პეტროვის პასით ისარგებლა და გადამწყვეტი გოლი შეაგდო.

შაბათის სხვა შეხვედრებში „რამონ დე კარანსაზე“ „კადისმა“ და „რასინგმა“ ოღონ ჯაჯგურა ფრეს მიაღწიეს, ხოლო „ბილბაომ“ შინაურ „სან მამესზე“ „ხეტაფე“ დაამარცხა. ბასკებისთვის ეს წლეულს პირველი გამარჯვება გახლავთ — გოლი „ხეტაფეს“ კარში ორბაისმა პენალტით გაიტანა.

ვიქტორ მუნიოსის „სარაგოსამ“ „მესტალიაზე“ თავისი კარგიც აჩვენა და ცუდიც. მას შემდეგ, რაც სერხიო გარსიამ და ბრაზილიელმა ევერტონმა „ვალენსიას“ ორი გოლი გაუტანეს, „ღამურებს“ თითქოს ფრთები უნდა მოსტეხოდათ. მაგრამ მასპინძლებმა ძალა მოიკრიბეს და მატჩის ბოლოს დაქანცულ „სარაგოსას“ ანგარიში გაუთანაბრეს. 82-ე წუთზე პატრიკ კლუივერტმა არაგონელთა კარში აუღებელი დაარტყა, ხოლო 88-ზე აიმარმა თავურით აანთო ტაბლოზე 2:2.

„ესპანიოლმა“ შინაურ „მონჟუიკზე“ „მალაგას“ 3:1 მოუგო. კატალონიელთაგან გოლები რაულ ტამუდომ და ლუის გარსიამ გაიტანეს. კვლავ ჰაერში გამოკიდული რჩება „მალაგას“ მწვრთნელის, ანტონიო ტაპიას ბედი — კლუბის თავკაცებმა „სელტასთან“ წინა ტურში დამარცხება კი აპატიეს, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, „ესპანიოლის“ მერეც რომ მიუტევონ... ტაპიას, ალბათ, მალე გაუშვებენ, „მალაგა“ პრემიერაში ხომ ერთადერთი გუნდია, 2006 წელს ქულა საერთოდ რომ ვერ აუღია.

ალავესი-სოსიედადი მასპინძელი ბასკების გამარჯვებით დასრულდა. ხოსე მარია ამორორტუს ბიჭები (განსაკუთრებით, თურქი ნიჰათი) ძლიან კი უტევდნენ, თუმცა ბოლოს გამარჯვება „ალავესს“ დარჩა. პირველმა „სოსიედადის“ კარი სანტი კარპინტერომ დალაშქრა, ხოლო მერე ალონზომ ორჯერ გაახარა ვიტორიელი ბასკები. ბალკანელი სტეპანოვიჩის 89-ე წუთზე გატანილ გოლს სიმბოლური მნიშვნელობაღა ჰქონდა.

„სევილიამ“ და „ბეტისმა“ ერთნაირი ანგარიშით, 2:0 დაამარცხეს „ვილიარეალი“ და „ოსასუნა“. განსხვავება კი ის იყო, რომ „სევილია“ შინ ბურთაობდა, „ბეტისმა“ კი „ოსასუნას“ გასვლაზე მოუღო ბოლო.

პრიმერას ლიდერმა „ბარსელონამ“ ამჯერად მეზობელი „მალიორკა“ გაანადგურა. წინა მატჩი რაიკარდის შეგირდებმა თასზე წააგეს და, იცოცხლე, „სარაგოსას“ ჯავრი საწყალ „მალიორკაზე“ იყარეს — პირველ ტაიმში ჟიულიმ გაიტანა, ხოლო მატჩის მიწურულს შეცვლაზე შესულმა ლეო მესიმ შეაგდო ორი ერთი მეორეზე უკეთესი გოლი.

ლოპეს კაროს „რეალმა“ ვიგოში „სელტას“ გაჭირვებით მოუგო და მორიგი სამი ქულაც გაინაღდა. თამაში იქნებ ფრეც მორჩენილიყო, ვიტიენესს „სელტას“ გოლი რომ ჩაეთვალა...

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 21 | 16 | 4 | 1 | 52:16 | 52 |
| ვალენსია | 21 | 11 | 7 | 3 | 32:19 | 40 |
| რეალი | 21 | 12 | 3 | 6 | 38:23 | 39 |
| ოსასუნა | 21 | 12 | 3 | 6 | 27:23 | 39 |
| სევილია | 21 | 10 | 5 | 6 | 27:20 | 35 |
| ვილიარეალი | 21 | 9 | 7 | 5 | 27:20 | 34 |
| დეპორტივო | 21 | 9 | 6 | 6 | 30:24 | 33 |
| სელტა | 21 | 10 | 3 | 8 | 23:24 | 33 |
| ხეტაფე | 21 | 8 | 4 | 9 | 29:26 | 28 |
| სარაგოსა | 21 | 6 | 10 | 5 | 27:27 | 28 |
| ატლეტიკო | 21 | 6 | 8 | 7 | 23:22 | 26 |
| რასინგი | 21 | 5 | 9 | 7 | 19:25 | 24 |
| ესპანიოლი | 21 | 6 | 6 | 9 | 20:29 | 24 |
| ბეტისი | 21 | 5 | 7 | 9 | 17:27 | 22 |
| სოსიედადი | 21 | 6 | 4 | 11 | 30:42 | 22 |
| კადისი | 21 | 5 | 6 | 10 | 16:25 | 21 |
| ბილბაო | 21 | 4 | 7 | 10 | 24:30 | 19 |
| ალავესი | 21 | 4 | 6 | 11 | 19:32 | 18 |
| მალიორკა | 21 | 4 | 6 | 11 | 20:37 | 18 |
| მალაგა | 21 | 4 | 5 | 12 | 24:33 | 17 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 18 |
| ვილია (ვალენსია) | 13 |
| რონალდინიო (ბარსელონა) | 11 |
| ტრისტანი (დეპორტივო) | 10 |
| რონალდო (რეალი) | 9 |
| დ. მილიტო (სარაგოსა) | 9 |
| რიკელმე (ვილიარეალი) | 9 |

**XXI ტური**

28-29 იანვარი

| | | |
|---|---|---|
| ვალენსია | : | სარაგოსა |
| სევილია | : | ვილიარეალი |
| კადისი | : | რასინგი |
| სელტა | : | რეალი |
| ესპანიოლი | : | მალაგა |
| ბილბაო | : | ხეტაფე |
| ალავესი | : | სოსიედადი |
| მალიორკა | : | ბარსელონა |
| ატლეტიკო | : | დეპორტივო |
| ოსასუნა | : | ბეტისი |

**სეგუნდადივიზიონი**

**XXII ტური**

ალმერია — ნუმანსია 1:2; ელჩე — ეიბარი 1:1; უელვა — სიუდად მურსია 1:0; კასტელიონი — ლეიდა 0:3; ფეროლი — ლორკა 0:3; მურსია — ვალიადოლიდი 2:2; პოლი ეხიდო — ლევანტე 0:0; ხიმნასტიკი — ტენერიფე 0:0; მალაგა B — ერკულესი 1:1; რეალი B — ხერესი 4:3. *ალბასეტე — სპორტინგი გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხერესი | 22 | 12 | 7 | 3 | 38:22 | 43 |
| უელვა | 22 | 12 | 7 | 3 | 34:19 | 43 |
| ვალიადოლიდი | 22 | 8 | 11 | 3 | 32:24 | 35 |
| ლევანტე | 22 | 9 | 8 | 5 | 30:23 | 35 |
| ლორკა | 22 | 9 | 7 | 6 | 30:20 | 34 |
| ალმერია | 22 | 10 | 4 | 8 | 29:23 | 34 |
| ხიმნასტიკი | 22 | 10 | 3 | 9 | 21:23 | 33 |
| მურსია | 22 | 8 | 7 | 7 | 23:21 | 31 |
| ელჩე | 22 | 8 | 7 | 7 | 29:32 | 31 |
| სპორტინგი | 21 | 7 | 9 | 5 | 25:19 | 30 |
| რეალი B | 22 | 8 | 5 | 9 | 32:27 | 29 |
| სიუდად მურსია | 22 | 7 | 7 | 8 | 23:29 | 28 |
| ერკულესი | 22 | 6 | 9 | 7 | 25:28 | 27 |
| ალბასეტე | 21 | 7 | 6 | 8 | 22:28 | 27 |
| ნუმანსია | 22 | 6 | 8 | 8 | 20:30 | 26 |
| ლეიდა | 22 | 7 | 4 | 11 | 23:25 | 25 |
| ფეროლი | 22 | 5 | 10 | 7 | 27:31 | 25 |
| ტენერიფე | 22 | 6 | 6 | 10 | 27:35 | 24 |
| პოლი ეხიდო | 22 | 6 | 5 | 11 | 24:31 | 23 |
| ეიბარი | 22 | 4 | 10 | 8 | 17:25 | 22 |
| კასტელიონი | 22 | 5 | 7 | 10 | 19:28 | 22 |
| მალაგა B | 22 | 4 | 7 | 11 | 16:23 | 19 |

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. XXI ტური

**როდა 1:4 ალკმაარი**

0:1 არველაძე (2), 1:1 ვოიგტი (18), 1:2 არველაძე (39), 1:3 შიუხეგემსი (48), 1:4 არველაძე (53)

**სპარტა 1:0 ტვენტე**

1:0 ოოსტი (2)

**ტილბურგი 2:2 ნაიმეგენი**

1:0 დემბელე (8), 2:0 ვან მოსელველდი (25), 2:1, 2:2 დ. ჯონსი (76, 84პ)

**როზენდალი 0:2 ჰერენვენი**

0:1 ბრუგინკი (31), 0:2 ჰანსონი (84)

**დენ ჰააგი 0:2 პსვ**

0:1 ფარფანი (55), 0:2 კოკუ (78)

**აიაქსი 1:4 უტრეხტი**

0:1 ა. რამზი (2), 1:1 როზენბერგი (46), 1:2, 1:3 ა. რამზი (48, 86), 1:4 ნელისე (89პ)

**გრონინგენი 3:2 ბრედა**

1:0 ლევჩენკო (18პ), 1:1 ვან გესელი (56), 2:1 სალმონი (57), 2:2 ლეონარდო (74), 3:2 ლინდგრენი (90)

**ვალვაიკი 0:1 ვიტესი**

0:1 დინგსდაგი (64)

**ჰერაკლესი 0:4 ფეიენოორდი**

0:1 ს. კალუ (25), 0:2 კუიტი (36), 0:3 კასტელენი (39), 0:4 ბაუვე (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 21 | 16 | 3 | 2 | 42:12 | 51 |
| ფეიენოორდი | 21 | 15 | 3 | 3 | 54:19 | 48 |
| ალკმაარი | 21 | 15 | 3 | 3 | 54:20 | 48 |
| უტრეხტი | 21 | 10 | 6 | 5 | 32:24 | 36 |
| გრონინგენი | 21 | 11 | 3 | 7 | 30:25 | 36 |
| ნაიმეგენი | 21 | 10 | 5 | 6 | 28:22 | 35 |
| აიაქსი | 21 | 10 | 4 | 7 | 35:27 | 34 |
| ჰერენვენი | 21 | 9 | 6 | 6 | 40:32 | 33 |
| ვიტესი | 21 | 10 | 2 | 9 | 33:30 | 32 |
| ვალვაიკი | 21 | 9 | 4 | 8 | 36:37 | 31 |
| როდა | 21 | 8 | 2 | 11 | 32:39 | 26 |
| ჰერაკლესი | 21 | 7 | 4 | 10 | 23:41 | 25 |
| ტვენტე | 21 | 6 | 4 | 11 | 25:27 | 22 |
| სპარტა | 21 | 5 | 5 | 11 | 18:29 | 20 |
| ბრედა | 21 | 5 | 5 | 11 | 25:40 | 20 |
| დენ ჰააგი | 21 | 5 | 3 | 13 | 22:42 | 18 |
| ტილბურგი | 21 | 2 | 5 | 14 | 21:46 | 11 |
| როზენდალი | 21 | 0 | 5 | 16 | 12:50 | 5 |

**II დივიზიონი. XXVII ტური**

დორდრეხტი — ვეენდამი 1:2; ალმერე — სიტარდი 1:1; ვოლენდამი — ეინდჰოვენი 1:0; ზვოლე — ტელსტარი 2:2; ჰაარლემი — იგლსი 5:0; ჰელმონდი — კამბური 1:2; ოსი — ვენლო 1:0. *გრააფსხაპი — დენ ბოსხი, ემენი — აპელდორნი და მაასტრიხტი — ექსელსიორი გადაიდო*

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XX ტური

**ფერეირა 0:1 ბოავიშტა**

0:1 პ. ჟორჟე (20)

**ნავალი 2:0 ამადორა**

1:0 ლიტო (29), 2:0 ფაიარდო (67)

**ბენფიკა 1:3 სპორტინგი**

1:0 სიმაო (28პ), 1:1 ზა პინტუ (64პ) 1:2, 1:3 ლიდსონი (74, 82)

**ბელენენსეში 5:0 პენაფიელი**

1:0 აპამადა (21), 2:0 როლანდო (35), 3:0 რომეუ (45), 4:0, 5:0 აპამადა (52, 64)

**მარიტიმუ 3:0 ლეირია**

1:0, 2:0 ზე კარლოსი (61, 66), 3:0 ე. კანუ (78პ)

**ნასიონალი 2:0 ჟილ ვისენტე**

1:0 ა. პინტუ (34), 2:0 ავალოსი (58)

**რიუ ავე 0:0 პორტუ**

**ბრაგა — გიმარაეში**

*წუხელ გვიან დამთავრდა და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

**სეტუბალი — აკადემიკა**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 20 | 13 | 5 | 2 | 31:12 | 44 |
| ბენფიკა | 20 | 12 | 4 | 4 | 32:16 | 40 |
| ნასიონალი | 20 | 11 | 6 | 3 | 26:11 | 39 |
| სპორტინგი | 20 | 11 | 4 | 5 | 30:21 | 37 |
| ბრაგა | 19 | 11 | 3 | 5 | 20:11 | 36 |
| სეტუბალი | 19 | 10 | 3 | 6 | 16:10 | 33 |
| ბოავიშტა | 20 | 8 | 8 | 4 | 26:19 | 32 |
| მარიტიმუ | 20 | 6 | 9 | 5 | 25:22 | 27 |
| ლეირია | 20 | 7 | 4 | 9 | 24:28 | 25 |
| რიუ ავე | 20 | 6 | 7 | 7 | 24:27 | 25 |
| ამადორა | 20 | 7 | 4 | 9 | 17:20 | 25 |
| ბელენენსეში | 20 | 7 | 3 | 10 | 24:22 | 24 |
| ფერეირა | 20 | 6 | 4 | 10 | 21:28 | 22 |
| ჟილ ვისენტე | 20 | 6 | 3 | 11 | 17:25 | 21 |
| აკადემიკა | 19 | 5 | 5 | 9 | 16:26 | 20 |
| ნავალი | 20 | 5 | 3 | 12 | 20:29 | 18 |
| გიმარაეში | 19 | 4 | 4 | 11 | 10:26 | 16 |
| პენაფიელი | 20 | 1 | 5 | 14 | 12:38 | 8 |

**II დივიზიონი. XX ტური**

ავეში — ბარეირენსე 1:1; შავეში — ლეიშოეში 1:0; მორეირენსე — ეშტორილი 1:1; ოლიალენსე — კოვილია 5:2; ოვაირენსე — ფეირენსე 2:0; ბეირა მარი — მაია 4:0; პორტიმონენსე — გონდომარი 1:3; ვარზიმი — მარკუ 3:1; სანტა კლარა — ვიზელა 2:0

# აფრიკის ეროვნებათა თასი. ეგვიპტე 2006. 20 იანვარი — 10 თებერვალი




დროგბამ მიდოს სიხარულს სკამიდან უყურა

# ტიტომ ავტობუსი დაკარგა

**A ჯგუფი. III ტური**

**ეგვიპტე 3:1 კოტ დივუარი**

1:0 მოტაები (9), 1:1 ა. კონე (43), 2:1 ტერიკა (61), 3:1 მოტაები (70)

**ეგვიპტე:** ელ ჰადარი, აბდელ ვაჰაბი (ელ საიედი 63), საიდი, ელ საკა, გომაა, შავკი, ბარაქათი, ტერიკა (მუსტაფა 76), ა. ჰასანი, მოტაები, მიდო (ჰ. ჰასანი 24)

**კოტ დივუარი:** ტიზიე (ბარი 59), კოფიბლეისი, დომორო, ებუ, ტიენე, კოფი, ჯ. ტურე (აკალე 85), ფაე, დემელი (ბ. კონე 67), ა. კონე, ბ. კალუ

გაფრთხილება: ა. ჰასანი, ებუ

74 000 მაყურებელი

**ემად მოტეაბის** წყვილმა გოლმა ეგვიპტელი „ფარაონები" ჯგუფში პირველ ადგილზე გაიყვანა. კოტდივუარელი „სპილოები" დამარცხდნენ, მაგრამ მასპინძლებთან, ერთად, მეოთხედფინალში გავიდნენ.

პრემიერლიგური დერბი ქაიროში — მიდო დროგბას წინააღმდეგ — არ შედგა, რადგან „ჩელსის" ფორვარდი მწვრთნელმა, ანრი მიშელმა სათადარიგოებში დატოვა.

ამ ტურნირზე ორი გოლის გამტკანმა დიდიე „ტიტო" დროგბამ ვარჯიშზე 15 წუთით დაიგვიანა. მთელი გუნდი ალოდინა, რამაც ანრი მიშელი გააბრაზა და ეგვიპტესთან მატჩში „ტიტო" არ ათამაშა.

ლიბიასთან მატჩის შემდეგ კოტ დივუარის თავკაცმა შემადგენლობაში რვა ფეხბურთელი შეცვალა. „სამი მოთამაშე იმიტომ დავასვენე, რომ მათ ყვითელი ბარათები ჰქონდათ მიღებული. ისინი მეოთხედფინალში დაგვეხმარებიან.

„ფარაონები" მეცხრე წუთზე მოტაებმა დააწინაურა — თავით მიაწოდეს ბურთი და თავითვე იოლად, ახლოდან გაიტანა.

ტაიმის შუაში აჰმედ ჰოსამ მიდო დაშავდა. იგი 39 წლის ჰოსნი ჰასანმა შეცვალა, რომელმაც 164-ე სანაკრებო მატჩში ითამაშა. კოტდივუარელმა არუნა კონემ შესვენებამდე ორი წუთით ადრე გაათანაბრა.

მეორე ტაიმში „სპილოები" უფრო ხალისიანად ათამაშდნენ, მაგრამ მეკარე ტიზიე დაუშავდათ, რომელიც ბუბაქარ ბარიმ შეცვალა. ბარის არ გაუმართლა — შესვლიდან ორ წუთში ეგვიპტელმა ტერიკამ ბურთი კარიდან გამოატანინა. გალაღებულმა „ფარაონებმა" გულიანად შეუტიეს, რაც მალე გოლით დაუფასდათ — ემად მოტაებმა მეორედ იხეირა.

„მეკარის შეცვლამ გუნდზე ცუდად იმოქმედა" — თქვა ნამატჩევს დამარცხებულთა მწვრთნელმა ანრი მიშელმა, ხოლო ეგვიპტელთა მწვრთნელის თანაშემწე შაუქი ღარიბმა კი განაცხადა: „ჩვენმა ბიჭებმა სუპერფეხბურთი აჩვენეს. მთელი ქვეყანა ამაყობს ამ გუნდით".



სამუელ ეტოომ გუშინაც გაიტანა

**ლიბია 0:0 მაროკო**

**ლიბია:** რუბენი, ო. ჰამადი, ელ შაბანი, ვ. ოსმანი, შუშანი, ელ რამლი, ელ ტაიბი, ხამესი, ალ ტარჰონი, მუნტასერი, კარა

**მაროკო:** ჟარმუნი, ბუსაბუნი (აბუშერუნი 58), ერბატი (ი. საფრი 85), მაჰიდი (ელ იაგუდი 71), ელ კარკური, ნაიბეტი, ხარჯა, რეგრაგი, ელ კადური, ი. ჰაჯი, შამახი

გაფრთხილება: შუშანი, ბუსაბუნი, ალ ტარჰონი

20 000 მაყურებელი

ეროვნებათა თასის წინა (2004) გათამაშების ფინალისტი მაროკო ტურნირს ლიბიასთან ხელიხელჩაკიდებული დაემშვიდობა. ბოლო ტურში მაროკოელი „ატლასის ლომები" ლიბიელ „მწვანეებს" დაუზავდნენ და ორი ქულით გაემგზავრნენ სახლში. ოღონდ ეს ქულები ისე მიითვალეს, რომ სამ მატჩში კინკილა გოლიც ვერ გაიტანეს. ასე უსახელოდ აიბარგნენ „ატლასის ლომები" ეგვიპტიდან.

**ვაჟა ხუციშვილი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეგვიპტე | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| კოტ დივუარი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| მაროკო | 3 | 0 | 2 | 1 | 0:1 | 2 |
| ლიბია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

**B ჯგუფი. III ტური**

**კამერუნი 2:0 კონგოს დრ**

1:0 ჟერემი (32), 2:0 ეტოო (33)

**კამერუნი:** კამენი, ჟერემი, სონგი, ატება, ანგბვა, ბიკეი, საიდუ, ოლემბე (ფუჩინი 90), ბოია (ემანა 65), მეიონგი (ვებო 46), ეტოო

**კონგოს დრ:** კალემბა, კინკელა, ბოკესე, ტშიოლოლა, კაბუნდი, მბაიო (მილამბო 46), ილუნგა, ზოლა, მბელე (კაბამბა 46), მბალა (მუბლალა 78), ლუა ლუა

გაფრთხილება: კაბუნდი, კალემბა

გაძევება: ბოკესე (85)

5 000 მაყურებელი

**ანგოლა 3:2 ტოგო**

1:0 ამადო (9), 1:1 კუგბაჯა (24), 2:1 ამადო (39), 2:2 ტურე (67), 3:2 მაურიტო (86)

**ანგოლა:** ჟ. რიკარდო, კანგე (კაბუნგულა 72), კ. ალონსო, ჟ. პერეირა, დელგადო, მაკანგა, მაურიტო, ე. ნობრე (ზე კალანგა 55), ფიგეირედო, აკვა (მანტორაში 62), ამადო

**ტოგო:** ტშანირუ, აბალო, ტშანგაი, ატე, კასიმი, სენაია (ოლუფადე 85), შ. ტურე, მამაჰი, რომაო (აზიავონუ 60), სალიფუ (კუბაჟე 78), კუგბაჯა

გაფრთხილება: აკვა, კასიმი

გაძევება: კასიმი (29)

4 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| კონგოს დრ | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ანგოლა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| ტოგო | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |

**D ჯგუფი. II ტური**

**ნიგერია 2:0 ზიმბაბვე**

1:0 ობოდო (56), 2:0 მიკელი (59)

**ნიგერია:** ენიემა, ენაკარხირე, ოდია, ტაივუ, იობო, იუსუფი, ობოდო (ლავალი 86), ორუმა (მიკელი 53), უტაკა, აგაჰოვა (კანუ 53), მარტინსი

**ზიმბაბვე:** მუზაძი, შიმება, მაკონესე, მატოლა, იოანე, დინია (ბ. ნდლოვუ 69), ლუპალა (კასინაუი 87), ნენგომაშა, ნიანდორო, კაონდერა (პ. ნდლოვუ 80), მვარუვარი

გაფრთხილება: ნენგომაშა, ორუმა, იოანე, მატოლა, დინია

22 000 მაყურებელი

**განა 1:0 სენეგალი**

1:0 ამოა (14)

**განა:** აჯეი, პანცილი, გ. ისა, ჯ. მენსა, პაპოე, იაკუბუ, ლარეია, აპია (ედუსეი 90), ჰამინუ, მ. ამოა (ტაგოე 87), ფრიმპონგი (ჰამზა 82)

**სენეგალი:** ტ. სილვა, ბეიე, ს. დიავარა, ლ. დიატა, კოლი, ბერი, ამდი ფეიე, აბდულაიე ფეიე (პ.ბ. დიოპი 46), ბა (დ. კამარა 65), დიუფი (ნიანგი 65), ა. კამარა

გაფრთხილება: პაპოე, ისა

გაძევება: ლარეია (60), ბეიე (60)

12 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიგერია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| სენეგალი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| განა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ზიმბაბვე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |




**იტალიური** „იუვენტუსი" ისევ მცველის ძიებაშია და უილიამ გალასს დაუბრუნდა. ეს ინფორმაცია უკვე ლუჩანო მოჯიმაც დაადასტურა. „გალასი დიდი ხანია, რაც მოგვწონს, „იუვენტუსი" მხოლოდ დიდი ფეხბურთელებით ინტერესდება" — თქვა ტურინელთა გენერალურმა მენეჯერმა. კიდევ ერთი კანდიდატი „აიაქსის" ჩეხი ლეგიონერი ზდენეკ გრიგერა ყოფილა, რომლის შეძენაც „იუვესთვის" მის თანამემამულე პაველ ნედვედს ურჩევია.

**ინგლისური** „ვესტ ჰემი" შეიძლება ერთ-ერთი ლიდერის, იოსი ბენაიუნის გარეშე დარჩეს. ებრაელ ფეხბურთელს თელ ავივის „ჰაპოელი" ხუთწლიან კონტრაქტს და 8,5 მილიონ გირვანქას სთავაზობს. წინადადება მართლაც მომხიბვლელია და ბენაიუნმაც თქვა, ვიფიქრებო. ლონდონელთა ხელმძღვანელობა კი ირწმუნება, მოლაპარაკება ჩვენს ზურგს უკან დაიწყო, რაც წესებს ეწინააღმდეგება და დამნაშავეები უნდა დაისაჯონო.

**ბოსნიის** ეროვნული ნაკრების თავკაცმა ბლაჟ სლიშკოვიჩმა ფედერაციასთან კონტრაქტი 2008 წლამდე გაახანგრძლივა. „სლიშკოვიჩთან ახალი კონტრაქტი მონტეროში, ევრო 2008-ს შესარჩევი ეტაპის წილისყრის შემდეგვე გავაფორმეთ. იმედი გვაქვს, ევროპის ჩემპიონატზე გავალთ" — ნათქვამია ბოსნიის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ განცხადებაში.

**ინგლისური** „ლივერპული" რობი ფაულერის შეძენის შემდეგ გაჩერებას არ აპირებს და ეგებ „დეპორტივოს" გარემარბი ვიქტორიც დაიმატოს. ამბობენ, 29 წლის ფეხბურთელი „ენფილდზე" სამედიცინო შემოწმების გასავლელად ჩავა და მერე კლუბთან სამწლინახევრიან კონტრაქტს გააფორმებსო. რაფაელ ბენიტესი ლუჩანო გალეტისა და სიმაო საბროსასაც უტრიალებდა, მაგრამ ეს ტრანსფერები საბოლოოდ ჩაიშალა.

**იტალიური** „პალერმო" ცდილობს, ბრაზილიელი პლეიმეიკერი ფაბიო სიმპლისიო სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ჩაიგდოს ხელში. როგორც ამბობენ, სიცილიელები „პარმას" სამ მილიონ ევროს სთავაზობენ. „ენიო ტარდინის" დატოვებაზე თავად ფეხბურთელიც საუბრობდა. მას უფრო მაღალი კლასის კლუბში სურს გადასვლა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge